ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

27 იანვარი **პარასკევი** 2012
№021 (13627) ფასი 80 თეთრი

# გორია თუ რომია?

## ყველასი თუ არა, ბევრის გზა დილაში მიდის


მათე ვანაძე


ზურაბ არზიანი


გიორგი კახელიშვილი


ლაშა სალუქვაძე

## გუშინ: ვანაძე, არზიანი, კახელიშვილი
## დღეს: სალუქვაძე
## ხვალ: ?

გორის "დილა" სენსაციური ტრანსფერებით ლამის ყოველდღე გვაოცებს: გუნდის პრესატაშე **ზურაბ კარტოზიას** გუშინ, გვიან ლამით რომ დავუკავშირდით, საინტერესო სიახლეები გვაცნობა: თურქულ შეკრებაზე "დილას" შეუერთდნენ **მათე ვანაძე, ზურაბ არზიანი** (ორივე – ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგა") და **გიორგი კახელიშვილი** (თბილისის "დინამო"). სამივემ გუშინვე გუნდთან ერთად ივარჯიშა.

ვანაძე "ვოლგას" შეკრებაზე დაშავდა, მაგრამ მალე მომჯობინდა და "დილას" მთავარმა მწვრთნელმა **თემურ მახარაძემ** დატვირთა კიდეც. არზიანი "დილაში" გადასვლაზე თავიდან არც ფიქრობდა, მაგრამ საბოლოოდ ეს ნაბიჯი მის მენეჯერთან, "დილას" გენერალურ დირექტორ **მამუკა ჯულელთან** შეთანხმების შემდეგ გადადგა. მოულოდნელი იყო გორელთა რიგებში თბილისის "დინამოს" შემტევი ნახევარმცველის, კახელიშვილის გამოჩენა, მაგრამ ორი კვირის წინაც ვწერდით, რომ მისი "დილაში" განათხოვრების საკითხი განიხილებოდა. გიორგი თბილისელებს ესპანურ შეკრებაზე ახლდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ახალი მოთამაშეების დამატების შემდეგ მთავარი მწვრთნელი **ალექს გარსია** ძირითადში დაყენებას აღარ უპირებდა.

*"ახალწვეულთა სამეული გუნდს უდავოდ გააძლიერებს. მაგრამ "დილას" სიახლენი ამით არ ამოიწურება, ხვალ ლაშა სალუქვაძეც შემოგვიერთდება"* – გვითხრა კარტოზიამ.

დღეს "დილას" ანთალიაში პირველი ტესტ-მატჩი იაროსლავლის "შინიკთან" უნდა ეთამაშა, თუმცა გუშინ სალამოს გადაწყდა, რომ რუსულ კლუბს ავსტრიის ჩემპიონი, გრაცის "შტურმი" ჩაანაცვლებს, სადაც **გიორგი ფოფხაძე** თამაშობს.

**მერაბ მამულაშვილი**






15

# შარაპოვა vs აზარენკა

## ავსტრალიაში ქალთა ფინალი გაირკვა. კაცებს ფედერერი გამოაკლდათ, ნადალი კი მეტოქეს ელოდება



# შახტარს თარგამაძე ეჩქარება

2

## მარიუპოლში გაიჯარებულს გაზაფხულისთვის ამოწმებს





12

# თასის ფინალი

# ქუთაისი და შსს

## ქართული ფეხბურთი

U17



ქართველები ფინალისთვის ემზადებიან ფოტო: www.gff.ge

# რეპეტიცია ფინალში

დღეს, თბილისის დროით 17 საათიდან საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები მინსკის საერთაშორისო ტურნირის ფინალში უკრაინის ნაკრებს დაუპირისპირდება. ბელარუსული ბატალიების შესახებ "ლელო" ინფორმაციებს ოპერატიულად გაწვდიდათ, დღევანდელი მატჩის წინ კი მეტოქეზე მცირე ინფორმაციას გაგაცნობთ და მის მიერ ფინალამდე განვლილ გზას გაგახსენებთ.

უკრაინის ნაკრებზე საუბრით თავს არ შეგაწყენდით, ეს გუნდი ჩვენი ოფიციალური მეტოქეც რომ არ იყოს. შეგახსენებთ, მარტის ბოლოს თბილისი ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდს უმასპინძლებს, რომელშიც, უკრაინის გარდა, **ვასილ მაისურაძის** გუნდის მეტოქეები ესპანეთი და ინგლისი იქნებიან. ასე რომ, ქართველები, გარდა იმისა, რომ მინსკში ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ, მეტოქეს დაზვერავენ კიდეც. ბუნებრივია, უკრაინელებიც დააკვირდებიან ჩვენებს. ისიც საინტერესოა, მეტოქეები ერთმანეთს სრულ პოტენციალს უჩვენებენ თუ მწვრთნელები რალაც-რალაცებს დამალავენ.

უკრაინის 17-წლამდელთა ნაკრებს **ალექსანდრ პეტრაკოვი** წვრთნის. ელიტრაუნდამდე უკრაინელებმა რის ვაივაგლახით გაალწიეს - 2:0 ბელგიასთან, 0:1 ხორვატიასთან და 0:0 აზერბაიჯანთან. თუმცა ისიც ფაქტია, რომ უკრაიანას ყოველთვის ჰყავს ჭაბუკთა ძლიერი ნაკრებები, რასაც ის ფაქტიც მოწმობს, რომ რამდენიმე წლის წინ ამ ქვეყანამ 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი მოიგო.

ბელარუსის ტურნირზე პეტრაკოვის გუნდმა სამივე შეხვედრა მოიგო – ლიტვას 2:1 სძლია, ფინეთი 5:0 გაანადგურა, ფინალის საგზური კი რუსეთის 2:0 ძლევით დაიბევა.

უკრაინის ნაკრების ფორვარდ **დმიტრი ბილონოგს** ტურნირზე 4 გოლი აქვს გატანილი. ანალოგიური მაჩვენებელი აქვს ჩვენს თავდამსხმელ **დავით ჯიქიას** და ბომბარდირთა დავას სწორედ ეს ორი ფეხბურთელი ლიდერობს.

მეტი თვალსაჩინოებისთვის, მინსკის ტურნირის ყველა მატჩის შედეგს გაგახსენებთ და სატურნირო მდგომარეობასაც გაგაცნობთ.

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| საქართველო-ბელარუსი | 4:3 |
| ბელგია-ლატვია | 4:0 |
| საქართველო-ბელგია | 4:2 |
| ბელარუსი-ლატვია | 2:1 |
| საქართველო-ლატვია | 2:2 |
| ბელგია-ბელარუსი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 3 | 2 | 1 | 0 | 10-7 | 7 |
| 2. ბელგია | 3 | 2 | 0 | 1 | 7-4 | 4 |
| 3. ბელარუსი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-6 | 3 |
| 4. ლატვია | 3 | 0 | 1 | 2 | 3-8 | 1 |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| უკრაინა-ლიტვა | 2:1 |
| რუსეთი-ფინეთი | 4:0 |
| უკრაინა-ფინეთი | 5:0 |
| რუსეთი-ლიტვა | 1:0 |
| უკრაინა-რუსეთი | 2:0 |
| ლიტვა-ფინეთი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უკრაინა | 3 | 3 | 0 | 0 | 9-1 | 9 |
| 2. რუსეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-2 | 6 |
| 3. ლიტვა | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |
| 4. ფინეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-10 | 1 |

**დღეს**

**მატჩი მე-7 ადგილისთვის**

ლატვია-ფინეთი

**მატჩი მე-5 ადგილისთვის**

ბელარუსი-ლიტვა

**მატჩი მე-3 ადგილისთვის**

ბელგია-რუსეთი

**ფინალი**

საქართველო-უკრაინა

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

# დავით თარგამაძე შახტარში ვარჯიშობს

**დავით თარგამაძის** ამბები ისეთივე თავბრუდამხვევია, როგორიც თავად ისაა მოედანზე.

იანვრის დასაწყისში ფეხბურთელი დონეცკის "შახტარმა" შეიძინა, მაგრამ იჯარით მარიუპოლის "ილიჩივეცში" გაუშვა. საქართველოს ნაკრების 22 წლის შემტევი ნახევარმცველი მარიუპოლელებთან ერთად ვარჯიშობდა, კლუბში 99-ნომრიანი მაისურა აიღო, 24 იანვარს "ვორსკლასთან" საკონტროლო მატჩში პირველადაც მოირგო და გუნდს შეკრებაზე უნდა გაჰყოლოდა.

*"ილიჩივეცში" გაიჯარების გამო ნაწყენი არ ვარ, ეს დონეცკელებთან კონტრაქტის გაფორმებამდე იყო შეთანხმებული. თანაც, "შახტარის" პრეზიდენტ რინატ ახმეტოვს ველაპარაკე და მითხრა, ზაფხულში გუნდში დაგაბრუნებთო"* - თქვა ორიოდე დღის წინ თარგამაძემ.

გუშინ კი, მოულოდნელი და სასიამოვნო ამბავი შევიტყვეთ - შესაძლოა, თარგამაძემ "შახტარში" გაზაფხულიდანვე ითამაშოს - დათო რომ "ილიჩივეცში" გვეგონა, გუშინ დონეცკელების გუნდში გამოჩნდა.

*"ამ წუთებში მიმდინარეობს "შახტარის" ვარჯიში, რომელშიც დავით თარგამაძეც მონაწილეობს. ეს მისი პირველი ვარჯიშია მეშახტეთა შემადგენლობაში. ამას გარდა, ცნობილი გახდა, რომ ქართველი ფეხბურთელი "შახტართან" ერთად ესპანურ შეკრებაზე გაემგზავრება" - წერს ინტერნეტ-გაზეთი "ტერიკონი".*

*"შახტარში" ჩემი დარჩენის საკითხი ესპანური შეკრების შემდეგ გადაწყდება"* - თქვა ფეხბურთელმა "ტერიკონთან" საუბარში.

წერილში არაფერი თქმულა იმის შესახებ, როდის ჩავიდა თარგამაძე დუბაიში, სადაც დონეცკელები სეზონისთვის ემზადებიან. მერე კი "შახტარი" ესპანურ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

**მერაბ მამულაშვილი**



დავით თარგამაძე

ზესტაფონი

# ესპანეთს ჩემპიონებმაც მიაშურეს



ზესტაფონი აქ იცხოვრებს

დღეს, გამთენიისას "ზესტაფონი" ესპანურ შეკრებაზე გაემგზავრა, სადაც 10 თებერვლამდე დარჩება. შეგახსენებთ, საქართველოს ჩემპიონები იქ ოთხ საკონტროლო მატჩს ჩაატარებენ. **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდი 31 იანვარს დნეპროპეტროვსკის "დნიპროს" შეხვდება, 3 თებერვალს კი ჩინურ "გუანჯოუსთან" მატჩით "მარბელას თასზე" ასპარეზობას დაიწყებს. ამ ტურნირზე "ზესტაფონი" მომდევნო შეხვედრებს 6 და 9 თებერვალს გამართავს.

გუნდს ტრავმის გამო ვერ გაჰყვა ზუგდიდის "ბაიადან" შეძენილი ნახევარმცველი **ლუკა გუგუჩია**. ფეროელები ესპანეთში 25 ფეხბურთელით გაემგზავრნენ:

მეკარეები: **როინ კვასხვაძე, ზურაბ მამალაძე, კახაბერ მეშველიანი;**

მცველები: **თეიმურაზ ლონლაძე, ზაალ ელიავა, ედიკ საჯაია, გიორგი ონიანი, გიორგი ხიდეშელი, ალექსი ბენაშვილი, მამუკა კობახიძე, თორნიკე გრიგალაშვილი, მალხაზ გაგოშიძე;**

ნახევარმცველები: **თორნიკე აფციაური, თორნიკე გორგიაშვილი, შოთა გრიგალაშვილი, შოთა ბაბუნაშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი, ლევან შარიქაძე, გოგა ბერაია, გურამ სამუშია, დავით რაჟამაშვილი;**

თავდამსხმელები: **ჯაბა დვალი, რატი წინამძღვრიშვილი, აბაიომი ოვონიკოკო, დავით მუჯირი.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

სკანდალი

# კუპერი და მაფია

## მედია ირწმუნება, ექტორი უარყოფს

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცი **ექტორ კუპერი**, შესაძლოა, დიდ შარში გაეხვიოს, მისი რეპუტაცია კი კითხვის ნიშნის ქვეშ უკვე დადგა.

საქმე ის არის, რომ იტალიურმა მედიამ მას დაახლოებით ათი წლის წინანდელი ამბავი გაუხსენა. მაშინ არგენტინელი სპეციალისტი მილანის "ინტერს" წვრთნიდა. როგორც გამოცემები ირწმუნებიან, კუპერმა იმ დროს 200 ათასი ევრო მიიღო იტალიური მაფიისგან, ეს თანხა კი მას სხვადასხვა მანიპულაციების განსახორციელებლად გადასცეს. კუპერს თავის გაწვრთნილ კლუბებში თაღლითობას არავინ აბრალებს, სამაგიეროდ, გაჩნდა ეჭვი, რომ მას არგენტინის ჩემპიონატის მატჩების შედეგებზე ზემოქმედებაში მიუძღვის ბრალი.

ცხადია, თავად კუპერი ყველაფერს უარყოფს. იგი მხოლოდ 200 ათასი ევროს მიღების ფაქტს ადასტურებს, ოღონდ აცხადებს, რომ ეს თანხა არა მაფიას, არამედ ჩვეულებრივ, კანონმორჩილ ხალხს გამოართვა სესხად სიდედრისთვის ბინის შესაძენად.

ჯერჯერობით ამ საქმით სამართალდამცავი ორგანოები არ დაინტერესებულან.

შეგახსენებთ, კუპერი საქართველოს ნაკრებს 2008-09 წლებში წვრთნიდა და მას მხოლოდ ერთხელ, ისიც ამხანაგურ მატჩში გაამარჯვებინა. სულ ახლახან კი მან თურქული "ორდუსფორი" ჩაიბარა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ექტორ კუპერი

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com*

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● დინამო



# ძარია 10 დღე დაისვენებს

უკვე იცით, რომ ესპანურ შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" Football Impacr Cup 2012-ის გათამაშებაში ნორვეგიულ "სტრომსგოდსეტს" დაძაბულ ბრძოლაში 2:1 სძლია.

შეხვედრა **გიორგი მერებაშვილის** ბენეფისად იქცა: სერბეთიდან დაბრუნებული მერებაშვილი აშკარად შეცვლილი და გაზრდილია. ის გვახსოვდა, როგორც ზედმეტად ინდივიდუალისტი, ნორვეგიელებთან კი გუნდისთვის ყველაზე სასარგებლოდ სწორედ მან ითამაშა. "სტრომსგოდსეტს" **მიკელ ალვარომ** პირველი გოლი მისი ჩინებული საგოლე გადაცემით გაუტანა, არადა, გიორგის თავისუფლად შეეძლო, თავად დაერტყა. აქვე ვიტყვით, რომ ზუსტად ამავე ადგილიდან (საჯარიმოში შეჭრილი მარჯვენა მახვილი კუთხის პოზიციაზე იდგა) გაიტანა მეორე, გადამწყვეტი გოლი.

ნორვეგიელებთან მატჩში ძირითად შემადგენლობაში იყო გუნდის ახალწვეული, 22 წლის საყრდენი ნახევარმცველი **ირაკლი ძარია,** რომელმაც აქტიურად დაიწყო თამაში, მაგრამ შემდეგ მოულოდნელად გაჩერდა და "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა **ალექს გარსიამ** მე-40 წუთზე შეცვალა.

როგორც შევიტყვეთ, ირაკლიმ კუნთი გაიჭიმა და მისი შეცვლა იძულებითი იყო. გუშინ მას აღარ უვარჯიშია – სავარაუდოდ, ის მოედანს 10 დღეში დაუბრუნდება.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერები

# ოთარ მარცვალაძე: აღიარება ტრაგედიის შემდეგ

რუსულმა ვებგვერდმა "უანდივიზიონმა" გამოაქვეყნა წერილი რუსეთის პირველი ლიგის საუკეთესო ბომბარდირებზე და **ოთარ მარცვალაძეც** გაიხსენა.



*XXI საუკუნე. სნაიპერები*

***2010 წელი. მარცვალაძე, გოგნიევი, დავიდოვი და სხვები...***

*2009 წელთან შედარებით, როდესაც ვერც ერთმა თავდამსხმელმა ვერ მოახერხა დიდოსტატური თამასის, 20 გოლზე მეტის გადალახვა, 2010 წელს მცირე პროგრესი აღინიშნა. თუმცა ეს მაჩვენებელიც მხოლოდ ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" თავდამსხმელ ოთარ მარცვალაძის ანგარიშზეა, მან ეს მეორე წრეში ნაჩვენები შედეგიანობის წყალობით მოახერხა.*

*ოთარ მარცვალაძე, "ვოლგა", 21 გოლი*

*თბილისის "დინამოს" გაზრდილს (?!) უთამაშია თელ ავივის "ჰაპოელში", ქართულ "ვიტ ჯორჯიასა" და კიევის "დინამოში", "ვოლგაში" კი გადავიდა მახაჩყალის "ანჟიდან", სადაც 13 გოლი გაიტანა და სპეციალისტების ყურადღება მიიქცია.*

*მაგრამ ფეხბურთელისთვის ყველაზე წარმატებული "ვოლგა" გამოდგა. ის იყო შეტევის ლიდერი, გუნდიც მასზე თამაშობდა და მარცვალაძესაც თანაგუნდელები არ დაულალატებია.*

*პირველ ლიგაში ოთარს გაჰქონდა მნიშვნელოვანი და ხშირად გადამწყვეტი გოლები. მისმა რამდენიმე გოლმა მეტოქეების დემორალიზაცია გამოიწვია.*

*2010 წელს მის ანგარიშზე იყო გოლები საწყის და ბოლო წამებზე, ყოველთვის კარზე იყო დაგეშილი. ტექნიკის წყალობით კი, პრაქტიკულად, ნებისმიერი მცველის მოტყუება შეეძლო.*

თუმცა, შესაძლო იყო ისიც, რომ წარმატებული კარიერა ვერ აეწყო. 2004 წელს, როდესაც პროფესიულ ფეხბურთში პირველ ნაბიჯებს დგამდა, თამაშის დასრულებას აპირებდა. მიზეზი დედის მოულოდნელი გარდაცვალება იყო. თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ 8 წლისამ ავტოკატასტროფაში მამა დაკარგა, ოთარს ფსიქოლოგიურად ძალიან უჭირდა, მაგრამ ნათესავების, განსაკუთრებით კი ძმის დახმარებით, ფეხბურთზე კონცენტრირებაც შეძლო და მაღალი დონის მიღწევაც.

**მერაბ მამულაშვილი**

● ტორპედო

# ესეც პენალტური



დავით გამეზარდაშვილი

გუშინ ანთალიაში ქუთაისის "ტორპედო" მორიგ საკონტროლო მატჩში აზერბაიჯანულ "სიმურგს" 1:1-ზე გაეყარა.

ტორპედო: **ქვილითაია (კუპატაძე 65) – რიგვავა, გამეზარდაშვილი, მირცხულავა (შერგელაშვილი 59), გურული – ფირცხალავა (საბანაძე 75) – კუხიანიძე, ბოლქვაძე –ჯანელიძე, რეხვიაშვილი (ქუცურუა 57), კემუხტაშვილი (იოსელიანი 65).**

"ტორპედოს" ვებგვერდის ცნობით, პირველ ტაიმში **დათა რიგვავას** და **გიორგი რეხვიაშვილს** ჰქონდათ გატანის რეალური შანსი. მეორე ტაიმში "სიმურგის" მეკარე ჯერ **ლაშა კემუხტაშვილის** დარტყმულს გადაელობა, მერე კი — რიგვავასას. აზერბაიჯანელებმა კი მეტოქის დაცვის პოზიციური შეცდომით ისარგებლეს და 11-მეტრიანის დარტყმის უფლება მოიპოვეს – გოლი **ტოფიკ მიხაილოვმა** გაიტანა 53-ე წუთზე.

"ტორპედომაც" პენალტით გაათანაბრა. **გივი იოსელიანის** აქტიურობა იმით დაფასდა, რომ 71-ე წუთზე **დავით გამეზარდაშვილმა** 11-მეტრიანი უნაკლოდ შეასრულა.

ქუთაისელებს მოგებაც შეეძლოთ, თუმცა **გიორგი ქუცურუამ** ძელს გაარტყა ბურთი, ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ **დავით ჯანელიძეს** კი ბურთი ფეხზე აეჭრა.

მომდევნო ტესტ-მატჩს "ტორპედო" 28 იანვარს ითამაშებს პოლონურ "კორონასთან".

**დავით თავართქილაძე**



საბა კვირკველია

# კვირკველია ძირითადში მოხვედრას იმედოვნებს

ყაზანის "რუბინმა" თურქული შეკრება დაასრულა და დროებით ყაზანში დაბრუნდა. ანთალიაში ბოლო საკონტროლო შეხვედრა რუსეთის ექსჩემპიონმა მეორე ბუნდესლიგის "ბოხუმთან" ჩაატარა და 2:1 გაიმარჯვა.

მეორე ტაიმში მოედანზე გამოჩნდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ცენტრალური მცველი **საბა კვირკველია.** მისი თქმით, შეკრებით კმაყოფილია და იმედოვნებს, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილს დაიმკვიდრებს.

*"ჩემს პოზიციაზე რუსეთის ნაკრების ყოფილი მცველი რომან შარონოვი თამაშობს. ის ძალიან გამოცდილი და ჭკვიანი მცველია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე სკამზე ჯდომას ვაპირებ. ძირითადში ადგილისთვის დიდი კონკურენციაა და იმედი მაქვს, ბერდიევი "რუბინის" ძირითადში მე მათამაშებს"*, – გვითხრა კვირკველიამ.

კვირკველია "რუბინთან" ერთად 1-ელ თებერვალს ესპანურ შეკრებაზე გაემგზავრება.

**მერაბ მამულაშვილი**

● ბაია

# კაცნაკლულთა ფრე და პატარა შეებულება

გუშინ ზუგდიდში "ბაიამ" საკონტროლო შეხვედრა ითამაშა ოზურგეთის "მერცხალთან" — ფრე 2:2.

ბაია: **მაქაცარია, გ.ქვარცხავა, აფაქიძე, ტყებუჩავა, აკობია, ტყემალაძე, სიხარულია, კუტალია, ენდელაძე, ფარჯიკია, ეხვაია.**

მეორე ტაიმში ზუგდიდელთა დამრიგებელმა **გოჩა ტყებუჩავამ ნიკა აფაქიძის, აკაკი ფარჯიკიას, ირაკლი ეხვაიასა** და **ავთო ენდელაძის** გარდა, ყველა შეცვალა და მოედანზე შეუშვა **ჯომიდავა, აქუბარდია, პაჭკორია, ზ. ქვარცხავა, შონია, ლომია** და **გუჯეჯიანი.**

ზუგდიდელებმა გოლები პირველ ტაიმში გაიტანეს, თავი ენდელაძემ და ფარჯიკიამ გამოიჩინეს. მეორე ტაიმის დასაწყისში აფაქიძე ისე დაშავდა, რომ მოედნიდან გასაყვანი გახდა და ამის შემდეგ კაცნაკლულმა "ბაიამ" ორი ბურთი გაუშვა.

ტყებუჩავა გუნდს ორი დღე დაასვენებს, მომდევნო ზუგდიდური შეკრება კი "ბაიას" 1-10 თებერვალს ექნება.

**დავით თავართქილაძე**

● ვიტ ჯორჯია




# ვიტელები ისევ გერმანულად შეიმოსებიან

"ვიტ ჯორჯიამ" ახალი, გაუმჯობესებული კონტრაქტი გააფორმა თავის ტექნიკურ სპონსორთან, გერმანულ კომპანია Uhlsport-თან. თურქულ შეკრებაზე გამგზავრებამდე კლუბმა ამ ფირმის ზამთრის სრული ეკიპირება მიიღო, როგორც სავარჯიშო, ასევე სათამაშო.

"ვიტ ჯორჯია" სეზონის მეორე ნახევარს ახალი დიზაინის სათამაშო ფორმით ჩაატარებს. მაისურები კლუბის ტრადიციულ ფერებში, თეთრსა და მწვანეშია გადაწყვეტილი. სათამაშო მაისურასა და შორტზე გამოსახულია კლუბის სპონსორების ლოგოები. ახალ ფორმას ფოტოზე ხედავთ, მისი შეფასება კი სტადიონზე შეგეძლებათ.

უკვე მერვე სეზონია, "ვიტ ჯორჯია" Uhlsport-ის ეკიპირებით იმოსება. გარდა ამისა, კომპანია "ვიტ ჯორჯია" ამ გერმანული ფირმის ექსკლუზიური წარმომადგენელია საქართველოში.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● გაგრა

# ვარჯიში ქარბორბალაში და ახალი ფორმები

"გაგრას" თავკაცთა იმედი არ გამართლდა, თურქეთში ამინდი არ გამოკეთდა. მეტიც, გუნდის პრესსამსახურის ცნობით, ადგილობრივები გაოცებულები არიან, ასეთი წვიმა კარგა ხანია, არ გვინახავსო....

*"სიდეში საშინლად გაწვიმდა, შემდეგ სეტყვაც წამოვიდა, ვარჯიშის ბოლოს კი მთლად უჩვეული რამ ვიხილეთ — მოგვესმა გუგუნი, რომელიც გვიახლოვდებოდა, ცაში გამოჩნდა ქარბორბალა, რომელმაც მინდორს გვერდით ჩაუარა და თან ყველაფერი წაიღო.*

*დღევანდელი ვარჯიშის ერთი ნაწილი ფიზიკურ მომზადებას დაეთმო, ზვიად ჯელაძემ გუნდი ორად გაყო და სხვადასხვა დატვირთვით ავარჯიშა, შედარებით მსუბუქად დაიტვირთნენ ახალბედები, წვრთნა კი კარში დარტყმებით დასრულდა.*

*სალამოს ვარჯიშიც მსგავსად წარიმართა. რაც მთავარია, ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელად არის. მოთამაშეებს "გაგრას" ტექნიკური სპონსორის PUMA-ს ახალი ეკიპირება დაურიგდათ. ხვალინდელ ვარჯიშს გუნდი სწორედ ამ ფორმით ჩაატარებს"*, – წერს "გაგრას" ვებგვერდი.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გიორგი ქარქუზაშვილთან



გიორგი ქარქუზაშვილი (მარჯვნივ) დინამოელ ჩისკოსთან ბრძოლისას

# ევროპაში გასვლა სავსებით რეალურია

ეს სეზონი „დილამ“ საინტერესოდ წარმართა: უმაღლეს ლიგაშიც დაბრუნდა და გულშემატკივარს თავი კარგი თამაშითაც შეახსენა. გორელებს არც შედეგი ჰქონდათ ურიგო - თასის ნახევარფინალს უწიეს და უმაღლეს ლიგაში საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრის შანსს ინარჩუნებენ. ზამთრის შესვენების წინ კი გუნდს შსს-ს სახით ისეთი პატრონი გამოუჩნდა, რომ ამბიციის ზრდა ბუნებრივი იყო. ამიტომაც მოსამზადებელი შეკრების დაწყებიდან გუნდში დიდი აჟიოტაჟია. ყველა ინტერესით ადევნებს თვალს „დილას“ სატრანსფერო სიახლეებს. ახლა კლუბი გაცილებით მაღალ მიზნებს ისახავს, ვიდრე ჩემპიონატის სტარტზე ჰქონდა. გუნდი უკვე ანთალიაში გაემგზავრა შეკრებაზე, მანამდე კი „დილას“ კაპიტანს გიორგი ქარქუზაშვილს ვესაუბრეთ.

**- ორიოდ წლის წინ გორელი ფეხბურთელები წარმოიდგენდით, რომ „დილა“ ასეთ სახარბიელო პირობებში აღმოჩნდებოდა და ქართული ფეხბურთის საზომებით საკმაოდ ძლიერ მოთამაშეებს მოიწვევდა?**

- კაცი იმედით ცოცხლობს და ჩვენც გულის სიღრმეში მუდამ გვქონდა იმედი, რომ მდგომარეობა ოდესმე სასიკეთოდ შეიცვლებოდა. გეხსომებათ, ორი წლის წინ გორის ცენტრალურ სტადიონზე ფეხბურთს აღარ თამაშობდნენ და „დილა“ საერთოდ უსახსროდ იყო დარჩენილი. საბედნიეროდ, დღეს მდგომარეობა რადიკალურად განსხვავებულია. ახლა პირობებიც შესანიშნავია, ხელშეწყობაც და, ბუნებრივია, მაღალი მიზნებიც დავისახეს, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ეს მიზნები ჩვენთვის უჩვეულო იყო - სეზონის სტარტზეც მაღალი ადგილებისთვის ბრძოლას და თასზე რაც შეიძლება მეტი ეტაპის გადალახვას ვგეგმავდნენ.

**- ამ გადასახედიდან 2011 წელი „დილასთვის“ წარმატებულად მიგაჩნია?**

- იქიდან გამომდინარე, რომ წლეულს უმაღლეს ლიგაშიც დავბრუნდით და თასის ნახევარფინალშიც გავედით, ზოგად წარმატებაზე ლაპარაკი ლოგიკურია. ეგაა, რვა საუკეთესოს შორის მოსახვედრად ბრძოლა აფერმკრთალებს ამას. თუმცა ჯერ დრო გვაქვს, რომ ესეც გამოვასწოროთ.

**- გატანილი გოლების რაოდენობით „დილა“ ჩემპიონატში მხოლოდ სამ გუნდს ჩამორჩა, თუმცა გაშვებულთა მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე უარესი გქონდათ.**

- კარგია, როცა გუნდს ბევრი გააქვს, მაგრამ ერთხანს კარის უსაფრთხოებაზე ძალიან ცოტას ვზრუნავდით და ამიტომაც გავუშვით ბევრი ბურთი. ამით იმას არ ვამბობ, რომ დაცვაში უშეცდომოდ ვირჯებოდით. ცხადია, მცველებსაც მეტი ყურადღება მოგვეთხოვებოდა.

**- უხვგოლიან ფეხბურთს განსაკუთრებით გია ცეცაძის მწვრთნელობისას თამაშობდით...**

- გია ცეცაძე ახალგაზრდა, ძალიან კარგი სპეციალისტი და პიროვნებაა. მისი შემოთავაზებული შემტევი სტილი ლამაზი იყო და მაყურებელსაც ხიბლავდა, მაგრამ განსაკუთრებით ბოლო წუთებზე ნაგებული მატჩებისას გამოჩნდა, რომ, როცა ვიგებდით, თამაშის ბოლო მონაკვეთში მაინც არ იქნებოდა ურიგო, ანგარიშის შენარჩუნებაზეც გვეზრუნა.

**- მახარაძის ტაქტიკაზე ადვილად გადაეწყვეთ?**

- ბატონი თემური, უპირველესად, კარის მშრალად შენარჩუნებაზე ზრუნვას გვავალებს და, ცხადია, პარალელურად გატანასაც ვცდილობთ. პირველ მატჩებში ცოტა გაგვიჭირდა ახალი, განსხვავებული დავალებების შესრულება, მაგრამ მერე ალღო ავუღეთ და ბოლო შეხვედრებში ქულები კარგად დავაგროვეთ, თასის ნახევარფინალშიც მაშინ გავედით.

**- მოსამზადებელი ეტაპის დაწყებიდან „დილაში“ბევრი მოთამაშე შეიკრიბა. ცხადია, გუნდში ყველა ვერ დარჩება და კონკურენცია, ალბათ, დიდია.**

- ამიტომაც არის, რომ შეკრებაზე ყველა თავდაუზოგავად ცდილობს შესაძლებლობების სრულად გამოვლენას. სხვანაირად გუნდში ადგილს ვერ დავიმკვიდრებთ.

**- ანთალიაში გუნდის ერთ-ერთი მთავარი მიზანი შემადგენლობის გარკვევასთან ერთად ახალწვეულთა შეთამაშება უნდა იყოს.**

- ეს აუცილებლად მოკლე დროში უნდა მოესწროს, რადგან სეზონის განახლების მერე რვა საუკეთესო გუნდში მოსახვედრად მხოლოდ ოთხი მატჩი გვაქვს დარჩენილი.

**- როგორ ფიქრობ, უთუოდ ქულათა მაქსიმუმი დაგჭირდებათ მიზნის მისაღწევად?**

- მგონი, ასეა და, ვფიქრობ, განახლებულ-გაძლიერებული „დილა“ ამას შეძლებს.

**- დიდი ხანია, „დილას“ კაპიტანი ხარ და ახლაც შენია სამკლავური?**

- ჯერ ვერ გეტყვით, ისევ მე ვიქნები თუ არა კაპიტანი. მოსამზადებელ ეტაპზე ეს საკითხი არ დამდგარა, რადგან ტაიმებს სხვადასხვა შემადგენლობა თამაშობდა და ცვლილებები ხშირი იყო. ისე კი, ეს პასუხისმგებლობა „დილაში“ ჯერ კიდევ პირველ ლიგაში ყოფნისას მანდვეს. სხვათა შორის, იქამდე, გაცილებით ახალგაზრდულ ასაკში „ბორჯომის“ კაპიტანიც ვიყავი.

**- ევროტურნირზე მოხვედრას, ალბათ, თასიდან ეცდებით...**

- დიდი იმედი მაქვს, რომ წლეულს „დილა“ ევროტურნირზე მოხვდება. საამისოდ თასზე სულ სამი შეხვედრა დაგვრჩა ჩასატარებელი, ჩემპიონატში კი ბევრად გრძელი მარათონია გასავლელი... მიუხედავად ამისა, მგონია, რომ ორივე ფრონტზე შეგვიძლია წარმატების მიღწევა.

**ვასილ ბალახაძე**

ფოტო: www.fcdinamo.ge

საფეხბურთო კლუბი ცხინვალის „სპარტაკი“ მწუხარებას გამოთქვამს გია მეგრელაძის მამის, ცნობილი ქართველი ფეხბურთელის

**მერაბ მეგრელაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საფეხბურთო კლუბი ბოლნისის „სიონი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი ვეტერანი ფეხბურთელისა და მოქალაქის

**მერაბ მეგრელაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ლეგიონერები

# ქართველი ლეგიონერები მესამეზე არიან

არ არსებობს ოფიციალური ან თუნდაც არაოფიციალური სტატისტიკა, რამდენი ქართველი ფეხბურთელი თამაშობს უცხოეთში. ზოგიერთი ნაკლებად სარწმუნო მონაცემით, მათი რაოდენობა ოთხ-ხუთ ასეულს აღწევს, ზოგიერთი კი 200-მდე მოთამაშეს ითვლის.

არიან გვარგადაკეთებულები, ბევრი კი ისეთ დაბალ ლიგაშია, ჩვენებურის იქ წასვლას ვერავინ წარმოიდგენს და, ცხადია, ყველას თვალს ვერც მივადევნებთ. მაგალითად, ახლახან "ვიტ ჯორჯიას" გასინჯვაზე მიაკითხა ორმა ქუთაისელმა ახალგაზრდამ, რომლებიც საბერძნეთის რანგით მეხუთე ლიგაში თამაშობდნენ. კითხვაზე, რამდენი ქართველია იქაურ დაბალ ლიგებში, ერთ-ერთმა მოკლედ მოგვიჭრა – ბევრი!

ახლახან აზერბაიჯანელებმა დაითვალეს, რამდენი ლეგიონერია მათ ჩემპიონატში და რომელი ქვეყნიდან არიან სხვებზე მეტნი.

აღმოჩნდა, რომ ჩვენი მეზობლების პრემიერლიგაში 40 ქვეყნის 129 წარმომადგენელი თამაშობს, საქართველო კი ლიდერებშია. ყველაზე მეტი ლეგიონერი ჰყავს რუსეთს – 16, მეორეზეა ბრაზილია - 15; საქართველომ კი ფეხბურთელთა ექსპორტით ცნობილ სერბეთსაც (10) გადაასწრო და მესამეა ამ 11 მოთამაშით: **გიორგი ლომაია, ილია კანდელაკი, ვალერი აბრამიძე, ბაჩანა ცხადაძე, ალექსანდრე გოგობერიშვილი, ზურაბ ძამსაშვილი, გიორგი ადამია, გიორგი ბერიაშვილი, გიორგი გულორდავა, გიორგი ჭედია და ნუგზარ კვირტია.**

თუმცა ზამთრისთვის ქართული ლეგიონის რაოდენობა შემცირდა – ჭედია რუსთავის "მეტალურგში" ჯერ კიდევ შემოდგომაზე დაბრუნდა, წამოვიდა ძამსაშვილიც და ახლა **რევაზ ძოძუაშვილის** უგუნდოების გუნდში ვარჯიშობს.

არა მგონია, ასეთ "ნომინაციებში" ლიდერობა კარგის მაჩვენებელი იყოს. ბოლო პერიოდში უცხოეთიდან ქართველების დაბრუნების მცირე ტენდენცია შეინიშნება. ვფიქრობთ, აზერბაიჯანში ბევრი ისეთი ჩვენებური ლეგიონერია, რომელთა ჩამოყვანა უფრო სასარგებლო იქნებოდა, ვიდრე საეჭვო რეპუტაციის ლეგიონერების მოზიდვა. მაგალითად, გიორგი ადამია და ბაქოს "ინტერის" ოთხეული (ლომაია, კანდელაკი, აბრამიძე, ცხადაძე) ნებისმიერ ქართულ გუნდს გააძლიერებდნენ. მათ შესაძლებლობებს ვიცნობთ, უცხოელები კი ხშირად ცდილობენ ისეთი ფეხბურთელების "შემოტენას", რომლებზეც წარმოდგენა არ გვაქვს.

სულ ცინცხალი დასტური და მაგალითი: ერთი კვირის წინ ერთ-ერთ გუნდში დიდი ამბით ჩამოიყვანეს ფეხბურთელი, რომლის დანახვაზეც მწვრთნელებს გული გაუსკდათ – 190 სმ სიმაღლის ცენტრალური მცველის ნაცვლად სხვა გვარის და თანაც, ტანდაბალი, სადღაც 170 სმ სიმაღლის მოთამაშე ჩამოვიდა, მისმა ჩამომყვანმა კი 8 ათასი ევრო იზარალა.

**მერაბ მამულაშვილი**



გიორგი ლომაია



კობა შალამბერიძე

# შალამბერიძის წარმატებული ტესტი

პოლონეთის რანგით მეორე ლიგის ბინადარ "ფლოტაში" სინჯებზე მყოფმა **კობა შალამბერიძემ** ამ კლუბის შემადგენლობაში მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა და წარმატებულადაც – "ფლოტამ" "რუხს" 2:0 მოუგო, 27 წლის ქართველმა ნახევარმცველმა კი თავი გოლითა და საგოლე გადაცემით გამოიჩინა.

წესით, კონტრაქტის გაფორმებას წინ არაფერი უნდა დაუდგეს. ცნობისთვის, "ფლოტა" პოლონეთის პირველ ლიგაში მე-6 ადგილზეა და ექსტრაკლასაში გადასვლის შანსს ინარჩუნებს.

შეგახსენებთ, შალამბერიძემ სეზონის პირველი ნახევარი ცხინვალის "სპარტაკში" გაატარა, რომლის შემადგენლობაშიც ჩემპიონატის 17 მატჩი ჩაატარა და 3 გოლი გაიტანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ობოლონმა შეკრებაზე ორი ქართველი წაიყვანა

ახლახან ვწერდით, რომ კიევში მიმდინარე **ოლეგ მაკაროვის** სახელობის თასის გათამაშებაში კიევის "ობოლონის" დუბლშემადგენლობაში ორმა ქართველმა ითამაშა: **დავით იაშვილმა** (რომელიც ადრე კიევის "დინამოში" ისინჯებოდა) და **გერყენაშვილმა.**

ვიცოდით, რომ იაშვილი ძირითად შემადგენლობაში ვარჯიშობს და დუბლებში გამოდის, "ობოლონის" დუბლებშია 19 წლის **ირაკლი მესხიაც,** მაგრამ გერყენაშვილის არც სახელი ვიცოდით და არც ის, საიდან მოხვდა უკრაინულ კლუბში და მანამდე სად თამაშობდა.

მის მიმართ ინტერესი იმანაც გაგვიჩინა, რომ "ობოლონმა" 25 დეკემბერს თურქულ შეკრებაზე მესხიასთან ერთად წაიყვანა.

სინამდვილეში ის არის არა გერყენაშვილი, არამედ **ირაკლი ლერყენაშვილი,** 1994 წელს დაბადებული ტანმაღალი (182 სმ) ნახევარმცველი. დანარჩენი მამამისმა, **არჩილ ლერყენაშვილმა** გვიამბო:

*"ჩვენ თბილისელები ვართ. ირაკლი ფეხბურთის ანბანს "ნორჩ დინამოში" თემურ თვალჭრელიძესთან ეუფლებოდა. მერე თვალჭრელიძის გუნდი თბილისის "ლოკომოტივის" მეპატრონე ლექსო თოფურიამ თავისთან გადაიყვანა და ირაკლიც "ლოკომოტივში" გადავიდა.*

*ჭაბუკთა ლიგაში "ლოკომოტივის" იმ ბიჭებთან ერთად თამაშობდა, რომელთაც სპეციალისტები გამორჩეული ნიჭის თაობას უწოდებენ.*

*იყო საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების კანდიდატი, ერთ-ერთ ტესტმატჩში ორი გოლი გაიტანა, მაგრამ ოფიციალურ შეხვედრაში გუნდის ფორმა დღემდე არ მოურგია.*

*2010 წლის სექტემბერში უკრაინაში წავიდა და კიევის "დინამოს" საფეხბურთო სკოლა "დუს 15"-ში ჩარიცხეს, რომელიც უკრაინულ გრანდს მომავალ თაობებს უზრდის. სხვათა შორის, თავის დროზე სწორედ ამ სკოლაში ვარჯიშობდა ჯანო ანანიძე და იქიდან მიიწვიეს მოსკოვის "სპარტაკში".*

*ამპლუით პლეიმეიკერი პირველივე ტურნირზე, კიევის ჩემპიონატში მოეწონათ სპეციალისტებს, განსაკუთრებით დნეპროპეტროვსკელი სელექციონერი აქტიურობდა და "დნიპროს" დუბლებში წაიყვანა. მაშინ ირაკლი 16 წლის იყო და დნეპროპეტროვსკელებთან ერთად 10 დღე ივარჯიშა, მაგრამ იურიდიული საკითხების მოუგვარებლობის გამო "დუს 15"-ში დაბრუნება მოუხდა.*

*2011 წლის სექტემბერში კიევის "ობოლონში" მიიწვიეს და მას შემდეგ დუბლების მოთამაშეა. ირაკლი თებერვლის ბოლოს 18 წლის ხდება და კიეველები პროფესიული კონტრაქტის გაფორმებას სთავაზობენ"* – გვითხრა არჩილ ლერყენაშვილმა.

შევიტყვეთ, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელს **სოსო ჭედიას** ირაკლი მესხიას გასინჯვა სურდა, მაგრამ უკრაინის მოქალაქეობის გამო მისი ჩამოყვანა ვერ მოხერხდა. თუმცა ეს საკითხი ჯერაც აქტუალურია.



ირაკლი ლერყენაშვილი

**მერაბ მამულაშვილი**

ინგლისი. ლიგის თასი. 1/2-ფინალი. საპასუხო მატჩი

# დიდი ხნის შემდეგ უემბლისკენ

იმისთვის, რომ "მანჩესტერ სიტის" სეზონის პირველი ტიტული მოეგო, სულ 2 მატჩის მოგებაღა სჭირდებოდა, მაგრამ მსოფლიოში ყველაზე ხელგაშლილმა კლუბმა ამოცანას თავი ვერ გაართვა. გზაზე მას წინ "ლივერპული" გადაუდგა. მიმდინარე სეზონში პრემიერლიგის გრანდები უკვე მეოთხედ შეხვდნენ ერთმანეთს. აქედან 2 მატჩი ფრედ დასრულდა, ორივე "ენფილდზე", "ეტიჰადზე" კი გუნდებმა თითოჯერ იმარჯვეს. მერსისაიდელებმა 16- წლიანი პაუზის შემდეგ მოიპოვეს "უემბლიზე" ასპარეზობის უფლება.

მატჩი ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყო. აშკარა იყო, რომ "ლივერპული" რომელსაც პირველი მატჩის შემდეგ ერთბურთიანი ფორა ჰქონდა, დაცვას უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა, ვიდრე მისი მეტოქე. თუმცა პირველი აშკარა საგოლე მომენტი მაინც მან შექმნა. **სტიუარტ დაუნინგის** მიერ საჯარიმოში ჩაკიდებული ბურთი **სტეფან სავიჩმა** ვერ მოიგერია და **ხოსე ენრიკეს** პირდაპირ ფეხზე "დაასვა". **ჯო ჰარტმა** ესპანელის ექვსი მეტრიდან დარტყმული სასწაულებრივად, ფეხით აილო. მასპინძლები ამის შემდეგაც აქტიურობდნენ. განსაკუთრებით ეს **კრეიგ ბელამისა** და **გლენ ჯონსონზე** ითქმის, მაგრამ ბოლო მომენტში მათ რაღაც არ ჰყოფნიდათ. შეტევებს ხელს არც "სიტი" აკლებდა. მაგალითად, **დავიდ სილვას** ბრწყინვალე პასი ბოლო მომენტში ჩაჭრა **დანიელ აგერმა**, თორემ ანგარიში ნამდვილად გაიხსნებოდა. მე-16 წუთზე მატჩის ყველაზე სადავო მომენტი მოხდა. კუთხურის გათამაშების შემდეგ **ჩარლი ადამმა ედინ ჯეკოს** უკნიდან ფეხში ჩაარტყა. პრინციპში აქ სადავოც არაფერია. პენალტი ნამდვილად უნდა დანიშნულიყო. ორიოდე წუთში სიტუაცია ისევ "ქალაქელების" კართან გამწვავდა, როცა ჰარტმა ბელამის ურთულესი ბურთი აულო.

31-ე წუთზე ანგარიში გაიხსნა. დავიდ სილვამ ბურთი ცენტრთან ახლოს მიიღო, დაიძრა **პეპე რეინას** კარისკენ და ცენტრისკენ მარტო დარჩენილ **ნაიჯელ დე იონგს** დაუგორა. ჰოლანდიელმა საყრდენმა ბურთი ცოტა წინ გაიგდო და 23-24 მეტრიდან დარტყმა იქამდე მოახერხა, ვიდრე ფეხი გაუცურდებოდა - 0:1. "ლივერპულმა" ისევ შეუტია. მასპინძლები ფლანგებზე ბურთს იოლად ათამაშებდნენ. ალბათ იმიტომ, რომ **რობერტო მანჩინის** გუნდი მოედანზე ცოტა უცნაური განლაგებით გამოვიდა. სამი ცენტრალური მცველის გარდა (**ლესკოტი**-სავიჩი-**რიჩარდსი**), მოედანზე იყვნენ **საბალეტა** და **კოლაროვიც**, რომლებიც ფლანგის მცველის კვალობაზე მეტისმეტად წინ იყვნენ აწეულები და კონტრშეტევებისას დაცვაში პოზიციაზე ჩამოსვლას მეტხანს უნდებოდნენ. მე-40 წუთზე ანგარიში გათანაბრდა. ჯოლეონ ლესკოტის მიერ ცუდად გამოტანილი ბურთი საჯარიმოში აგერს ხაზიდან 10 მეტრში მდგომს მიუვიდა. უკანასკნელმა დაუფიქრებლად დასცხო და რიჩარდსის ხელს მოარტყა. მართალია, მანჩინიმ მატჩის შემდეგ განაცხადა, არბიტრი შეცდაო, მაგრამ ნეიტრალური თვალით დანახულით თუ ვიმსჯელებთ, პენალტი ულაპარაკოდ უნდა დანიშნულიყო. ჯერარდს ფეხი არ აკანკალებია - 1:1. "ლივერპული" ვერც ამან დააწყნარა. ტაიმის ბოლომდე დარჩენილი დრო მათ ისევ შეტევებში გაატარეს.

შესვენებისას მანჩინიმ გუნდის ტაქტიკაში სერიოზული ცვლილებები შეიტანა. მოხსნა თავისი გუნდის შემადგენლობაში ყველაზე სუსტად მოასპარეზე სავიჩი და მოედანზე მის ნაცვლად **სერხიო აგუერო** შეუშვა. თუმცა თამაშის ხასიათში არაფერი შეცვლილა. მასპინძლები გააფთრებით ეძებდნენ გზებს ჯო ჰარტის კარისკენ. საუკეთესო ინგლისელი მეკარე კი მათ ყოველგვარ მცდელობას მშვიდად უმკლავდებოდა. 67-ე წუთზე "ქალაქელებმა" მშვენიერი კონტრშეტევა წამოიწყეს. ჯერარდმა კოლაროვს ფლანგიდან ჩაწოდებაში ხელი ვერ შეუშალა. ვერ ივარგა აგერმაც, ვისაც ჯეკო ზურგსუკნიდან გამოუხტა და რეინას 3 მეტრიდან გაუტანა - 1:2. ზუსტად შვიდ წუთში სამმა ლივერპულელმა სასწაული ჩაიდინა. შეიძლება ითქვას, რომ კუიტი-ბელამი-ჯონსონი-ბელამის მიერ საჯარიმოში გათამაშებულმა კომბინაციამ "სიტის" თავმოყვარეობა "ტალახში" [illegible]. უელსელმა თავდამსხმელმა ახლო მანძილიდან გაათანაბრა – 2:2.



ეს წამია, კრეიგ ბელამიმ ანგარიში 2:2 გახადა

### მატჩის შემდეგ

**კენი დალგლიში** (ლივერპული): *"მინდა მთელ "ლივერპულს" მადლობა ვუთხრა. უკვე ბევრჯერ მითქვამს, რომ თუკი ერთად ვიდგებით, ამით მხოლოდ მოვიგებთ. ფინალში გასვლა უზარმაზარი ჯილდოა ჩვენთვის. განსაკუთრებულად მონდომებული დღეს ბელამი იყო. დარწმუნებული ვარ, რომ ამ საღამოსგან მან ისეთივე დიდი სიამოვნება მიიღო, როგორც ჩვენ. მინდა მას განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა გამოჩენილი თავდადებისთვის. ჯერარდი არ იყო ისეთი ეფექტური, როგორც ყოველთვის, რადგან სტივი მისთვის ჩვეულ პოზიციაზე არ თამაშობდა. ჯერარდი ამ მსხვერპლზე გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე წავიდა. ამისთვის ის აპლოდისმენტებს იმსახურებს. ახალ უემბლიზე "ლივერპული" პირველად ითამაშებს. არ მახსოვს, ზუსტად როდის ვიყავით იქ ბოლოს, მაგრამ მშვენივრად ვხვდებით, სადაც მივდივართ".*

**სტივენ ჯერარდი** (ლივერპული): *"განსაკუთრებული გრძნობაა. ამ ფინალს 2006 წლის შემდეგ ველოდით. მოხარული ვარ, რომ ტიტულს ერთ ნაბიჯში მივუახლოვდით. აუცილებლად უნდა გამოვყო ბელამის თამაში, ვინც დღეს ჩვენ აშკარა მარცხისგან გვიხსნა".*

**რობერტო მანჩინი** (მანჩესტერ სიტი): *"ვფიქრობ, მატჩს აუცილებლად მოვიგებდით, ადამის მიერ ჯეკოს ნაქცევისთვის პენალტი რომ დანიშნულიყო. არადა, წესის დარღვევა ულაპარაკოდ იყო. ეს არ არის მსაჯის კრიტიკა, უბრალოდ, მე ასე ვფიქრობ. შეტევაში ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, თუმცა იმედგაცრუებულები ვართ შედეგით. ანგარიშის გათანაბრების შემდეგ კარგად გამოვიყურებოდით, თუმცა დღეს უფრო გაგვიჭირდა, ვიდრე პირველ მატჩში, რადგან "ლივერპული" მართლა ძალიან ძლიერი იყო".*

დისკვალიფიკაცია

# ბალოტელი თანახმაა


მარიო ბალოტელი სიტის პრემიერლიგაში 25 თებერვლამდე ვერ დაეხმარება

"მანჩესტერ სიტის" იტალიელ თავდამსხმელ **მარიო ბალოტელის სკოტ პარკერის** წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის საფეხბურთო ასოციაციის მიერ მისთვის მისჯილი 4-მატჩიანი დისკვალიფიკაციის გასაჩივრებისთვის ვადა ოთხშაბათის ღამემდე ჰქონდა. 21 წლის ფეხბურთელმა ეს უფლება არ გამოიყენა, რაც იმას ნიშნავს, რომ დისკვალიფიკაცია ძალაში შევიდა. შეგახსენებთ, რომ არბიტრმა **ჰოვარდ ვებმა** ხსენებული ეპიზოდი არ ჩათვალა განსაკუთრებული ყურადღების ღირსად. თუკი ვები ყვითელ ბარათს გამოიყენებდა, ეს ნიშნავდა, რომ ბალოტელი უნდა გაეძევებინა, რადგან ყვითელი მას იქამდეც ჰქონდა. არბიტრმა მოხსენებით ბარათში ინციდენტზე მაინც მიუთითა. შესაბამისად, ასოციაციას მიეცა უფლება, რომ სპეციალურ კომისიას ეპიზოდი განეხილა. შედეგი თქვენ უკვე იცით. დისციპლინარებმა მიიჩნიეს, რომ ბალოტელის მოქმედება სხვა არაფერი იყო, თუ არა წინასწარ განზრახული უხეშობა, რის გამოც მას 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ასოციაციის წესდებით, სეზონის განმავლობაში მეორედ გაძევებულ ფეხბურთელს სასჯელი დამატებით ერთი მატჩით უმძიმდება. ბალოტელიმ "ლივერპულთან" პირველი შეხვედრა უკვე გამოტოვა. გარდა ამისა, ის გუნდს პრემიერლიგაში "ევერტონთან" (31.01), "ფულჰემსა" (4.02) და "ასტონ ვილასთანაც" (12.02) დააკლდება.

მარიოს იტალიელმა აგენტმა **მინი რაიოლამ** განაცხადა, ჰოვარდ ვების საქციელი მშიშარა ადამიანისას ჰგავდა, რადგან მატჩის შემდეგ "ტოტენჰემის" მთავარი მწვრთნელის **ჰარი რედნაპის** ზეგავლენის ქვეშ მოექცა და მოხსენებით ბარათში ჩემი კლიენტის საქციელი მხოლოდ ამის გამო ჩაწერაო. რაიოლას საფეხბურთო ასოციაციის წარმომადგენელმა **დევიდ ბერნშტეინმა** უპასუხა: *"ჰოვარდ ვების შესაძლებლობებში და მის სამართლიანობაში ეჭვი ალბათ არავის შეაქვს. არბიტრებს ხშირად უხდებათ რთული გადაწყვეტილებების მიღება. მათ არ აქვთ საშუალება, რომ გამეორებები იხილონ და ეპიზოდი ისე განსაჯონ. ბალოტელისთან დაკავშირებული სიტუაციაც ერთ-ერთი ასეთი იყო".*

არსენალი



ბაკარი სანია გუნდს 4-თვიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა

"არსენალის" მარჯვენა მცველი **ბაკარი სანია** ბოლომდე გამოჯანმრთელდა და ოთხშაბათს გუნდთან ერთად სრულფასოვანი ვარჯიშები განაახლა. ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს, რომ 28 წლის ფრანგი მინდორზე გამოსასვლელად მზადაა, რადგან ამის საშუალებას ფეხბურთელს ფიზიკური კონდიციები არ მისცემს. შეგახსენებთ, რომ 2 ოქტომბერს "უაით ჰარტ ლეინზე" "ტოტენჰემთან" მატჩისას (2:1) ფეხბურთელმა მარჯვენა ფეხზე წვივის ძვალი გაიტეხა და მას შემდეგ არ უთამაშია. სანიას მეორე დღესვე ჩაუტარდა ოპერაცია. ექიმების თქმით, 3 თვის შემდეგ ის სრულად უნდა გამოჯანმრთელებულიყო, მაგრამ პროგნოზი არ გამართლდა, რიგი გართულებების გამო მკურნალობა გახანგრძლივდა. *"დღეს ცოტა ვინერვიულე კიდეც, რადგან ამხელა პაუზის შემდეგ სრულფასოვან ვარჯიშებს დავუბრუნდი,"* – დაწერა ფეხბურთელმა ტვიტერში.

"მეთოფეები" უახლოეს დღეებში **თეო უოლკოტთან** ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკებების დაწყებას გეგმავენ. 23 წლის ფეხბურთელს ხელშეკრულება ლონდონურ კლუბთან 2013 წლის ივნისში ეწურება. მისით "ლივერპული" დიდი ხნის წინ დაინტერესდა და "არსენალს" საქმის მოგვარება სწორედ ამიტომ ეჩქარება. ერთადერთი, რითაც უოლკოტი ლონდონში უკმაყოფილოა, მისი სათამაშო პოზიციაა. ფეხბურთელის აზრით, ყველაზე ეფექტური ის ცენტრალური თავდამსხმელის ადგილას იქნებოდა. **არსენ ვენგერი** კი უკვე წლებია, მას ჯიუტად ფლანგზე ათამაშებს. წესით, ახალი კონტრაქტის გაფორმებას წინ არაფერი უნდა დაუდგეს.

ასტონ ვილა

# აგბონლაჰორი ვილას ერთგულია

"ასტონ ვილას" 25 წლის თავდამსხმელმა **გაბრიელ აგბონლაჰორმა** მოკრძალებულად სთხოვა ფეხბურთელით დაინტერესებულ კლუბებს, შეეწყვიტათ მისი გადაბირების მცდელობები, რადგან "ვილა პარკიდან" სხვაგან წასვლას ის არ აპირებს. 2010/11 წლების სეზონის ჩაგდების შემდეგ, ფეხბურთელი წელს კარგად გამოიყურება. მის ანგარიშზე 5 გოლი და ამდენივე საგოლე გადაცემაა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

იტალიის თასი. 1/4 ფინალი

# ინტერი მატადორმა გააჩერა

## სიენა უკვე ევროსაგზურზე ოცნებობს

**კიევო–სიენა 0:1**

**გოლი:** 0:1 დესტრო (54).

**ნაპოლი–ინტერი 2:0**

**გოლები:** 1:0 კავანი (50-პენ.), 2:0 კავანი (90).

სანამ ნეაპოლურ პაექრობაზე გადავალთ, მოკლედ ვთქვათ ვერონაში გამართული შეხვედრის შესახებ. „კიევომ“ და „სიენამ“ გადახალისებული შემადგენლობით ითამაშეს სათასო პაექრობა, რამაც სტუმრებს გაუმართლათ და ტოსკანელები ნახევარფინალში გავიდნენ. შეხვედრის ერთადერთი და გამარჯვების გოლი **მატია დესტრომ** გაიტანა, რომელიც სულ ორი წუთის გასული იყო მოედანზე, როდესაც თავის გამოჩენა შეძლო და მატჩის ბედი გადაწყვიტა. „სიენა“ ნახევარფინალშია, ეს უკვე დიდი წარმატებაა და სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება ნამატჩევს გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, **ჯუზეპე სანინომ**:

*„ძალიან კარგად ვითამაშეთ და მომდევნო ეტაპზე სრულიად დამსახურებულად გავედით. ვამაყობ ჩემი შეგირდებით, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს მიზნის მისაღწევად. დღეს უკვე ფინალზე ვფიქრობთ და თუ ეს ამოცანაც გადავჭერით, დიდი ალბათობით ევროპის ლიგის საგზურს მოვიპოვებთ, რაც ჩვენი გულშემატკივრებისთვის უდიდესი საჩუქარი იქნება. ვნახოთ, დრო ყველაფერს გამოაჩენს“.*

უფრო საინტერესო შეხვედრა „სტადიო სან პაოლოზე“ გაიმართა, სადაც „ნაპოლიმ“ „ინტერს“ უმასპინძლა, ზუსტად ისე, როგორც ერთი წლის წინ... დიახ, მაშინაც თასის მეოთხედფინალი გახლდათ და მაშინაც ნეაპოლში იყო თამაში - ერთი განსხვავებით, გასულ სეზონში გამარჯვება მილანურმა გრანდმა მოიპოვა, წელს კი მომდევნო ეტაპზე „ნაპოლიმ“ გააღწია.

თამაში თანაბარი გამოდგა, მხოლოდ ეგ იყო, რომ ნეაპოლელები უფრო სწრაფად, მაღალ ტემპში ირჯებოდნენ და შესაბამისად, მათი იერიშები უფრო მწვავე იყო. ისე კი, მომენტები ორივე კართან დაახლოებით თანაბარი რაოდენობით შეიქმნა. ორივე გოლი **ედინსონ კავანის** ანგარიშზეა და ორივე მათგანი მეორე ტაიმში გავიდა.

შეხვედრის განახლებიდან ხუთი წუთი არ იყო გასული, როდესაც „მატადორმა“ (ასე ეძახიან კავანის იტალიაში) მეტოქის საჯარიმოში ორ მცველს აუარა გვერდი და როდესაც დარტყმა დააპირა, **ტიაგო მოტასგან** კვანტი მიიღო - არბიტრს ერთი წუთიც არ უყოყმანია და ხელი თერთმეტმეტრიანი ნიშნულისკენ გაიშვირა... ბურთთან თავად დაზარალებული მივიდა, ცენტრში დაარტყა და მარჯვნივ გადამხტარი **ლუკა კასტელაცი** ხელმოცარული დატოვა, 1:0. „ინტერი“ მთელი ძალებით გადავიდა მეტოქის ნახევარზე და რამდენჯერმე ახლოსაც იყო გატანასთან, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში მილანელებს ყოველთვის რაღაც აკლდებოდათ. მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში ედინსონ კავანიმ სოლო-რეიდი გამოაცხო, ორ მცველთან ერთად მეკარესაც აუარა გვერდი, ულამაზესი გოლი გაიტანა და შეხვედრის საბოლოო შედეგი დააფიქსირა, 2:0.



ედინსონ კავანი შეუჩერებელი იყო

მატჩის შემდეგ, ყურადღების ცენტრში დუბლის ავტორი გახლდათ და სწორედ მის კომენტარს შემოგთავაზებთ: *„ჩვენი მიზანი ყველა ფრონტზე წარმატების მიღწევაა და ძალიან მიხარია, რომ თასის ნახევარფინალურ ეტაპზე გასვლა შევძელით. „ინტერის“ დამარცხება უმნიშვნელოვანესი იყო, რადგან ეს სტიმულს გაგვიორმაგებს სერია A-შიც გამოვასწოროთ მდგომარეობა. ამასთან, დროა უკვე „ნაპოლიმ“ ტროფეი მოიგოს და შესაბამისად, თასისთვის ბრძოლა ამ მხრივ დიდ პერსპექტივას გვაძლევს“.*

**გუშინ**

**მილანი–ლაციო 3:1**

**მილანი (4-4-2):** ამელია – აბატე, მექსე, ბონერა, მესბა – მერკელი (70. იბრაჰიმოვიჩი), ვან ბომელი, ნოჩერინო, ზეედორფი (74. ემანუელსონი) – რობინიო (90. კალვანო), ელ შაარავი.

**ლაციო (4-4-2):** მარკეტი – დიაკიტე (46. ლედესმა), დიასი, სტანკევიჩუსი, კონკო - ლულიჩი, მათუზალემი (77. დელ ნერო), გონსალესი, ერნანესი – როკი (63. კლოზე), სისე.

**გოლები:** 0:1 სისე (5), 1:1 რობინიო (15), 2:1 ზეედორფი (18), 3:1 იბრაჰიმოვიჩი (84).

**მაყურებელი:** 38 000

ტაქტიკების ქიდილი

ძნელია გაიხსენო მატჩი, რომელმაც არა მარტო ერთ კონკრეტულ სატურნირო ცხრილში, არამედ მთლიანად ფეხბურთში შეცვალა ვითარება. ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი - ჩვენ სწორედ ერთ ისეთ შეხვედრას გადავწვდებით, რომელმაც მსოფლიო თუ არა, იტალიური ფეხბურთის მასშტაბით მაინც გამოიწვია საკმაოდ სერიოზული ცვლილებები...

1997 წლის აპრილი იდგა, როდესაც სერია A-ს ერთ-ერთ რიგით კალენდარულ შეხვედრაში „იუვენტუსი“ „უდინეზეს“ მასპინძლობდა. ტურინული გრანდი მაშინ ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებული იყო და მორიგი ტიტულის, სკუდეტოს მოსაპოვებლად დიდი ნაბიჯებით მიიწევდა წინ. „უდინეზე“ არც დღესაა გრანდი და მაშინ სულაც მუდამ ცხრილის შუა გულში გაჭედილი გუნდი იყო, რომელსაც ახალგაზრდა სპეციალისტი, **ალბერტო ძაკერონი** ედგა სათავეში. შეხვედრა ახალი დაწყებული იყო, როდესაც მატჩის არბიტრმა უდინელი **ტომას ჰელვეგი** გააძევა მოედნიდან და ისედაც აუტსაიდერად შერაცხილი „უდინეზე“ მრისხანე მეტოქესთან კაცნაკლული დატოვა. თითქოს ყველაფერი გაცხადდა, „იუვეს“ ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაეშვა და ყველა ლოგიკით, საკუთარ კედლებში მეტოქე მიწასთან გაესწორებინა... მაგრამ, მოხდა ის, რასაც მართლაც არავინ ელოდა: „უდინეზემ“ სამი უპასუხო გოლი გაუტანა ჩემპიონთა ლიგის მოქმედ გამარჯვებულს, ევროპული ფეხბურთის აღიარებულ გრანდს და სახლში სამი ქულით ხელდამშვენებული დაბრუნდა. სეზონის დარჩენილი ნაწილი „უდინეზემ“ შესანიშნავად განვლო, არც ერთი შეხვედრა აღარ წაუგია და ცხრილის შუაგულიდან მეხუთე ადგილამდე აცოცდა. მომდევნო სეზონში ძაკერონის გუნდმა სულაც მესამე პოზიციაზე დაასრულა ჩემპიონატი და პოპულარობის ზენიტში მყოფი სპეციალისტი „მილანში“ გადაბარგდა. მაინც რა მოხდა 1997 წლის აპრილის იმ განსაკუთრებულ დღეს? - როგორ მოუგო კაცნაკლულმა „უდინეზემ“ „იუვენტუსს“ გამანადგურებელი ანგარიშით და თანაც ტურინში?...

„იუვენტუსთან“ მატჩისთვის ძაკერონიმ 4-4-2 ტაქტიკა აირჩია, სქემა, რომელიც იმ პერიოდში აბსოლუტურად უკონკურენციო გახლდათ აპენინებზე. მარჯვენა მცველად ტომას ჰელვეგი ჰყავდა გამწესებული, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტარტზევე გააძევეს მოედნიდან. საყოველთაო მოლოდინით, ძაკის ფორვარდი უნდა მოეხსნა თამაშიდან, მცველი შეეყვანა მოედანზე და შეხვედრა 4-4-1-ით განეგრძო. თუმცა, ალბერტომ სულ სხვა გადაწყვეტილება მიიღო: უდინელთა მწვრთნელს ცვლილება არ მოუხდენია, უბრალოდ, ერთ-ერთი ფორვარდი უკან დაწია, ნახევარდაცვას მიახმარა და თამაში 3-4-1-1 სქემით განაგრძო. შეტევის წინა ხაზზე **ოლივერ ბირჰოფი** დატოვა, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, ანუ მაშინ, როდესაც შეტევაში უდინური გუნდი იყო, უკან დახეული **მარსიო ამორუზო** წინ მიდიოდა და ჩვეულებისამებრ ფორვარდის ფუნქციას ასრულებდა. ამ ტაქტიკას დაბნეულმა ტურინელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს, ამორუზოს დუბლს ბირჰოფმა ერთი გოლი დაუმატა და ტურინში ფრიულელებმა საოცარი გამარჯვება იზეიმეს.

# 3–5–2 VS 4–4–2




## ყველაზე იტალიური თემა

ეს ყველაფერი კი იმად გავიხსენეთ, რომ სწორედ ამ თამაშის შემდეგ დაიწყო იტალიაში 3-5-2-ის ბუმი და ერთი ხანობა, მწვრთნელთა აბსოლუტური უმეტესობა სწორედ ამ ტაქტიკას იყენებდა. სწორედ ამ სქემით გახდა ძაკერონის „მილანი“ იტალიის ჩემპიონი, როდესაც დაცვის ხაზში **ალესანდრო კოსტაკურტა, პაოლო მალდინი** და **ბრუნო ნგოტი** მოქმედებდნენ. თუმცა, ეს ბუმი არცთუ დიდ ხანს გაგრძელდა და მალე დომინანტი ტაქტიკა ისევ 4-4-2, უფრო კონკრეტულად 4-3-1-2 გახდა. და აი, 3-4 წლის წინ, იტალიურმა საფეხბურთო სამყარომ გაიხსენა კარგად დავიწყებული ძველი და დღეს, 3-5-2 (თუნდაც 3-4-3) ისევ მოდური ხდება. აღნიშნული სქემა აქტიურ ბრძოლაშია ჩაბმული 4-3-1-2-თან და თუ ასე გაგრძელდა, მალე აჯობებს კიდეც...

საგულისხმოა, რომ 3-მცველიანი ტაქტიკის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ლობისტი დღესაც „უდინეზეა“, რომელსაც **ფრანჩესკო გვიდოლინი** უდგას სათავეში. სწორედ მისი თავკაცობით მიაღწია ფრიულურმა გუნდმა ბოლო წარმატებებს და დღესაც უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის. გვიდოლინის გზას ადგას „ნაპოლის“ თავკაცი **ვალტერ მაძარი**, რომელიც ასევე 3-5-2-ის მიმდევარია - შეგვიძლია უცებ გავიხსენოთ კიდეც: დაცვაში **კანავარო, არონიკა** და **კამპანიარო**; ნახევარდაცვაში: **მაჯო, გარგანო, დოსენა, ინლერი** და შეტევაში: **ჰამშიკი, ლავეცი, კავანი**; ეს უფრო 3-4-3 გამოვიდა, მაგრამ ამას უკვე აღარ აქვს არსებითი მნიშვნელობა. აქ მთავარი დაცვაა, სადაც გვიდოლინისაც და მაძარისაც 3 მოთამაშე უყენიათ. „უდინეზესი“ არ იყოს, „ნაპოლიც“ წარმატებით ასპარეზობს და წლიდან წლამდე პროგრესირებს...



ალბერტო ძაკერონი 3 მცველის აქტიური ლობისტია

2007 წელს, „ჯენოას“ **ჯანპიერო გასპერინი** ჩაუდგა სათავეში, სწორედ 3-5-2 დანერგა გენუურ გუნდში და მოკლე დროში არნახულ წარმატებებს მიაღწია - კრიზისში მყოფი „ჯენოა“ ფერზე მოიყვანა და ძალიან მალე, ელიტარულ დივიზიონში აიყვანა. შემდეგ „ინტერში“ აღმოჩნდა ჯანპიერო, იქაც სცადა საფირმო ტაქტიკის დანერგვა, მაგრამ ამ შემთხვევაში უკვე აღარ გამოუვიდა, ან შესაძლოა არც დასცალდა. თუმცა, „ინტერი“ იქით იყოს და ფაქტია, რომ „ჯენოას“ არანორმალური პროგრესი სწორედ 3-5-2-მა მოუტანა.

დღეს, 3-მცველიან სქემას ზემოხსენებული მწვრთნელების გარდა, კიდევ არაერთი გუნდი იყენებს: „ფიორენტინა“, „პარმა“, „ლეჩე“, „ჯენოა“, „ბოლონია“, „კატანია“, „ნოვარა“. სამაგიეროდ, 4-4-2-ზე და ამ ტაქტიკის სხვადასხვა ვარიაციაზე დგანან „მილანი“, „იუვენტუსი“, „ინტერი“, „ლაციო“ და ა.შ. საინტერესო ამბავი ხდება „რომაში“, რომელიც ამ ორი სქემის ერთგვარ სინთეზს გვთავაზობს - **ლუის ენრიკე** 4-3-3 სქემას იყენებს, მაგრამ როდესაც დედაქალაქელები უტევენ, ფლანგის მცველები შეტევაში გარბიან, საყრდენი **დანიელე დე როსი** კი უკან იხევს და შედეგად, ვიღებთ 3-4-3 სქემას - სამაგიეროდ, დაცვით ფაზაში, გუნდი ჩვეულ ტაქტიკას, 4-4-3-ს უბრუნდება... ეს „ბარსელონას“ სკოლაა და ვნახოთ, რა გამოუვა ესპანელ სპეციალისტს.

და მაინც, სერია A-ს 2011/2012 წლების სეზონში, ერთმანეთს ორი საფეხბურთო ხედვა, ორი ტაქტიკური მონახაზი უპირისპირდება: 4-4-2 VS 3-5-2; ან, გნებავთ 4-3-1-2 VS 3-4-3; მიმდინარე სეზონი ამ მხრივ შესაძლოა გარდამტეხიც კი აღმოჩნდეს და მომდევნო წლებში ის საფეხბურთო მოდა დაკანონდეს, რომელიც წელს იძალებს. ბოლოს, სიტყვა ალბერტო ძაკერონის, ფრანჩესკო გვიდოლინისა და **მარჩელო ლიპის** გადავცეთ - პირველი ორი 3-მცველიანი ტაქტიკის უპირატესობაზე გაგვიზიარებენ საკუთარ მოსაზრებას, მეორე კი თავის საყვარელ 4-4-2-ს დაიცავს...

### ალბერტო ძაკერონი (3-5-2):

სამი მცველი ბევრ უპირატესობას იძლევა და ამ ყველაფერზე სასაუბროდ შეიძლება ერთი, ან ორი საათიც კი არ მეყოს. როდესაც „უდინეზეში“ 3-5-2 დავნერგე, ბევრმა ჩათვალა, რომ ამით ნახევარდაცვაში მსურდა უპირატესობის მოპოვება და ბურთზე კონტროლის დაწესება... სინამდვილეში, ჩემი მიზანი იყო, რომ დაცვიდან თავდასხმაში რაც შეიძლება სწრაფად გადავსულიყავით და ამ მიზანს მივაღწიეთ კიდეც. ყველაზე ცუდია, როდესაც ბურთს მცველი იღებს და სწრაფად ვერ აწვდის ნახევარმცველს, რათა კონტრშეტევა განვითარდეს - როდესაც მოედნის შუაგულში 5 ფეხბურთელია, ამის გაკეთება უპრობლემოდ შეიძლება და კონტრიერიშიც ელვის სისწრაფით ვითარდება. ეს ერთ-ერთი პლუსია, რომელსაც 3-მცველიანი სქემა იძლევა.

### ფრანჩესკო გვიდოლინი (3-5-2)

ჯერ კიდევ რინუს მიხელსი ამბობდა, რომ გუნდი იდეალურად მაშინ იცავს თავს, როდესაც მცველები ერთიით აღემატებიან თავდამსხმელებს. რადგან თანამედროვე ფეხბურთში წინა ხაზზე ერთი, ან მაქსიმუმ ორი ფეხბურთელი ირჯება, სამ მცველზე მეტის საჭიროებას უბრალოდ ვერ ვხედავ და ამ საკითხში ლეგენდარულ ჰოლანდიელ მწვრთნელს 100%-ით ვეთანხმები. ანუ, ის ზედმეტი ფეხბურთელი შეგიძლია სხვა პოზიციაზე გამოიყენო და ამით, შენი გამარჯვების შანსი გაზარდო.

### მარჩელო ლიპი (4-4-2)

თანამედროვე ფეხბურთში გუნდების, განსაკუთრებით კი გრანდების უმეტესობა გარემარბებით თამაშობს - მაგალითად, მიუნხენის „ბაიერნი“ ავილოთ, რომელიც ერთი ფლანგიდან არიენ რობენით გიტევს, მეორედან კი ფრანკ რიბერით... ასეთ გუნდთან სამი მცველით თამაში პრაქტიკულად დამღუპველია, რადგან ორივე მათგანს ერთი მეტოქის მოტყუება თავისუფლად შეუძლია. იგივე შეიძლება ვთქვათ „ბარსელონაზე“, „რეალზე“ და სხვა არაერთ გუნდზე, რომლებიც დღეს საფეხბურთო მოდას აკანონებენ. ვფიქრობ, 3-მცველიანი ტაქტიკით გარკვეულ ეტაპამდე წარმატების მიღწევა შეიძლება, მაგრამ დიდ მწვერვალებამდე 4 მცველით თამაში უფრო მიგიყვანს. ასე რომ, მე ჩემი საბაზო ტაქტიკის ერთგული ვრჩები.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

გერმანია. ბუნდესლიგა. პარასკევის მატჩის წინ



მირკო სლომკა (მარცხნივ) და დიტერ ჰეკინგი

# მეგობრების დუელი ჰანოვერში

**დღეს**

**ჰანოვერი–ნიურნბერგი 23:45**

**პირველ წრეში: 2:1**

**ტრავმა:** კ. შულცი, ანდრეასენი, კარლიტოსი, ჰაუგერი – ჩენდლერი, კლოზე, პინოლა, ბალიტში

ბუნდესლიგის მე-19 ტური დღეს, „ჰანოვერისა“ და „ნიურნბერგის“ მატჩით იწყება. ეს გუნდები პირველი ბუნდესლიგის ეგიდით ერთმანეთს 31-ჯერ შეხვდნენ და 4 წელია, მათ შორის ფრე არ დაფიქსირებულა. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ „ჰანოვერი“ მიმდინარე სეზონში „ფრეების მეფეა“ (9 ფრე 18 ტურში), დიდია იმის შანსი, რომ ქვემო საქსონიელებსა და ფრანკებს შორის ხანგრძლივი პაუზის შემდეგ პირველი ყაიმი სწორედ დღეს დაფიქსირდეს.

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ **მირკო სლომკას** შეგირდებს 8-მატჩიანი მოუგებელი სერია აქვთ, რაც ამბიციური „ჰანოვერისთვის“ არასახარბიელო ტენდენციაა. „წითლების“ მიზანი ამ სეზონში ევროპის ლიგის საგზურის მოპოვებაა და თუ „ნიურნბერგთანაც“ ვერ გაიმარჯვებენ, სლომკას ბიჭებს ამ მხრივ საქმე გაურთულდებათ.

რაც შეეხება „ნიურნბერგს“: **დიტერ ჰეკინგის** გუნდმა ზედიზედ ორი თამაში მოიგო და გასავარდნ ზონასთან 4-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა. „ნიურნბერგი“ ექსჰანოვერელ **ჰანო ბალიტშს** ისევ ვერ გამოიყენებს. სამაგიეროდ, დისკვალიფიკაცია მოიხადა და მოედანზე გასვლა შეუძლია **მარკუს ფოილნერს**, რომელსაც ჰეკინგი სავარაუდოდ მარჯვენა მცველის პოზიციაზე გაამწესებს.

საინტერესოა ისიც, რომ სლომკა და ჰეკინგი ახლო მეგობრები არიან...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 18 | 12 | 1 | 5 | 44-13 | 37 |
| 2. ბორუსია (დ) | 18 | 11 | 4 | 3 | 40-13 | 37 |
| 3. შალკე | 18 | 12 | 1 | 5 | 41-23 | 37 |
| 4. ბორუსია (მ) | 18 | 11 | 3 | 4 | 28-12 | 36 |
| 5. ვერდერი | 18 | 9 | 3 | 6 | 30-31 | 30 |
| 6. ლევერკუზენი | 18 | 8 | 5 | 5 | 25-24 | 29 |
| 7. ჰანოვერი | 18 | 5 | 9 | 4 | 20-24 | 24 |
| 8. ჰოფენჰაიმი | 18 | 6 | 5 | 7 | 19-19 | 23 |
| 9. ვოლფსბურგი | 18 | 7 | 2 | 9 | 24-34 | 23 |
| 10. შტუტგარტი | 18 | 6 | 4 | 8 | 24-23 | 22 |
| 11. კიოლნი | 18 | 6 | 3 | 9 | 27-36 | 21 |
| 12. ნიურნბერგი | 18 | 6 | 3 | 9 | 19-28 | 21 |
| 13. ჰერტა | 18 | 4 | 8 | 6 | 24-28 | 20 |
| 14. ჰამბურგი | 18 | 4 | 7 | 7 | 22-32 | 19 |
| 15. მაინცი | 18 | 4 | 6 | 8 | 24-32 | 18 |
| 16. კაიზერსლ. | 18 | 3 | 8 | 7 | 13-21 | 17 |
| 17. ფრაიბურგი | 18 | 4 | 4 | 10 | 22-39 | 16 |
| 18. აუგსბურგი | 18 | 3 | 6 | 9 | 15-29 | 15 |

**ბომბარდირები:** 16 – გომესი (ბაიერნი); 15 – ჰუნტელაარი (შალკე); 14 – ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/), პოდოლსკი (კიოლნი); 12 – პისარო (ვერდერი); 11 – როისი (ბორუსია /მ/); 10 – რაული (შალკე).

ჰერტა



„ჰერტას“ ახალი მარცხენა მცველი ფელიქს ბასტიანსი

# კობის კონკურენტი ბერლინშია!

## ...და სკიბე არ გამორიცხავს, რომ ჰამბურგთან ათამაშოს

როგორც მოსალოდნელი იყო, ბერლინის „ჰერტამ“ „ფრაიბურგის“ მარცხენა მცველი **ფელიქს ბასტიანსი** ახლავე გადაიბირა. დედაქალაქელებს 23 წლის ფლანგის უკანახაზელი მომავალი სეზონისთვის უკვე დაბევებული ჰყავდათ – იმის გამო, რომ ბასტიანსს ბრაისგაუელებთან კონტრაქტი უმთავრდებოდა, „ჰერტა“ მას ხელში უფასოდ ჩაიგდებდა. შესაბამისად, „ფრაიბურგს“ სხვა გზა აღარ ჰქონდა: თუ ბასტიანსის ტრანსფერით ფინანსური ხეირის ნახვა სურდათ, ახლავე უნდა დაეთმოთ და სწორედ ასეთი ნაბიჯი გადადგეს.

ფელიქს ბასტიანსი ბერლინში გუშინ წარადგინეს, ნაშუადღევს კი მან ახალ თანაგუნდელებთან ერთად ივარჯიშა. ბერლინში მას 4-წლიანი კონტრაქტი გაუფორმეს და როგორც გაირკვა, „ჰერტამ“ ფრაიბურგს ნახევარი მილიონი ევრო გადაუხადა. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო, რა თქმა უნდა, ბასტიანსის **ლევან კობიაშვილთან** კონკურენციაა. ბერლინელთა თავკაცი **მიხაელ სკიბე** აღნიშნავს, რომ ფელიქსი ქართველის კარგი ალტერნატივაა, თუმცა არ გამორიცხავს, რომ ახალწვეული ხვალვე, „ჰამბურგთან“ ათამაშოს.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ „ჰერტამ“ მარჯვენა მცველ **კრისტიან ლელს** ახალი კონტრაქტი გაუფორმა, რომელსაც ვადა ასევე 2016 წლამდე აქვს. ამ უკანასკნელს მიმდინარე სეზონში 17 მატჩი აქვს ჩატარებული და მის ანგარიშზე ერთ გოლთან ერთად, ორი საგოლე პასიცაა.

ბუნდესლიგა. მწვრთნელების შედარება

# დონ იუპი, კლოპო, ჰუუბი და ლუსიენი

## იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის და ვინ გაიცინებს ბოლოს?

მე-19 ტურის წინ ბუნდესლიგის ცხრილის სათავეში ვითარება უკიდურესად დაძაბულია. მართალია, მხოლოდ მიუნხენში აღიარებენ იმას, რომ მხოლოდ და მხოლოდ ჩემპიონობისთვის იბრძვიან, მაგრამ რაც უნდა ეცადონ თავის არიდებას, ფაქტი ფაქტად რჩება: დღესდღეობით „ბაიერნს“, დორტმუნდის „ბორუსიას“ და „შალკეს“ 37-37 ქულა აქვთ, მიონხენგლადბახის „ბორუსია“ კი მათ მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება. თანაც, ეს გუნდები ისეთ ფორმაში არიან, რომ თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, „ვერდერი“ და „ლევერკუზენი“ მათ კონკურენციას ვერ გაუწევენ. ასე რომ, ლოგიკურად, პირველობისთვის ოთხთაბრძოლა უნდა ვიხილოთ.

ვის დარჩება „ვერცხლის სინი“? დაგვეთანხმებით, მწვრთნელები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ და ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ „ბაიერნის“, „დორტმუნდის“, „შალკეს“ და „გლადბახის“ თავკაცები ერთმანეთს შევადაროთ.

### იუპ ჰაინკესი

66 წლის, ბაიერნი

**სერიოზული წარმატებები:** „დონ იუპმა“ მწვრთნელის რანგში, „ბაიერნთან“ ერთად ორჯერ მოიგო გერმანიის ჩემპიონატი – 1989 და 1990 წლებში. 1998 წელს **ჰაინკესმა** მადრიდის „რეალს“ ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა.

**სერიოზული წარუმატებლობა:** 1991 წლის ოქტომბერში „ბაიერნიდან“ გაათავისუფლეს.

**მოტივაციის ტრიუკები:** ფეხბურთელებს ხშირად ესაუბრება – უმეტესად ცალკე.

**მართვის სტილი:** მკაცრი, მაგრამ გულახდილი და მეგობრული.

**საუკეთესო ციტატა:** *„ული ჰიონესს და კარლ-ჰაინც რუმენიგეს კარგად ვიცნობ, ვიცი, როგორ ცხოვრობს და მუშაობს ფრანც ბეკენბაუერიც. მგრძნობიარე მწვრთნელებს მათთან თანამშრომლობას არ ვურჩევ.“*

### იურგენ კლოპი

44 წლის, ბორუსია (დ)

**სერიოზული წარმატება:** გერმანიის ჩემპიონობა „დორტმუნდთან“ ერთად, 2011 წელს.

**სერიოზული წარუმატებლობები:** შემოდგომაზე მისმა „ბორუსიამ“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი ვერ გადალახა – დორტმუნდელებმა ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავეს. 2007 წელს **კლოპის** განწრთნილი „მაინცი“ პირველიდან მეორე ბუნდესლიგაში გავარდა.

**მოტივაციის ტრიუკები:** ფეხბურთელები ამბობენ, რომ კლოპი იდეალური მოტივატორია და ყოველთვის ახერხებს მოთამაშეების აზრზე მოყვანას. იურგენი ხშირად ულაწუნებს სახეში შეგირდებს და ეს მისგან არავის სწყინს. სამაგიეროდ, კლოპი ყოველთვის ბოლომდე იცავს თავის შეგირდებს და მათ ბოლომდე ენდობა. მაგალითად, შარშან **ნური შაჰინმა** (ახლა „რეალში“ თამაშობს) ზედიზედ სამი პენალტი ვერ გაიტანა და მიუხედავად ამისა, კლოპი ამბობდა, 100-ჯერ რომ ვერ გაიტანოს, 101-ე თერთმეტმეტრიანსაც მას დავარტყმევინებო...

**მართვის სტილი:** ფეხბურთელებთან მეგობრული ურთიერთობა აქვს, მაგრამ როცა სჭირდება, ავტორიტარია.

**საუკეთესო ციტატა:** *„საფეხბურთო თვალსაზრისით, აქტიური სპორტული კარიერის დროს იურგენ კლინსმანზე მეტად ლიმიტირებული ვიყავი.“*

### ჰუუბ სტევენსი

58 წლის, შალკე

**სერიოზული წარმატებები:** სტევენსმა 1997 წელს „შალკეს“ უეფას თასი მოაგებინა, 2001 და 2002 წლებში კი გელზენკირხენში გერმანიის თასსაც დაუდო ბინა. 2010 წელს მის მიერ განწრთნილი „ზალცბურგი“ ავსტრიის ჩემპიონი გახდა.

**სერიოზული წარუმატებლობა:** 2003 წელს **სტევენსი** ბერლინის „ჰერტადან“ გააგდეს.

**მოტივაციის ტრიუკები:** ყოველი მატჩის წინ, გასახდელში კიდებს წერილებს, სადაც მეტოქე გუნდის ფეხბურთელების სუსტ და ძლიერ მხარეებზეა საუბარი.

**მართვის სტილი:** უყვარს დისციპლინა, ხშირად იღებს მოულოდნელ გადაწყვეტილებებს.

**საუკეთესო ციტატა:** *„გუნდში ყველა მნიშვნელოვანია. თვით ბალახის მკრეჭავიც!“*

### ლუსიენ ფავრი

54 წლის, ბორუსია (მ)

**სერიოზული წარმატებები:** მწვრთნელის რანგში ორჯერ იყო შვეიცარიის ჩემპიონი (2006, 2007) და თასის მფლობელი (2001, 2005). 2011 წელს მიონხენგლადბახის „ბორუსია“ სეზონის მიწურულს ჩაიბარა და გუნდი მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებას გადაარჩინა.

**სერიოზული წარუმატებლობა:** 2009 წელს ბერლინის „ჰერტადან“ გაათავისუფლეს.

**მოტივაციის ტრიუკები:** თითოეული შეგირდისთვის მეტოქის შესახებ ინდივიდუალურ ვიდეოკლიპს ამზადებს ხოლმე.

**მართვის სტილი:** ფეხბურთელებს არასდროს მიმართავს შენობით. **ფავრი** ყველა შეგირდისთვის ავტორიტეტია და ამის მიზეზი უმეტესად მისი კომპეტენციაა.

**საუკეთესო ციტატა:** *„2011 წელს „გლადბახს“ ჩემს ადგილზე, ამაზე მეტს ვერც მოურინიო და გვარდიოლა შეაძლებინებდნენ.“*



იუპ ჰაინკესი



იურგენ კლოპი



ჰუუბ სტევენსი



ლუსიენ ფავრი

ვოლფსბურგი



ფელიქს მაგათი

# მაგათი: ბაიერნი ფავორიტია!

## რობენის და რიბერის შეჩერება არ გინდა?!

მთელი საფეხბურთო გერმანია ფიქრობს, რომ მიუნხენის „ბაიერნისთვის“ ფეხის დადება „ვოლფსბურგსაც“ შეუძლია, მაგრამ „მგლების“ მწვრთნელ-მენეჯერი **ფელიქს მაგათი** თავის სტიქიაშია – 58 წლის სპეციალისტმა ძველ ხრიკს მიმართა და შაბათის მატჩში („ბაიერნი“ „ვოლფსბურგს“ მასპინძლობს) რეკორდმაისტერი უპირობო ფავორიტად გამოაცხადა.

*„მიუნხენში ჩასვლა ძალიან მიხარია, რადგან ჩემს მეუღლეს და შვილებს ვნახავ. რაც შეეხება სპორტულ მხარეს: „ბაიერნს“ ჩვენზე გაცილებით უკეთესი გუნდი ჰყავს და შესაბამისად, უპირობო ფავორიტია. წინა ტურში მიუნხენელები „გლადბახთან“ დამარცხდნენ და ძალიან გაბრაზებულები იქნებიან. ამას ისიც ემატება, რომ მათ ფრანკ რიბერი უბრუნდებათ. რა კარგი იქნებოდა, ფრანგი ჯერ კიდევ დისკვალიფიცირებული რომ იყოს... ახლა კი ორივე ფლანგზე ყურადღებით, მაქსიმალური კონცენტრაციით უნდა ვითამაშოთ,“* - აცხადებს „დესპოტი ფელიქსი“ „სპოქსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. შეგახსენებთ, რომ 2004-დან 2007 წლამდე მაგათი თავად წვრთნიდა „ბაიერნს“.

ასეთი განცხადებები ფელიქსისგან ადრეც არაერთხელ გვსმენია. ფაქტია: მას ამით იმის მიღწევა უნდა, რომ თავის შეგირდებს წნეხი აარიდოს და ზეწოლა „ბაიერნისკენ“ მიმართოს. შეგახსენებთ, რომ ხვალინდელი მატჩისთვის „ვოლფსბურგს“ მთავარი გოლეადორი, **მარიო მანჯუკიჩი** გამოუჯანმრთელდა. სამაგიეროდ, დაშავდა იან პოლაკი, ხოლო **ალექსანდერ მადლუნგისა** და **ვიერინიას** ასპარეზობა კი კითხვის ნიშნის ქვეშაა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

უცხოური ფეხბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედი

# ნანის ორი თვე


ნანი

22-ე ტურში "არსენალთან" "მანჩესტერ იუნაიტედის" 25 წლის პორტუგალიელმა განაპირა ნახევარმცველმა **ლუიშ ნანიმ ლორან კოშელნისთან** შეტაკებისას ტერფის მძიმე ტრავმა მიიღო და ექიმების თქმით, გუნდს ალბათ ორი თვის განმავლობაში ვერ დაეხმარება. ფეხბურთელს კოჭი საკმაოდ სერიოზულად აქვს გასიებული. ამიტომ ზუსტი დიაგნოზის დასმა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. თავდაპირველად კლუბში მოტეხილობასაც კი ვარაუდობდნენ, მაგრამ ყველაზე პესიმისტური პროგნოზები არ გამართლდა. ასე რომ, მიუხედავად მოგებისა (2:1 "ეშმაკების" სასარგებლოდ), მანჩესტერელებს 3 ქულა ძალიან ძვირი დაუჯდათ. ნანის გარდა მათ 10-12 დღით დაკარგეს **ფილ ჯონსი**. მიკროტრავმა მიიღო **უეინ რუნიმაც**.

პირველი შეხვედრა, რომელსაც "იუნაიტედი" ნანის გარეშე ჩაატარებს, 28 იანვარს "ენფილდზე" შედგება. მანკუნიანელებს მერსისაიდში, როგორც ყოველთვის, მძიმე ბრძოლა ელით. ასოციაციამ მატჩის გაძღოლა 23 იანვარს 40 წლის **მარტინ ატკინსონს** ანდო, მაგრამ სერიოზულმა ვირუსულმა დაავადებამ ის საწოლს მიაჯაჭვა. ატკინსონის ნაცვლად შეხვედრას მასზე გამოცდილი მსაჯი, 50 წლის **მარკ ჰალსი** გაუძღვება.

"იუნაიტედმა" 21 წლის **დენი უელბეკს** ორიოდე კვირის წინ ახალი 4-წლიანი კონტრაქტი და კვირაში 45 ათასი გირვანქა შესთავაზა. ფეხბურთელი კმაყოფილი დარჩა ხელშეკრულების ხანგრძლივობით, მაგრამ ხელფასის 60 ათასამდე გაზრდა მოითხოვა. მანჩესტერში დაბადებული და გაზრდილი ყმაწვილი ლამის ყოველ მატჩში ამტკიცებს, რომ დიდი პოტენციალის მქონე ფეხბურთელია. მისი ამბიციებიც აქედან მოდის. როგორც ჩანს, მიუხედავად თავდაპირველი უარყოფითი რეაქციისა, "ეშმაკები" თანახმანი არიან, ფეხბურთელის მოთხოვნები დააკმაყოფილონ. უელბეკის მოქმედ პირველ პროფესიულ კონტრაქტს ვადა 2013 წლის ივნისში ეწურება. ამჟამად დენი კვირაში 15 ათას ფუნტს იღებს.

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები

## ბობადილია ბერნში გაიქცა

არგენტინელმა თავდამსხმელმა **რაულ ბობადილიამ** მიონხენგლადბახის „ბორუსია“ დატოვა და კარიერას ბერნის „იანგ ბოიზში“ გააგრძელებს. „გლადბახის“ ხელმძღვანელებმა ეს ცნობა გუშინ ოფიციალურად დაადასტურეს. 24 წლის ბობადილიას ბერნში, ბოლო ფორმალობების მოსაგვარებლად დღეს ელოდებიან. თავის დროზე „გლადბახში“ არგენტინელზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ ბობადილიამ თავისი შესაძლებლობები ვერ დაამტკიცა. ამ სეზონში, მიონხენგლადბახელთა მთავარმა მწვრთნელმა **ლუსიენ ფავრმა** ის 15 მატჩში ათამაშა (უმეტესად შეცვლაზე) და ბობადილიამ მხოლოდ ერთი გოლის გატანა შეძლო (ორი პასი), რაც ფორვარდისთვის ცუდი შედეგია.

## რაულთან მოლაპარაკებები დაიწყო

„შალკეს“ მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა რაულის** მრჩეველთან ახალი კონტრაქტის თაობაზე მოლაპარაკებები დაიწყო. „ბილდის“ ცნობით, ჰელდტი **ხინეს კარვახალს** ოთხშაბათს, დიუსელდორფში შეხვდა და მასთან პირველი მოლაპარაკება გამართა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, ჰელდტმა და კარვახალმა რაულის ხელფასზე ისაუბრეს და საქმე იქითკენ მიდის, რომ გონსალეს ბლანკო „შალკესთან“ ახალი ხელშეკრულების გაფორმებას დათანხმდება.

**გოტფრიდ ლენცი**

აფრიკის ერთა თასი 2012 II ტური

**B ჯგუფი**

**სუდანი-ანგოლა 2:2**

**გოლები:** 0:1 მანუჩო (5), 1:1 აჰმედი (33), 1:2 მანუჩო (50-პენ), 2:2 აჰმედი (74)

**კოტ დივუარი-ბურკინა ფასო 2:0**

**კოტ დივუარი (4-4-2):** კოპა - გოსო, კ. ტურე, ბამბა, ტიენე (74. ბოკა) - კალუ (65. გრადელი), ტიოტე, ზოკორა, ჟერვინიო - დროგბა, ი. ტურე (81. ბონი).

**გოლები:** 1:0 კალუ (16), 2:0 კონე (82 ს.კ.)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოტ დივუარი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| 2. ანგოლა | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 3. სუდანი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 4. ბურკინა ფასო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |



ამბები


ანდრეს ინიესტა კლასიკოში შესაცვლელი გახდა

## ინიესტას ორთავა პრობლემა

კლასიკოში დაშავებული **ანდრეს ინიესტას** ტრავმის სირთულეს ტესტების შემდეგ დაადგენენ. ანდალუსიელმა ფეხბურთელმა „რეალთან“ მატჩის 29-ე წუთზე მარცხენა ფეხის ორთავა კუნთი დაიშავა. მან თამაში ველარ გააგრძელა და **გვარდიოლამ** ინიესტას ნაცვლად **პედრო** შეიყვანა. 27 წლის პლეიმეიქერი ხშირად შავდება, ამ სეზონში მისთვის უკვე მეოთხე ტრავმაა. ოთხიდან სამ შემთხვევაში მას პრობლემა სწორედ ორთავა კუნთზე ჰქონდა. ნოემბერში **ინიესტას** ამის გამო 2 კვირა გაუცდა. კლასიკოზე კიდევ ერთი ბარსელონელი დაშავდა - **ალექსის სანჩესი**, თუმცა ჩილელის ტრავმა არცთუ სერიოზული ჩანს.

## უკან, რეალში არ უნდა

მადრიდის „რეალი“ ლისაბონის „ბენფიკას“ ესპანელი ფორვარდით დაინტერესდა - ლაპარაკია, 20 წლის **როდრიგოზე**. მარცხენა გარემარბი კარგად მოერგო პორტუგალიურ გრანდს და, თუ მამამისს ვენდობით, „ბენფიკასთან“ განშორება არ სურს, თუნდაც „რეალში“ თამაშის პერსპექტივით. ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდმა 20 მატჩში 10 გოლი გაიტანა და ამის შემდეგ დაირხა ხმები, რომ „რეალს“ მისი უკან დაბრუნება სურს. როდრიგო 2015 წლამდე ეკუთვნის ლისაბონურ კლუბს, მისი გამოსასყიდი თანხა კი 20 მილიონი ევროა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ქუინზ პარკი განაგრძობს

"ქუინზ პარკი" აგრძელებს შემადგენლობის გაძლიერებას. მართალია, ლონდონელებს არაფერი გამოუვიდათ "ჩელსის" სტოპერ **ალექსთან**, მაგრამ იოლად მოახერხეს "მანჩესტერ სიტისთან" შეთანხმება ასევე ცენტრალური მცველის **ედუმ ონუოჰას** თაობაზე. გარიგება დედაქალაქელებს 3 მილიონი ფუნტი დაუჯდათ. "ქალაქელების" რიგებში 25 წლის ამერიკელი კვირაში 60 ათას ფუნტს იღებდა. "ქუინზ პარკს" ამის ფინანსური შესაძლებლობა ნამდვილად არ აქვს. თუმცა 4,5-წლიან კონტრაქტს ხელი მაინც მოეწერა. ონუოჰა ანაზღაურების სერიოზულ შეკვეცაზე დათანხმდა. **მარკ ჰიუზის** გუნდისთვის ონუოჰა მეორე ახალწვეულია "მილანიდან" იჯარით გადაბირებული 26 წლის **ტაიე ტაივოს** შემდეგ.

გარდა უკვე დადებული გარიგებებისა, "ქუინზ პარკი" მოლაპარაკებებს განაგრძობს ლიგა 1-ის "ნანსისთან", საიდანაც 23 წლის მალელი ნახევარმცველის **სამბა დიაკიტეს** გადაბირება სურს. "ფრანს ფუტბოლი" წერს, რომ პრემიერლიგურმა კლუბმა ამ ბრძოლაში თვით "ლიონი" დაამარცხა და შეთანხმების შესახებ უახლოეს დღეებში განაცხადებს. "ნანსი" ფეხბურთელში 4 მილიონ ევროს ითხოვს. დიაკიტე ამჟამად მალის ეროვნულ გუნდთან ერთად აფრიკის თასის გათამაშებაში მონაწილეობს.

## თასის ფინალი 26 თებერვალს

ინგლისის ლიგის თასის ფინალი 26 თებერვალს უემბლიზე თბილისის დროით 20:00-ზე გაიმართება. ერთმანეთს "კარდიფ სიტი" და "ლივერპული" შეხვდებიან. ამასთან დაკავშირებით, გადაიწია 26-ე ტურში "ლივერპული"-"ევერტონის" ჩატარების თარიღმა. 217-ე ლივერპულური დერბი 25-ში უნდა გამართულიყო.

**ლევან ბიბილაშვილი**



**ქოპა დელ რეი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები**



# როცა თავს ზემოთ კამპ ნოუა

## სუპერკლასიკო: დრამა, გოლები, ბრძოლა და ისევ ის გამარჯვებული

**მალიორკა-ბილბაო 0:1 (0:2)**

**მალიორკა (4-4-2):** კალატაიუდი - სენდროსი (67. გ. კასტრო), ჩიკო, რამისი, ბიგასი - პერეირა, ტისონე, ჟოაო ვიქტორი(78. მარტი), ალფარო - ალვარო (57. ვიქტორი), ჰემედი.

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - ირაოლა, ხ. მარტინესი, ამორებიეტა, აურტენეჩე - იტურასპე, ანდერი (61. ი. პერესი) - სუსაეტა, დე მარკოსი, მუნიაინი (39. ტოკერო) - ფ. ლორენტე (84. სან ხოსე).

**გოლი:** 0:1 რამისი (76 ს.კ.)

**გაძევება:** ჩიკო (90)

**ბარსელონა-რეალი 2:2 (2:1)**

**ბარსელონა (4-3-3):** პინტო - დანი ალვეში, პიკე, პუიოლი, აბიდალი - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა (29. პედრო) - მესი, ფაბრეგასი (69. ტ. ალკანტარა), სანჩესი (77. მასკერანო).

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, პეპე, სერხიო რამოსი, კოენტრაო - დიარა (51. გრანერო), ჩაბი ალონსო - იოზილი, კაკა (60. კალეხონი), რონალდო - იგუაინი (60. ბენზემა).

**გოლები:** 1:0 პედრო (43), 2:0 დანი ალვეში (45), 2:1 რონალდო (67), 2:2 ბენზემა (71)

**გაძევება:** სერხიო რამოსი (87)

**ლევანტე-ვალენსია 0:3 (1:4)**

ვინც ამბობს, რომ **ჟოზე მოურინიომ** „ბარსელონას" დასამარცხებლად მთელი თავისი ცოდნა არ გამოიყენა, ფეხბურთთან საკმაოდ შორს მყოფი ადამიანი გვგონია. პორტუგალიელმა, რომელიც გუშინ იუბილარი იყო (49 წლის შესრულდა) მართლაც სული და გული ჩადო ოთხშაბათის კლასიკოს მოსაგებად, მიზანთანაც ახლოს იყო, მაგრამ კვლავ დამარცხებული დარჩა - ორი მატჩის ჯამში „რეალმა" 3:4 წააგო და „სამეფო თასი" გამოათავისუფლა.

რისმა გადატანამ არ მოუწია მოურინიოს ამ დღეებში, „მარკას" შემოტევა, ჭორები... თუნდაც ოთხშაბათის მატჩის მეორე ტაიმის დასაწყისში „კამპ ნოუს" ტრიბუნებიდან წამოსული შეძახილები რად ღირს: *„არ წახვიდე მოურინიო „რეალიდან", ჩვენ ძალიან მოგვწონს, რომ შენ ხარ „რეალის" მწვრთნელი".*

*„გასახდელში ბიჭებისგან მესმოდა, რომ უბრალოდ შეუძლებელია მოიგო „კამპ ნოუზე", თუ აჯობებ „ბარსელონას" ვერ მოუგებ რეფერის"*, - ასე ოსტატურად აუარა გვერდი „განსაკუთრებულმა" შესაძლო სანქციებს მსაჯის გაკრიტიკებისთვის (მან ხომ სხვისი ფრაზები მოიყვანა), მაგრამ ფაქტია, მთელი მადრიდი და კასტილია, მილიონობით „რეალის" ფანი მსოფლიოში ოთხშაბათის კლასიკოს შემდეგ ყველაზე მეტად ერთ კაცს ვერ იტანდა, რეფერი **ტეიშეირა ვიტიენესს**. „მარკამ" 10-ბალიანი სისტემით ორიანი დაუწერა ვიტიენესს და რადგან ყველასთვის ცნობილია ამ გამოცემის სიმპათიები „სამეფო კლუბისადმი" დააყოლა: *„მართლა ძალიან ცუდად იმსაჯა"*, რომელსაც მოყვება დიდი სია მსაჯის შეცდომებისა, რომელსაც აქ აღარ მოვიყვანთ (სხვათა შორის, არა მხოლოდ „ბარსას" სასარგებლოდ).

თავიდანვე ვიტყვით, რომ კლასიკომ ნეიტრალურ გულშემატკივარს დიდი სიამოვნება მიანიჭა, მიუხედავად იმისა, რომ „კამპ ნოუზე" ემოციები ხანდახან მეტისმეტად „დუღდა". ერთი პერიოდი, ისიც გავიფიქრეთ, ამათ გამო ესპანეთში ისევ არ დაიწყოს სამოქალაქო ომიო...

„ბარსელონას" შემადგენლობაში ერთი მოულოდნელობაც არ ყოფილა, **ხოსეპ გვარდიოლამ** ზუსტად ის შემადგენლობა გამოიყვანა, რომელიც გუშინდელ ნომერში ვივარაუდეთ. მოურინიოს კი რას გაუგებ - პირველი შოკი გულშემატკივრებს ბარსელონას აეროპორტში ელოდათ, როცა **პეპე** დალანდეს. მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცოდა, რა ობსტრუქცია ელოდა პორტუგალიელ ფეხბურთელს „კამპ ნოუზე", მოურინიო ის კაცი არაა, ამით დაშინდეს, სხვათა შორის, არც პეპე...

დაიწყო თამაში და... „რეალის" უპირატესობა თვალნათლივ გამოჩნდა. ამიტომ კიდევ უფრო მწარედ „მოხვდათ" სტუმრებს ის ორი გოლი, რომელიც „ბარსასგან" ტაიმის მიწურულს მიიღეს. მეორე ტაიმში კი მადრიდული სასწაული ვნახეთ, რომელსაც სულ ცოტა დააკლდა საბოლოო გამარჯვებამდე. კლასიკოებში თანაფარდობა კი ხელუხლებელი დარჩა - 81 წელიწადი „ბარსა" საერთო ჩათვლაში ყოველთვის აგებდა „რეალთან", მადრიდში დაეწია (86:86), თუმცა საყაიმო ანგარიში ხელუხლებელი დარჩა.

„რეალმა" კინაღამ კლასიკოების ისტორიაში უსწრაფესი გოლი გაიტანა (ახლახან **ბენზემას** მიერ დამყარებული რეკორდი 23-ე წამია) მე-12 წამზე **გონსალო იგუაინმა** ენით აუწერელი შანსი









გაუშვა ხელიდან - **დანი ალვეშმა ჟერარდ პიკეს** დაუბრუნა ბურთი, მაგრამ პიკე ჯერ არ იყო თამაშში ხეირიანად ჩართული და მას იგუაინი გაეპარა.

მე-3 წუთზე **ხოსე პინტომ** იგუაინის თავური აილო, მალე **კრიშტიანო რონალდომ** დაარტყა სახიფათოდ, მაგრამ ოდნავ უზუსტოდ. 25-ე წუთზე „რეალს" ყველაზე მაგარი მომენტი შეექმნა, **მესუთ იოზილმა** შორიდან დაარტყა, ბურთი ხარიხას მოხვდა, კარის ხაზზე დაეცა, მაგრამ ის არ გადაუკვეთავს, **პინტო** უძლური იყო რამე ელონა.

მაგრამ რისი მაქნისია მთელი გუნდი, თუნდაც ძალიან ძლიერი, როცა მეტოქეს ჯადოქარი ჰყავს? 43-ე წუთზე **ლეო მესი** შევარდა სტუმართა საჯარიმოში, პანიკაში მყოფი „რეალის" მთელი დაცვა მას მივარდა, არგენტინელმა კი ბურთი **პედროს** გადააწოდა - 1:0.

ტაიმის ბოლოს **ჩავიმ** მარცხენა ფრთიდან შეასრულა საჯარიმო, ბურთი **ლასანა დიარას** მოხვდა და ისე იცვალა მიმართულება, რომ ზუსტად დანი ალვეშს „მოაჯდა" ფეხზე. ბრაზილიელმა კი საოცრად გაისროლა - 2:0.

მეორე ტაიმი დაიწყო და **სერხიო რამოსმა** გოლი გაიტანა, მაგრამ რეფერის აზრით, თავურამდე ანდალუსიელმა მცველმა ხელში მოქაჩა ალვეშს და გოლი გააუქმა. ამან „რეალი" არ შეაჩერა, 68-ე წუთზე იოზილმა რონალდო მოძებნა, პორტუგალიელმა გოლეადორმა პინტო მოატყუა და ცარიელ კარში მახვილი კუთხიდან გაიტანა. ხუთი წუთიც არ გასულა მეორე გოლამდე, **ჩაბი ალონსომ** საჯარიმოში „პარაშუტი" ჩაუგდო ქარიმ ბენზემას და ფრანგიც სიტუაციაში დიდებულად გაერკვა - 2:2. დრო კიდევ რჩებოდა, „რეალს" ერთი გოლიც სჭირდებოდა. „ბარსელონას" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გუნდს წამითაც არ უფიქრია დაცვაში დაწევა, რის წყალობით საოცარი წუთები ვიხილეთ, ორმხრივი იერიშებით. ყველაფერი კი 88-ე წუთზე დამთავრდა, როცა მსაჯმა მეორე ყვითელი ბარათი აჩვენა სერხიო რამოსს, „ბარსელონა" ნახევარფინალშია.

ყველაზე უსიამოვნო ინციდენტი, რაც ამ თამაშში მოხდა, **ანდრეს ინიესტას** ტრავმა იყო, რომელიც პირველივე ტაიმში შეცვალეს.

სხვათა შორის, მორიგ სკანდალს გვთავაზობს „ელ მუნდო" - გაზეთის მტკიცებით, მოურინიოს მსაჯ ვიტიენესთან შელაპარაკება „კამპ ნოუს" პარკინგზე მოსვლია.

## ვინ, როგორ ითამაშა

ლეო მესის უკეთაც უთამაშია, მაგრამ ამ საღამოსაც გვარიანად გააწვალა მეტოქის დაცვა. გააკეთა დიდებული საგოლე პასი, რამდენჯერმე მოიპოვა სახიფათო საჯარიმო, 2:2-ზე ახლოს იყო გოლთან, სულ რამდენიმე სანტიმეტრი დააკლდა. ჩავი 32 წლის შესრულდა, მან ბრწყინვალედ ითამაშა, დაჩაგრა ლასანა დიარა, გაუკეთა მაგარი პასი **ალექსის სანჩესს**, რომელიც შემდეგ პეპემ დაჩაგრა ფიზიკურად, შეასრულა ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმა მეორე ტაიმში. მოკლედ, ჩავიც ძალიან კარგი იყო. კარგად ითამაშეს ალექსის სანჩესმა და დანი ალვეშმაც. თამაში ჩააგდეს ჟერარდ პიკემ და **სესკ ფაბრეგასმა**.

„რეალში" ყველას მესუთ იოზილი სჯობდა. პირველად მოხდა, რომ გერმანელი კლასიკოში არ ჩაიკარგა და არ დაიჩაგრა მეტოქის ნახევარმცველების მიერ. მეტიც, ოთხშაბათს ის საუკეთესო იყო ორივე გუნდში. ძალიან კარგად ითამაშა კრიშტიანო რონალდომაც. თამაში ჩააგდეს გონსალო იგუაინმა და ლასანა დიარამ.

**მატჩის შემდეგ**

**ჟოზე მოურინიო:** *„რეფერის ქმედებას მე არ განვსჯი. ჩვენ აქ იმ იმედით ჩამოვედით, რომ მომდევნო ეტაპზე გავსულიყავით. ვიცოდით, რომ ეს ძალიან ძნელი გასაკეთებელი იყო".*

**ხოსეპ გვარდიოლა:** *„რეალმა" გააკეთა ის, რასაც ჩვენ შევეცდებოდით, მათ სიტუაციაში რომ ვყოფილიყავით. მეტოქე დიდებული გუნდია და ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ჩვენს გამარჯვებას. 180 წუთის ჯამში ჩვენ მეტოქეს ვაჯობეთ".*

■ ■ ■

დღის მეორე დაპირისპირებას არც ამხელა ინტრიგა ჰქონდა და არც დაძაბულობით გამოირჩეოდა. ბილბაოს „ატლეტიკმა" შინ მოპოვებული 2-ბურთიანი ჰანდიკაპი კიდევ უფრო გაზარდა „მალიორკასთან", სტუმრად 1:0 დაამარცხა მეტოქე. ბასკები ახლა „მირანდესს" შეხვდებიან ნახევარფინალში, მაშინ, როცა „ბარსას" გაცილებით ძლიერი მეტოქე ელის.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**





## უცხოური ფეხბურთი

### კვირის ფრაზები

## ბელამის მადლობელნი ვართ

ოთხშაბათ საღამოს, „ენფილდ როუდზე“ „ლივერპულმა“ „მანჩესტერ სიტის“ „ქარლინგის“ თასის ნახევარფინალის განმეორებით შეხვედრაში უმასპინძლა და 2:2 დაასრულა, ფინალში კი სწორედ მერსისაიდული კლუბი ითამაშებს - პირველი შეხვედრა მათ 1:0 მოიგეს. ამ მოგებასთან დაკავშირებით გუნდის კაპიტანი **სტივენ ჯერარდი** ამბობს: „ჩვენ ფინალში სწორედ ბელამის წყალობით გავედით, ის ფანტასტიკური იყო! კრეიგი ნებისმიერ სიტუაციაში მეტოქისთვის სახიფათოა - თუ საგოლე მომენტს ქმნის, უმეტეს შემთხვევაში ეს ეპიზოდი გოლად იქცევა. მისი მადლობელნი ვართ“.

## სინი გვინდა, სინი!

მოგეხსენებათ, ბუნდესლიგის მე-18 ტურში მიუნხენის „ბაიერნმა“ ნამოიფორხილა - წააგო რა მიოხენგლადბახის „ბორუსიასთან“ 1:3. ამით გელზენკირხენის „შალკემ“ ისარგებლა და „შტუტგარტთან“ (3:0) მოპოვებული გამარჯვების შემდეგ წამოეწია კიდეც ლიდერს. **ლევან ყენიას** კლუბის ჰოლანდიელი თავდამსხმელი **კლაას-იან ჰუნტელაარი** ამბობს: „მიუნხენურმა გრანდმა წააგო, ჩვენ კი მოვიგეთ და ქულებით გავთანაბრდით. რატომ არ შეიძლება მათი გადასწრება და „ვერცხლის სინზე“ ფიქრი?! ჩვენი მიზანიც სწორედ ესაა!“.

## პეპე: რეალი ბარსაზე უკეთესი იყო

„რეალის“ მცველმა **პეპემ** „ბარსელონასთან“ კოპა დელ რეის მეოთხედფინალის შეხვედრის კომენტარი გააკეთა „ნოუ კამპზე“. პორტუგალიელმა „ქილერმა“ თქვა: „ჩვენ ვამაყობთ, რომ მთელმა კოლექტივმა მშვენიერი ბრძოლა გამართა. „რეალი“ „ბარსაზე“ უკეთესი იყო! ვფიქრობ, ჩვენი გულშემატკივრები ამაყობენ, რა თამაშიც „ნოუ კამპზე“ ჩვენ ვაჩვენეთ. ფეხბურთელები ყველაფერს აკეთებენ, რათა გულშემატკივრებში სიამაყის გრძნობამ გაიღვიძოს“.

■ ■ ■

## კვირის ანტიგმირი

ეს გახლავთ „ბაიერნის“ კიპერი **მანუელ ნოიერი**, რომელმაც სეზონში უკვე მეორედ დაუშვა შეცდომა „გლადბახთან“ და ამის გამო გუნდმა ასევე მეორეჯერ წააგო ამ გუნდთან. მაინც რა გააკეთა მანუმ ასეთი? შეხვედრის მე-11 წუთზე ბადშტუბერმა ნოიერს ბურთი მიაწოდა, ამ უკანასკნელმა წინ ძლიერად დარტყმა დააპირა, საბოლოოდ კი ბურთი მარკო როისს ჩააბარა, რომელმაც 35 მეტრიდან დიდოსტატურად დაარტყა და ანგარიშიც ასე გაიხსნა.

## კვირის მატჩი

რა თქმა უნდა, კვირის მატჩი „ელ კლასიკოა“, რომელიც 2:2 დასრულდა. „რეალმა“ აშკარად შესანიშნავი წინააღმდეგობა გაუწია „ბარსელონას“, რომელსაც მთელი თამაში უჭირდა საკუთარი თავის პოვნა. უნდა აღინიშნოს **დანი ალვეშის** გოლი, მაგრამ **მესუთ იოზილს** ოდნავ რომ გამართლებოდა, ალბათ ბევრად უფრო ლამაზ გოლს ვიხილავდით - თურქი წარმოშობის გერმანელის შორეული დარტყმა ერთბაშად ორ ძელს მოხვდა.

გიორგი ფულარიანი

ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

## ქართული სპორტი

### ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი

# იმედის ჩემპიონატი

## ნაკლები გუნდი არც წლეულს უნდა გვყავდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



სპორტკომპლექს „არენაში“ გუშინ დამთავრდა ახალგაზრდა მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატი. ამ ასაკის ნაკრებმა შარშან ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა, მაგრამ წლეულს თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესი განიცადა - შარშანდელი ლიდერებიდან გუნდში თითო-ოროლა დარჩა. იმათგანაც ერთმა, ყველაზე გამორჩეულმა ვერც იასპარეზა - ახალგაზრდებში მსოფლიოს მძიმეწონოსანი ჩემპიონი **შოთა გოგისვანიძე** ეროვნულ ნაკრებს ახლდა შეკრებაზე. ამ სიახლეების გამო საინტერესო იყო, როგორს ვიხილავდით ახალ ნაკრებს, რომლის ბირთვიც ამ ტურნირს უნდა გამოევლინა. წინასწარ ვიტყვით - არცთუ მცირე რაოდენობის მაყურებელმა საკმაოდ მაღალი დონის ჭიდაობა იხილა და გაგვიჩნდა რწმენა, რომ ურიგო სეზონი არც წლეულს გვექნება.

ნებისმიერი ტურნირის დანიშნულება ახალი სახეების წარმოჩენაა, თუმცა ამ შეჯიბრებაზე ეს თითქმის არ მომხდარა - მედალოსანთა უმრავლესობა მწვრთნელ-სპეციალისტებისთვის კარგად ნაცნობები არიან, რომლებიც ადრე იქნებ წონების ლიდერები არ იყვნენ, მაგრამ მეორე-მესამე ნომრებად კი გვევლინებოდნენ და წლების განმავლობაში ასაკობრივ ნაკრებებში ვარჯიშობდნენ. თუმცა ახალი სახეების ვერწარმოჩენასაც აქვს თავისი მიზეზი - საბედნიეროდ, ახალგაზრდებში კონკურენცია იმდენად გაიზარდა, ბრძოლით მოპოვებულ ადგილს იოლად არავინ დაგითმობს. ამდენად, იქნებ დღევანდელი პრიზიორები გუშინ ვერ ხვდებოდნენ ევროპა-მსოფლიოზე, მაგრამ მათ შეინარჩუნეს სტაბილურობა და ფავორიტთა ნაკრებიდან წასვლის შემდეგ ლიდერობა გადაიბარეს. მწვრთნელებისთვის ახალი სახე 60 კილოგრამში მეორეზე გასული ნორიოელი **სულხან ნიკოლიშვილი** აღმოჩნდა, რომელსაც აქამდე არავინ იცნობდა.

მთელ რიგ წონებში ძველმა სახეებმა გაიმარჯვეს, თუმცა ეს ყველაფერი არც იყო მოულოდნელი. დაგვეთანხმებით, **იაკობ ქაჯაიას** (96) და **ფირუზ ნულუკიძეს** (66) რომ არ მოეგოთ, სხვა შედეგი მათთვის წარუმატებლობა იქნებოდა - ჭაბუკებში ევროპის ვერცხლის მედალოსან ქაჯაიას შარშანაც კარგი სეზონი ჰქონდა და უფროსებშიც კარგად ჭიდაობდა, ხოლო ამჯერად დამაჯერებლად მოუგო მეტოქეებს. ჭაბუკებში ევროპის ორგზის ჩემპიონი ნულუკიძე კინაღამ უფროსებში გახდა საქართველოს ჩემპიონი და ახლა მისი გამარჯვება მოსალოდნელიც იყო. ქვეყნის იმ პირველობაზე 60 კილოგრამში გამოდიოდა და ფინალში გავიდა, იქაც ძალიან კარგად იჭიდავა, მაგრამ გამოცდილ **ირაკლი ჭოჭუასთან** მაინც დამარცხდა. ასევე მოსალოდნელი იყო 84 კილოგრამში **დავით ჩაკვეტაძის** გამარჯვება, რომელმაც რევანშიც აიღო. ჭაბუკებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი ჩაკვეტაძე ბოლო წლებში ახალგაზრდებსა თუ უფროსებში მუდმივად პრიზიორთა შორის იყო, შარშან კი ახალგაზრდებში მეორეზე გავიდა - ფინალი ნორიოელ **რობერტ ქობლიაშვილთან** წააგო. ქობლიაშვილმა ახლაც კარგად იჭიდავა და ფინალშიც გავიდა ანუ ამ წონაში შარშანდელი ფინალი განმეორდა, თუმცა ამჯერად ჩაკვეტაძემ იმარჯვა. ამ ერთი წლის განმავლობაში ქუთაისელს უფრო დაუხვეწია ტექნიკა და ჩოქბჯენის ხარჯზე მოიგო - პირველ პერიოდში თავი დაიცვა და მეტოქეს ქულა არ დაანება, მეორეში კი მშვენივრად აიყვანა ლეიბიდან, ჰაერშიც კარგად გაისწორა ხელში და 3-ქულიანზე უპრობლემოდ გადააგდო.



გამარჯვებულთა შორის რამდენიმე ისეთი სახელიცაა, რომლებსაც სპეციალისტთა ვიწრო წრე კი იცნობდა, მაგრამ ქომაგისთვის ახალია. მაგალითად, ქუთაისელი **დავით სანიკიანი** (50) და თბილისელი **ლევან არაბული** (120). სასიხარულოა, რომ თავი ჭაბუკთა ნაკრებიდან გადმოსულებმაც გამოიჩინეს - ევროპის შარშანდელმა ვიცე-ჩემპიონმა და მსოფლიოს პრიზიორმა **ლაშა გობაძემ** 74-ში გაიმარჯვა (თან წონა დაიკლო - შარშან 76-ში ასპარეზობდა), ხოლო **რამაზ სურმანიძე, ედნარ შავაძე** (ორივე - 55) და **ამირან შავაძე** (60) წინა წლებში იმკიდნენ იქ მედლებს. ყოფილი "ჭაბუკებიდან" კიდევ ერთს გამოვარჩევთ - ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონი **ნიკა ცეცხლაძე** შარშან ახალგაზრდებში მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანი გახდა, მაგრამ მაშინ ის 50 კილოგრამში ჭიდაობდა, ახლა კი 55-ში გამოვიდა და ბრინჯაო მოიპოვა. ვინ იცის, პირველივე წრეში სურმანიძეს რომ არ შეხვედროდა...

ქომაგებიც და მწვრთნელებიც ინტერესით ელოდნენ მსოფლიოს ჩემპიონ **გურამ გედეხაურის** შვილის - **ზურაბ გედეხაურის** გამოსვლას მძიმე წონაში. აქ ბევრი მონაწილე არ გამოდიოდა - მხოლოდ 8 იყო. გედეხაურს ჭაბუკთა ნაკრებში ფრიად აქებდნენ და ურიგოდ არ უჭიდავია, ფინალშიც გავიდა, თუმცა მაინც გამოჩნდა გარკვეული ნაკლოვანებები, რაც ასაკობრივი სხვაობითაა გამოწვეული - გედეხაური ჯერ 16 წლისაა, პირველად ჭიდაობდა ახალგაზრდებში, მეტოქეები კი რამდენიმე წლით უფროსები იყვნენ. ფიზიკურადაც კარგი მონაცემების პატრონია, მაგრამ ფინალში არაბულმა იოლად დაჯაბნა. უპირველესად - ძალით და გამოცდილებით. განსაკუთრებით ნიშანდობლივი მეორე პერიოდი იყო, როცა არაბულმა ორჯერ, უბრალოდ, გააგდო წრიდან და ასე მოიპოვა ორი ქულა.

ბუნებრივია, ჭიდაობის ხარისხი უკეთესის სურვილს ტოვებს. სეზონის უმთავრეს შეჯიბრებებამდე საკმარისი დრო რჩება და ეს კომპონენტი კიდევ უფრო დაიხვეწება, მაგრამ სასიამოვნოა, რომ კონკურენცია, დაძაბულობა და დიდი სიმჭიდროვე ამჯერადაც იგრძნობოდა. ბოლო დროს ჭიდაობაში საგრძნობი გამოცოცხლებაა, წამოვიდა ძალიან ნიჭიერი თაობა და ეს ტენდენცია წლეულსაც გაგრძელდება.

ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ვლადიმერ ადეიშვილს** გავესაუბრეთ: „კმაყოფილი ვარ, კარგი ტურნირი გამოდგა და ვიმედოვნებ, წლეულსაც კარგი ნაკრები გვეყოლება. შეიძლება, შარშანდელისდარი გუნდი არ იყოს, რადგან მუდმივად მსოფლიოს ჩემპიონობა ძნელია, მაგრამ ნაკლები ნაკრებიც არ უნდა შეიკრიბოს. ახალი სახეებიდან მხოლოდ სულხან ნიკოლიშვილს დავასახელებ, თორემ წინა წლებიდან ყველას ვიცნობ, შეკრებებზე ჩემთან ემზადებოდნენ. აქედან გამომდინარე, ჩემპიონატის დაწყებამდეც ლამის 99 პროცენტით ვიცოდი, ვინც წარმატებით იჭიდავებდა, თუმცა მისასალმებელია, რომ იმ ძველებმაც კარგად იასპარეზეს, ჭიდაობის ხარისხი არ იყო ცუდი. თუმცა საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვება ნაკრებში მოხვედრას არ ნიშნავს. საამისოდ მათ ჯერ კიდევ მოუწევთ შრომა. მით უფრო, რომ ზოგიერთ წონაში რეალობა არ მომეწონა. მაგალითად, 55-ით არ დავრჩი კმაყოფილი, 60-შიც შესაცვლელია რაღაცები. მძიმე წონაშიც კარგი ხალხი გამოჩნდა - არაბული საგრძნობლად გაიზარდა, გედეხაურმა კი პირველად იჭიდავა ახალგაზრდებში და, იმედია, ის გაისად უკვე შეძლებს ლიდერობას.

ჩვენი უახლოესი გეგმები ასეთია: მალე მივდივართ ბაკურიანში, მერე კი რიგის ტურნირია. ამას თურქული შეჯიბრება მოჰყვება, მაგრამ ხელმძღვანელობასთან უკვე მაქვს მოლაპარაკება კიდევ ერთი ტურნირის თაობაზე - ეს აუცილებელია. მოგეხსენებათ, წლეულს მსოფლიოს თასიც დაგვემატა, ერთი გუნდით კი ყველგან ვერ ვიჭიდავებთ. თან ეს თასი ევროპის პირველობიდან ერთ კვირაში ტარდება, მსოფლიო კი ცოტა მოგვიანებით - სექტემბერში გადაიტანეს. წლეულსაც გავაგრძელებთ შარშან აპრობირებულ მიდგომას, რომელმაც გაგვიმართლა. მაშინ ლიდერები მსოფლიოს პირველობისთვის შემოვინახეთ, ევროპაზე კი შანსი სხვებსაც მივეცით, წლეულსაც ასე გავაკეთებთ“, - გვითხრა მან.

ირაკლი თავაძე

### კვარცხლბეკი

**50 კგ.** 1. დავით სანიკიანი (ქუთაისი), 2. გიზო მელაძე (აჭარა-ოლ.მზ.ეროვ.ცენტრი), 3. ირაკლი შავაძე (აჭარა), ბექა ბალანჩივაძე (წყალტუბო).

**55 კგ.** 1. რამაზ სურმანიძე (აჭარა-ომეც), 2. აბესალომ ქათამაძე (წყალტუბო-ომეც), 3. ედნარ შავაძე, ნიკა ცეცხლაძე (ორივე - აჭარა).

**60 კგ.** 1. ამირან შავაძე (აჭარა), 2. სულხან ნიკოლიშვილი (ნორიო), 3. ხვიჩა ჩიტავა (სენაკი-ომეც), კვაჭაძე თემურ (ოზურგეთი).

**66 კგ.** 1. ფირუზ ნულუკიძე (აჭარა), 2. გიორგი დავითაია, 3. თენგიზ ფარცვანია (ორივე - სენაკი), თორნიკე ჯანგავაძე (ქუთაისი).

**74 კგ.** 1. ლაშა გობაძე (აჭარა), 2. თორნიკე ძამაშვილი (გარდაბანი), 3. რობერტ რასოიანი (თბილისი), ზეზვა აბრამაშვილი (ნორიო).

**84 კგ.** 1. დავით ჩაკვეტაძე (ქუთაისი), 2. რობერტ ქობლიაშვილი (ნორიო), 3. ირაკლი კოზირიძე (წყალტუბო), ლაშა შალიკაშვილი (თბილისი).

**96 კგ.** 1. იაკობ ქაჯაია (წყალტუბო), 2. ბექა ქურცაძე (ქუთაისი), 3. ბექა კანდელაკი, კუკური კირცხალია (ორივე - თბილისი).

**120 კგ.** 1. ლევან არაბული (თბილისი), 2. ზურაბ გედეხაური (გარდაბანი), 3. გიორგი ხაბაშვილი (რუსთავი), მუხრან ჭანკურიძე (აჭარა).

### ჩოგბურთი



სოფიო ქვაცაბაია

# ზედიზედ 12 გამარჯვება!

რაც სეზონი დაიწყო, 23 წლის **სოფიო ქვაცაბაიამ** (430) ზედიზედ 12 გამარჯვება მოიპოვა. ამ ხნის განმავლობაში მან ორი 10-ათასიანი ტურნირი მოიგო თურქეთში, შემდეგ კი ესპანეთში გადაბარგდა, სადაც ბალეარის კუნძულებზე, კალა მილორის ტურნირში განთესვის მე-4 ნომრით ასპარეზობს. პირველ წრეში მან 6:4, 6:1 მოუგო ესპანელ **მარია იბანიესს**. მერვედფინალში ქართველმა იაპონელ **კანა დანიელსაც** აჯობა - 6:1, 6:3. ახლა ქვაცაბაიას მეტოქე გერმანელი **იასმინ შტაინერია** (554), რომელიც 3 წლის წინათ, სტამბოლში ჰყავს დამარცხებული. უკვე 8 მატჩია, ქვაცაბაიას სეტიც კი არ დაუთმია. ვერაფერს ვიტყვით, სეზონის დიდებული დასაწყისია.

ნიკოლოზ ნეფარიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტის სამყარო და დემოკრატია სპორტში

# საქართველოში სპორტის განვითარების საკითხისთვის

*„სპორტი ყოველი ადამიანის მემკვიდრეობის ნაწილია და მისი უქონლობა ვერასოდეს ვერაფრით ვერ კომპენსირდება“ /პიერ დე კუბერტენი/*

დღევანდელ საქართველოში ყველას აწუხებს და შესაბამისად ისმის კითხვა: რა ინტერესები აქვს საზოგადოებას ზოგადად სპორტისადმი? ამ კითხვაზე თითოეული ჩვენგანის პასუხში გამოიხატება ის, თუ რამდენად რეალურად აღვიქვამთ ჩვენს მდგომარეობას, რა მოთხოვნას ვუყენებთ საკუთარ თავს, საზოგადოებას, ქვეყანას და როგორ წარმოვიდგენთ ჩვენს ადგილს თანამედროვე ევროპის სპორტში.

საქართველოში ოლიმპიური და საერთოდ, სპორტული მოძრაობის განხილვა მოითხოვს იმ ძირითადი მოსაზრების გათვალისწინებას, რომ სპორტს საფუძვლად უდევს სოციალური ფუნქცია, მისი მიმართება საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის დაცვის ასპექტებთან. აგრეთვე, მისი მნიშვნელობა საზოგადოებისა და პიროვნებისათვის, ქვეყნისათვის.

ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი, რაც აერთიანებს ერს, არის კულტურა. შესაბამისად, სპორტის ზოგადი პროპაგანდა აქცენტირებული უნდა იყოს სპორტის, როგორც კულტურული ფენომენის აღიარებაზე. სპორტიც აერთიანებს ერს. სახელმწიფო დაინტერესებული უნდა იყოს საზოგადოებაში სპორტის პოტენციალის განმტკიცებით, მისი განვითარების ხელშეწყობით. ურთიერთობა ხელისუფლებას, საზოგადოებასა და არასამთავრობო სპორტულ ორგანიზაციებს შორის უნდა იყოს ჰარმონიზებული. მათ შორის შეთანხმება ნაყოფიერი სპორტული პოლიტიკის მიღწევა შეუძლებელია სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე. ამას ალტერნატივა არ გააჩნია. ეს მხარდაჭერა უნდა გამოიხატოს სწორი ორგანიზაციულ-სტრუქტურული და მმართველობითი ფორმით, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება საკანონმდებლო ბაზით. აქედან გამომდინარე, ქვეყანაში მაღალი სპორტული მიზნების განსახორციელებლად აუცილებელია სახელმწიფოს მიერ სპორტულ ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა, თანასწორობა, შესაბამისი ავტონომიურობა. რამდენიმე მოსაზრება ამ საკითხებზე:

- საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ **ჟაკ როგის** სიტყვა პირველ საერთაშორისო ოლიმპიურ სპორტულ სახეობათა ყრილობაზე (2010 წ. ოქტომბერი, აკაპულკო, მექსიკა): **„ჩვენს სფეროში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება აქტიური ნაყოფიერი თანამშრომლობის შენარჩუნებას ოლიმპიურ მოძრაობასა და სპორტის სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის. ჩვენი ამოცანაა ისეთი ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის დამყარება, რომელიც წარმატებით განახორციელებს ჩვენ ერთობლივ მიზნებს. ჩვენ ვიცით, რომ სპორტის განვითარება შეუძლებელი იქნებოდა მთავრობასთან თანამშრომლობის გარეშე, მაგრამ ჩვენ ასევე დავინახეთ, თუ როგორ შეუძლია სპორტს დაეხმაროს მთავრობას, საზოგადოებას... რას ნიშნავს „სპორტის ავტონომია“ თავდაპირველად ნება მომეცით განვმარტო მისი მნიშვნელობა: ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ კანონზე მაღლა ვდგავართ; ან რომ არ უნდა ვრჩებოდეთ კარგი მმართველობის პრინციპების დამცველად. ეს მარტივად იმას ნიშნავს, რომ სპორტის სამყარო და სპორტული ადმინისტრაცია თავისუფალი უნდა იყოს პირდაპირი პოლიტიკური ან სამთავრობო ჩარევისგან, რომ მთავრობები არ უნდა ეროდნენ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების სამართლიან არჩევნებში, ან არ უნდა ცდილობდნენ მწვრთნელების, ან სპორტსმენთა ძალდატანებით შერჩევას. ჩვენ უფლება უნდა მოგვეცეს თავისუფლად ჩამოვაყალიბოთ სპორტული ორგანიზაციები, ფედერაციები და კლუბები. ასევე უფლება უნდა გვქონდეს თავისუფლად განვსაზღვროთ სპორტის წესები და შევიმუშაოთ სპორტული პრაქტიკისთვის აუცილებელი სტრუქტურები და პროცედურები... სპორტის ავტონომია ეფუძნება სპორტის უნიკალურ თვისებას. სპორტი წარმოადგენს გლობალურ ძალისხმევას, რაც სამართლიანი თამაშისა და სამართლიანი ასპარეზობის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების პრინციპებზეა აგებული“.**

იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი პრეზიდენტი, ამჟამად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი **მარიო პესკანტე: „ქვეყანა, რომელსაც პოლიტიკური გავლენისაგან თავისუფალი ავტონომიური სპორტული ორგანიზაცია გააჩნია, წარმოადგენს უფრო მეტი თავისუფლებისა და დემოკრატიულობის მქონე ქვეყანას“.** თუ რამდენად მნიშვნელოვანია სპორტული ორგანიზაციებისთვის თავისუფლებისა და დემოკრატიულობის ცნებები, ადასტურებს მე-13 საერთაშორისო ოლიმპიური კონგრესის (2009 წ. ოქტომბერი, კოპენჰაგენი, დანია) მასალები, კერძოდ კონგრესის დღის წესრიგის რიგი საკითხებისა, მათ შორის:

**ა) სპორტული ორგანიზაციების წესდება, სტრუქტურა, დემოკრატიული პროცესების ასახვა;**

**ბ) ჰარმონიული ურთიერთობები მთავრობასთან - ავტონომიის შენარჩუნებით;**

**გ) ანგარიშვალდებულება, საჯაროობა, გამჭვირვალობა და კონტროლი...**

უნდა აღინიშნოს, რომ სპორტის ავტონომიას თან უნდა ახლდეს სპორტული ორგანიზაციების წესდებების, დებულებების და ძირითადი სპორტული თანამდებობების დაკავებისაკენ გამიზნული არჩევითი სისტემების დემოკრატიასთან დაკავშირებული პრინციპების სრული ერთგულება, მათი მკაცრი დაცვა და შემდგომი მუშაობის კონტროლი ორგანიზაციის წევრი ფიზიკური და იურიდიული პირების მხრიდან.

ადამიანის უფლებები, საპარლამენტო დემოკრატია და კანონის უზენაესობა, ის პრინციპებია, რომლებიც ზრდასრულმა ადამიანებმა შეიმუშავეს და ისინი სწორედ მათ მიერვე ინერგება პრაქტიკაში. ზოგადად, ყოველივე ეს ის ფასეულობებია, რომელთაც ცივილიზებულ ქვეყნებთან ერთად საქართველოც აღიარებს. სპორტთან მიმართებაში ეს არის სპორტულ ორგანიზაციათა წესდების უზენაესობა, არჩევნების დემოკრატიულობა და წევრთა უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობა. ჩვენს სინამდვილეში ყველა ეს პრინციპი მეტნაკლებად დარღვეულია. წესდების თანახმად, სპორტულ ორგანიზაციათა მუშაობა უნდა წარიმართებოდეს ამ ორგანიზაციების ყრილობებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე. სინამდვილეში ასე არ ხდება. ფედერაციათა პრეზიდენტები, მმართველი ორგანოები, ანგარიშვალდებულად არ თვლიან თავს საკუთარი წევრების, ანუ ზოგადად, საზოგადოების წინაშე. მეორე მხრივ, პასიურობენ თავად ამ ორგანიზაციების წევრები. მოკლედ, ერთნი ანგარიშს არ აბარებენ, მეორენი ამ ანგარიშს არ ითხოვენ, საქმე კი არ კეთდება. ჩვენ უნდა დავძლიოთ ეს სტერეოტიპი და შევეცადოთ ვიმოქმედოთ დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით, მით უმეტეს, რომ 2012 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშების შემდეგ უმეტეს ოლიმპიურ, თუ არაოლიმპიური სპორტის სახეობათა ფედერაციებში, ისევე როგორც ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში, ჩატარდება საანგარიშო-საარჩევნო ყრილობები.

ერთ-ერთ ჩემს პუბლიკაციაში და სემინარზე გამოსვლისას გამოვთქვი აზრი: **„ვფიქრობ და მაქვს ეჭვი, რომ ჩვენ სპორტში არსებულ მდგომარეობაზე, ამ მდგომარეობის ანალიზზე გვაქვს სიმართლის თქმის არასაკმარისი სურვილი. გთხოვთ და მოგიწოდებთ სპორტულ სამყაროს, გავფანტოთ ეს ეჭვი ქართული სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის მომავლის საკეთილდღეოდ, მის სასარგებლოდ. პრაქტიკულად, ჩემდა სამწუხაროდ, ამას რეალური გამოხმაურება არ მოჰყოლია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მხოლოდ ერთ დასმულ კითხვას: *ვინ არის სპორტის სამყარო, არსებობს კი ის?!*“** აქ, მსურს განვმარტო, თუ ვინ არის სპორტის სამყარო და რა მისია შეიძლება მას ჰქონდეს.

სპორტის სამყარო არის საზოგადოების დიდი ნაწილი, რომელიც კოორდინაციას უწევს ოლიმპიური მოძრაობისა და სპორტის ფასეულობებისა და ღირებულებების დანერგვას, დაცვასა და განხორციელებას ქვეყნის ცხოვრებაში.

სპორტის სამყაროს მისიაა, განავითაროს ქართული სპორტის განზომილება თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამომდინარე ქვეყნის კონსტიტუციის შესაბამისი მუხლისა და არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. უფრო კონკრეტულად სპორტის სამყარო ყველა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობით პასუხისმგებელია განახორციელოს და სრულად კოორდინირებდეს იმ სამოქმედო გეგმას, რომელიც ახლავს ფიზიკური განათლებისა და სპორტის განვითარების კონცეფციას. მისიის ფარგლებში სპორტის სამყარო ინარჩუნებს სტრუქტურულ დიალოგს ოლიმპიურ და სპორტულ მოძრაობასთან და მხარს უჭერს სასარგებლო პრაქტიკის გაცვლას სხვადასხვა მონაწილე მხარეებს შორის. სპორტის სამყარო არის გარანტი, სპორტის სპეციფიკის გათვალისწინებისა შესაბამისი პოლიტიკური ასპექტების განვითარებისა და განხორციელებისათვის, ესენია: კონკურენცია, შიდა ბაზარი, სამუშაო ადგილები და სოციალური ასპექტი, სამართალი, თავისუფლება, უსაფრთხოება და უშიშროება, რეგიონული პოლიტიკა, ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა, განათლება და ახალგაზრდული საქმეები, გარემოს დაცვა, საგარეო ურთიერთობები.

დასასრულ, სპორტის არასამთავრობო ორგანიზაცია ეს იქნება კლუბი, ასოციაცია, კავშირი, ფედერაცია, კომიტეტი თუ კონფედერაცია, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს კანონმდებლობას. ნებისმიერ კავშირს ქმნის ადამიანთა ის ჯგუფი, რომელსაც გააჩნია მოქმედების საერთო ინტერესები, მიზნები და სიყვარული სპორტისადმი. მიღებული წესდება მოითხოვს მისი თავებისა და მუხლების დაცვას იმათგან, ვინც ის მიიღო. ესენი კი არიან იურიდიული და ფიზიკური პირები, არჩეული პირები და მმართველი ორგანოები.



**თამაზ თევზაძე**
სპორტის ექსპერტი
2012წ. იანვარი, თბილისი

კალათბურთი. სუპერლიგა. შსს



# რობო კრეპსი ამერიკაში მიდის

სუპერლიგის პირველ წრეში შსს-ს ბომბარდირმა **რობო კრეპსმა** მოულოდნელად კარიერის დასრულების გადაწყვეტილება მიიღო. როგორც შევიტყვეთ, მიზეზი არც ტრავმა და არც ვინმესთან უთანხმოებაა, კრეპსმა პირადი მიზეზით დაანება თავი თამაშს. იგი ძალოვნებს გუშინდელ ნახევარფინალშიც არ დაეხმარა, ამერიკაში მიემგზავრება.

რობო საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის სნაიპერთა დავაში მეოთხე იყო: საშუალოდ 34 წუთში 23.1 ქულა, 5.1 მოხსნა, 4.1 პასი, 1.7 ჩაჭრა.

ასეთი კალათბურთელის გამოკლება ჩემპიონატისთვის ნამდვილად დანაკლისი იქნება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ძიუდო

# ხალხმრავალი სემინარი

გუშინ ძიუდოს მწვრთნელთა და მსაჯთა სემინარი დაიწყო, რომლის ინიციატორიც სეოკ-ი და ევროპის ძიუდოს კავშირი არიან. სემინარი დაახლოებით 60 კაცზე იყო გათვლილი, თუმცა უჩვეულოდ დიდი ინტერესი გამოიწვია – რეგისტრაცია 185-მა მსურველმა გაიარა და სეოკ-ის დარბაზი ხალხს ვერ იტევდა. აქედან 35 მსაჯია, 150 –მწვრთნელი. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ძიუდოს პოპულარობას საქართველოში. სეოკ-ის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** აღნიშნა კიდეც, ჩემთვის სასიამოვნოა, რაც ახლა ამ დარბაზში ხდებაო.

სემინარს ევროპის ძიუდოს კავშირის მსაჯთა კოლეგიის კომისარი, რუსი **ვასილ სმოლინი** უძღვება, რომელმაც მისასალმებელ სიტყვაში საქართველო მეორე სამშობლოდ მოიხსენია, ბაზალეთის ტბაზე გატარებული ჯარისკაცობის წლებიც გაიხსენა და აქაური მეგობრებიც მოიკითხა.

სემინარი ორდღიანია. გუშინდელ თეორიულ მეცადინეობაში ფართოდ იყო გამოყენებული ვიდეოფირები, სლაიდები, ნაბეჭდი ლიტერატურა, დღეს კი პრაქტიკული სწავლება ძიუდოს აკადემიაში გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ სემინარში 17 უცხოელი არბიტრიც მონაწილეობს, ისინი შაბათ-კვირას თბილისის მსოფლიოს თასზეც იმსაჯებენ. მათგან 15 ოლიმპიადასაც იმსაჯებს, თუმცა ის ორიც ფრიად ცნობილი არბიტრია.

**ირაკლი თავაძე**



## კალათბურთი

### ● ქართველი NBA-ში

# ხუთ-ხუთი



„ატლანტა ჰოქსი" ტექსასის შტატში ალმოსავლეთის კონფერენციის მეორეადგილოსნის სტატუსით ჩავიდა და უკან მემექვსეადგილოსნად დაბრუნდა - „სან ანტონიომ" 105:83 აჯობა. „სპურსმა" გადამწყვეტ უპირატესობას მესამე პერიოდში მიაღწია და ბოლო რაუნდის წინ 76:61 დაწინაურდა...

**ზაზა ფაჩულიამ** მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო და 5-5 ქულა მოხსნა მოაგროვა. სხვათა შორის, ჯორჯიელებს გასვლით შეხვედრებში სწორედ 5-5 მოგება-წაგება აქვთ. 27 წლის ქართველის თამაში გაზეთმა „ატლანტა კონსტიტუშენმა" ასე შეაფასა: „ზაზას **ტიმ დანკანის** მეურვეობა უწევდა. დასაფასებელია მისი გარჯა „სან ანტონიოს" ლიდერის წინააღმდეგ. ტიმმა მხოლოდ 6 ქულა ჩააგდო. ასევე ენერგიულად გამოიყურებოდა „ატლანტას" მეორე მეფარე **ივან ჯონსონი**, თუმცა საერთო მაჩვენებლებით, „ატლანტამ" მასპინძლებს ვერც ფარქვეშ აჯობა და ვერც პერიმეტრზე."

სტატისტიკას მოვიშველიებთ: „სურსმა" 11 სამქულიანი ჩააგდო, „ჰოქსმა" - 6.

ჯორჯიელები მომდევნო შეხვედრას 27 იანვარს დეტროიტში „პისტონსთან" ჩაატარებენ.

**სან ანტონიო-ატლანტა 105:83**

**ზაზა ფაჩულია:** 27 წუთი, 5 ქულა (2/4 ორქულიანი, 1/2 საჯარიმო), 5 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 შეცდომა, 4 ფოლი.

| I პერიოდი | | |
|---|---|---|
| 11:04 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 | 0-0 |
| 9:25 | ორქულიანი: არაზუსტი | 2-5 |
| 9:21 | ორქულიანი: 2ქ | 4-5 |
| 8:30 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 | 6-7 |
| 5:46 | ორქულიანი: არაზუსტი | 13-11 |
| 3:54 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა | 13-14 |

| II პერიოდი | | |
|---|---|---|
| 8:23 | ზაზამ ი. ჯონსონი შეცვალა | 26-35 |
| 5:00 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 | 32-44 |
| 5:00 | ორქულიანი: 4ქ | 32-44 |
| 3:48 | საჯარიმოები: 2/1 (5ქ) | 33-46 |

| III პერიოდი | | |
|---|---|---|
| 11:18 | ფოლი: 1 | 46-50 |
| 10:11 | ფოლი: 2 | 48-50 |
| 9:02 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 | 50-55 |
| 6:56 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 | 54-60 |
| 3:39 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა | 57-66 |

| IV პერიოდი | | |
|---|---|---|
| 7:26 | ფოლი: 3 | 67-86 |
| 6:11 | შეცდომა: 1 | 69-90 |
| 6:11 | ფოლი: 4 | 69-90 |
| 6:09 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა | 69-92 |
| 4:58 | ი. ჯონსონი შეცვალა | 73-94 |

### ● საქართველოს ნაკრები

# ბოისა: მინდა ევრობასკეტზე სლოვენიაშიც ვითამაშო




საქართველოს ნაკრების გამოცდილი ფორვარდი, 30 წლის **ვლადიმერ ბოისა** სეზონის პირველ წრეში უქმობის შემდეგ ბერძნულ „პანიონიოსში" ჩაირიცხა. მასთან ინტერვიუ კალათბურთის ფედერაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა და რამდენიმე ამონარიდს ჩვენც შემოგთავაზებთ.

- საბერძნეთში კარგი პირობები დამხვდა, გუნდიც ამბიციურია და ქვეყანაშიც საკმაოდ თბილა. სლოვენიასთან შედარებით აქ შესანიშნავი ამინდებია. მქონდა სხვა შემოთავაზებებიც, მაგრამ ახლა იმ ასაკში არა ვარ, რომ დაბალი ანაზღაურების სანაცვლოდ უცხო ქვეყანაში გადავიდე. იყო იტალიის სერია B-ს ვარიანტი, ასევე საბერძნეთის სუსტ გუნდებში გადასვლის შანსი, მაგრამ ვამჯობინე, სლოვენიაში, ოჯახთან ვყოფილიყავი და ევრობასკეტის შემდეგ ფორმა შემენარჩუნებინა. ვვარჯიშობდი „ჰელიოსში", თუმცა უკონტრაქტოდ. საბოლოოდ სასურველი ვარიანტიც გამოჩნდა. „პანიონიოსს" ტრავმის გამო ფორვარდი გამოაკლდა და ჩემმა აგენტმა ამ გუნდში გადასვლა რომ შემომთავაზა, დაუფიქრებლად დავთანხმდი.

ვოვამ ახალი გუნდის შემადგენლობაზეც ილაპარაკა:

- „პანიონიოსის" 2 მოთამაშეს აქამდეც კარგად ვიცნობდი, მწვრთნელთან კი უშუალო შეხება არ მქონია. ამ სპეციალისტს ჩემ შესახებ საკმარისი ინფორმაცია ჰქონდა, რადგან უმუშავია ევროლიგის გუნდებში, სადაც სისტემატიურად ვთამაშობდი. მწვრთნელმა იცოდა, რა დონის და რა ტიპის მოთამაშე ვარ. მეც მისთვის იმედი არ გამიცრუებია. ჩემს ასაკში კალათბურთელები შეტევაზე მეტად დაცვაზე ფიქრობენ. ამის გათვალისწინებით, შემიძლია, ვთქვა, რომ გუნდის ხელმძღვანელობა უკმაყოფილო არ უნდა იყოს ჩემით. პირველი მატჩი ჩამოსვლიდან 2 დღეში ვითამაშე და ცხადია, ჩემგან ციდან ვარსკვლავების მოწყვეტას არავინ ელოდა, თუმცა რაც მოედანზე ვიყავი, დაცვაში საიმედოდ გამოვიყურებოდი. მეორე და მესამე შეხვედრებში კი უფრო კარგად ავუღე ალლო ახალ გარემოს, თანაგუნდელებთან შევთამაშდი და შეტევაშიც დამაჯერებელი ვიყავი. გასულ მატჩში 13 წუთში 7 ქულა და 4 მოხსნა მოვაგროვე, რაც, კარგ შედეგად ითვლება.

როგორც ჩანს, ბოისა კარიერის დასრულებაზე ჯერ არ ფიქრობს:

- თუ გუნდმა მეოთხე ადგილი შეინარჩუნა და პლეი ოფშიც კარგად გამოვედით, დიდი შანსია, მომდევნო სეზონშიც აქ დავრჩე, თუმცა ჩემს ასაკში ყველაფერია მოსალოდნელი. ის კი ვიცი, რომ კარიერისთვის თავის დანებება ჯერ ადრეა. მაღალ დონეზე თამაში ჯერაც შემიძლია, ხოლო 34 წლის რომ გავხდები, მერე შეიძლება დაბალ ლიგებში გადასვლა და ნელ-ნელა კარიერის დასრულებაზე ფიქრი.

მოვისმინოთ ვლადიმერ ბოისას მოსაზრება საქართველოს ნაკრებში მის სამომავლო გეგმებზე.

- ნაკრებში თამაშზე უარი არასდროს მითქვამს და წლების მანძილზე ერთგულად ვემსახურე ჩვენს ეროვნულ გუნდს. თუ გამომიძახებენ, უარის თქმა ძალიან გამიჭირდება. თუმცა, ვფიქრობ, ამ ეტაპზე უმჯობესი იქნება, ნაკრებს კლუბთან კონტრაქტის გაფორმების შემდეგ შევუერთდე. ეროვნულ გუნდში თამაშის გამო წარსულში ჩემით არაერთი გრანდი დაინტერესებულა, მაგრამ ახლა სხვა დროა. მხოლოდ იმის გამო, რომ საკუთარი ქვეყნის ნაკრებში თამაშობ, ამ დროში გუნდში ულაპარაკოდ არ აგიყვანენ - მით უფრო, ჩემი ასაკის კალათბურთელს. ისე კი მომავალ ევროპის ჩემპიონატზე თამაში განსაკუთრებით მინდა, რადგან 2013 წელს კონტინენტის პირველობა სლოვენიაში იმართება.

დაბოლოს, ნაკრების შანსებზე.

- ევრობასკეტზე მოხვედრა რეალურია. საქართველოს ნაკრები ჯგუფის ფავორიტია და ვფიქრობ, თბილისში ყველა მატჩს მოიგებს. გასვლაზე კი ძნელი თამაშები გველის. რუმინეთში არ უნდა გაგვიჭირდეს, თუმცა დანარჩენ მეტოქეებთან სტუმრად თამაში ურთულესი იქნება. საკმარისია, საშინაო თამაშებთან ერთად 2 გასვლითი შეხვედრაც მოვიგოთ და სლოვენიის საგზურს გავინაღდებთ.

### ● საქართველოს თასი. 1/2 ფინალი

# ესეც ფინალი: არმია-ქუთაისი

„არმია" და „ქუთაისი" სუპერლიგის პირველ წრეში პირველ-მეორე ადგილზე გავიდნენ. მათ გუშინაც დაამტკიცეს უპირატესობა და საქართველოს თასის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.**

**26 იანვარი. თბილისი**

**სპორტის სასახლე**

**ქუთაისი-ოლიმპი 58:55**

16:16, 15:19, 13:8, 14:12

**ქუთაისი:** ფაშაევი (7ქ, 3ჩ), ბაბუნაშვილი, დიდია (19ქ, 5მ), ცეკვავა (13ქ, 5პ), დ. ბარბაქაძე, გ. ბარბაქაძე (11ქ, 10მ, 3პ, 4ჩ), კოლუაშვილი (2ქ), მათიაშვილი (6ქ, 13მ, 3დ).

**ოლიმპი:** გამყრელიძე (12ქ, 11პ, 9მ, 5ჩ), გულისაბედაშვილი (6ქ), თავართქილაძე, მილუტინოვიჩი (2ქ, 6მ), მ. ბერიშვილი (5მ), სლიუკა (8ქ), ტუტუსი (10ქ), ტოდოროვიჩი (6ქ, 6მ, 3დ), ჰოგერი (11ქ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, ი. ბერიშვილი.

რამდენი ქულაც „ქუთაისი"-"ოლიმპის" მატჩისას 40 წუთში ჩავარდა, თითქმის იმდენი „არმია"-შსს-ს დაპირისპირების პირველ ტაიმში დაფიქსირდა. იმის თქმა მინდა, რომ პირველ ნახევარფინალში შეტევაში ორივე გუნდს ჰქონდა პრობლემები, ვერც სანახაობრიობით შეედრებოდა მომდევნოს და ვერც ემოციურობით. ამის ერთ-ერთი მიზეზი გულშემატკივართა სიმცირე იყო - ბურთიც იმდენად იშვიათად ვარდებოდა, რამდენად მეჩხერადაც ისხდნენ ქომაგები. ერთმა გუნდმა 58 ქულა მოაგროვა, მეორემ - 55.

ქუთათურები სამქულიანებით ყოველთვის გამოირჩეოდნენ, „ოლიმპთანაც" 7 შორეული ტყორცნა გამოიყენეს, თუმცალა დაბალი პროცენტული მაჩვენებლით ისროლეს (23.3%). უარესი შედეგი ჰქონდა „ოლიმპს" - 19-დან 2 სამქულიანი (10.5%). თანაბარი ძალის გუნდებში კი სამქულიანები ბევრს წყვეტს, რაშიც მატჩის ბოლო წუთების გადახედვის შემდეგაც დავრწმუნდებით:

| | |
|---|---|
| 7:07 | ცეკვავა 2ქ (ქუთაისი) - 46:47 |
| 6:34 | ცეკვავა 2ქ (ქუთაისი) - 48:47 |
| 4:30 | ტოდოროვიჩი 2ქ (ოლიმპი) - 48:49 |
| 3:50 | გამყრელიძე 2ქ (ოლიმპი) - 48:51 |
| 3:31 | ფაშაევი 3ქ (ქუთაისი) - 51:51 |
| 2:25 | დიდია 3ქ (ქუთაისი) - 54:51 |
| 2:01 | ტუტუსი 2ქ (ოლიმპი) - 54:53 |
| 1:36 | გ. ბარბაქაძე 1+1 (ქუთაისი) - 56:53 |
| 0:20 | გ. ბარბაქაძე 2ქ (ქუთაისი) - 58:53 |
| 0:17 | სლიუკა 2ქ (ოლიმპი) - 58:55 |
| 0:00 | ტუტუსი (ოლიმპი) - სამქულიანი ააცილა |

**26 იანვარი. თბილისი**

**სპორტის სასახლე**

**არმია-შსს 99:83**

23:23, 28:18, 26:22, 22:20

**არმია:** რიჩარდსონი (26ქ, 4პ), ბაბიაშვილი (2ქ), ბოისა (9ქ, 4პ), ვუდსაიდი (17ქ, 10პ, 8მ), კვიმსაძე, ტომასი (29ქ, 8მ), საყვარელიძე (2ქ, 3პ, 2დ), შელბომი (14ქ, 11მ, 3პ, 2დ).

**შსს:** ბლერი (32ქ, 6პ, 4ჩ), მაკქემონი (8ქ, 6პ, 8მ), ბოქოლიშვილი (11ქ), ლაფანაშვილი, ნიკოლაძე (1ქ), ლონდარიძე (4ქ), თენიეშვილი, სმიტი (12ქ, 10მ, 2დ), ბექაური (9ქ), იმნაძე (6ქ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, ს. საინერსი

საქართველოს თასის დაწყების წინ შსს-ს მეფარე **ტუჯანი** გამოაკლდა, ნახევარფინალის წინ - მსროლელი **კრეპსი**. სერიოზული დანაკლისის პირობებში **არჩილ ჟღენტის** გუნდმა შეჯიბრების ფავორიტ „არმიასთან" ღირსეულად ითამაშა და ნამატჩევს არმიელთა მწვრთნელ **კოტე ტულუშს** ათქმევინა - დაცვაში ცუდად ვითამაშეთო.

შედარების კარგი საშუალება მოგვეცა: „მშვიდი ტრიბუნების" წინაშე ჩატარებული თამაშის შემდეგ ხმაურიანი ქომაგის თანხლებით წარმართულ შეხვედრას ორმაგი ემოცია ახლდა. მიუხედავად იმისა, რომ „არმიამ" მეორე პერიოდის შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდო და ერთ მომენტში 22 ქულითაც დაწინაურდა, დაძაბულობის ხარისხი მაინც არ დაკლებულა.

პერიმეტრიდან ტყორცნები არც **რიჩარდსონს** წაუვიდა, არც **ბლერს**, თუმცა ქულებით მაინც დაიხუნძლნენ. შსს-ელმა ბლერმა 32 ჩააგდო, არმიელებმა - რიჩარდსონმა და **ტომასმა** შესაბამისად - 26 და 29.

ფინალი 30 იანვარს თბილისის სპორტის სასახლეში 17 საათზე დაიწყება.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**






ერთა თასი

# სამი ქართველი რუსეთის ნაკრებში

ევროპის ერთა თასის გათამაშების დაწყებამდე ათიოდ დღე დარჩა. საქართველოს ნაკრების მეტოქეები ერთმანეთის მიყოლებით ასახელებენ რაზმების შემადგენლობას. „ბორჯღალოსნების" ერთ-ერთი მთავარი კონკურენტის, რუსეთის ეროვნული გუნდის უელსელმა მწვრთნელმა **კინგსლი ჯოუნზმა** გუნდის გაფართოებული შემადგენლობა გაცხადა.

იმ მორაგბეთა შორის, რომლებიც ერთა თასის გათამაშების მატჩებისთვის მოსამზადებლად სოჭში შეიკრიბებიან, სამი ქართული წარმოშობის მორაგბეა. ესენია: **ვალერი ცნობილაძე**, მისი ძმა **გრიგოლ ცნობილაძე** და მოსკოვის „სპარტაკის" ახალგაზრდა მორაგბე **პავლე კვერნაძე.**

ეს უკანასკნელი, ცხადია, დებიუტანტია, მასთან ერთად პირველად გამოიძახეს ნაკრებში **გერმან გოდლიუკი, სტანისლავ სელსკი, მაქსიმ სტრუზი, რომან კოკორინი** და **ანტონ სინიცინი.**

ტრავმების გამო საწვრთნელ შეკრებაზე არ იქნებიან **ალექსანდრ ვოიტოვი, იგორ კლუჩნიკოვი, სერგეი პოპოვი** და **კირილ კუშნარიოვი.** ინგლისურ კლუბებში თამაშობენ და ჯერჯერობით სოჭში ჩასვლას ვერ ახერხებენ **ვასილი არტემევი, ანდრეი ოსტრიკოვი, ვლადისლავ კორშუნოვი** და **ვიქტორ გრესევი.**

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ნაკრებში არ არის გამოძახებული რვა ისეთი მორაგბე, რომლებმაც ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე იასპარეზეს. ესენია: **ვიაჩესლავ გრაჩოვი, კონსტანტინ რაჩკოვი, ანდრეი კუზინი, ანდრეი ბიკანოვი, ალექსანდრ ხროკინი, ალექსეი ტრავკინი, ივან პრიშეპენკო** და **ევგენი პრონენკო.**

შეგახსენებთ, რომ რუსეთის ნაკრები ჩვენს ეროვნულ გუნდს თბილისში 17 მარტს დაუპირისპირდება. ცნობილია, ამ მატჩის არბიტრის ვინაობაც. თამაშს ფრანგ მსაჯთა ბრიგადა განსჯის. მთავარი მსაჯი **მატიე რეინალი** იქნება.

„ბორჯღალოსნები" პირველ შეხვედრას 4 თებერვალს დნეპროპეტროვსკში, სტადიონ „მეტეორზე" უკრაინის ნაკრებთან გამართავს. ამ შეხვედრას იტალიელი **სტეფანო მანჩინი** განსჯის. ერთი კვირის თავზე საქართველოს ნაკრები მადრიდში ესპანეთის ეროვნულ გუნდს ესტუმრება. იქ ირლანდიელი **დევიდ ვილკინსონი** იმსაჯებს.

პირველ საშინაო შეხვედრას საქართველოს ნაკრები 25 თებერვალს გამართავს. მეტოქე, ჩვენი გუნდისთვის ტრადიციულად უხერხული გუნდი, პორტუგალიელი „ლობუშები" იქნებიან. ამ მატჩში იტალიელი **მარიუს მიტრეა** იმსაჯებს.


ბურთით ლევან დათუნაშვილი

**რუსეთის ნაკრები**

**მიხაილ ბაბაევი, ალექსეი ვოლკოვი, ვიქტორ კობზევი, ალექსეი პანასენკო, ევგენი მატვეევი, არტიომ ფატახოვი, იური კუშნარიოვი, სერგეი ტრიშინი, ალექსანდრ შაკიროვი, ალექსანდრ იანუშკინი (ყველა-ვვა), სტანისლავ სელსკი, ვალერი ცნობილაძე, ვლადიმირ ბოტვინიკოვი, ნიკიტა მედკოვი, ანდრეი ტემნოვიი, დიმიტრი გერასიმოვი, იგორ კუშნარიოვი, დენის სიმპლიკევიჩი (ყველა-ენისეი), ჰაზირ გასანოვი, გრიგოლ ცნობილაძე, მაქსიმ სტრუზა, ანდრეი გარბუზოვი, ანტონ რიაზოვი, ალექსეი მაკოვეცკი (ყველა-კრასნი იარი), ანდრეი იგრეცოვი, დენის ანტონოვი, გერმან გოდლიუკი (სამივე-სლავა), პაველ კვერნაძე, ანტონ სინიცინი, რომან კოკორინი (სამივე-სპარტაკი), კირილ კოპეშკინი, ვლადიმირ ბოლტენკოვი (ორივე-იმპერია), ვლადიმირ ოსტროუშკო (ტაგანროგი), ევგენი ტიტოვი (სმენა).**

**ერთა თასი**

1. საქართველო - 22 ქულა, 2. რუმინეთი - 16, 3. პორტუგალია - 14, 4. რუსეთი - 11, 5. ესპანეთი - 10, 6. უკრაინა - 0.

ექვსი ერი

# იაშვილი–პარას დაპირისპირება გრძელდება

საფრანგეთის ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ფილიპ სენტ-ანდრემ** იმ 23 მორაგბის სია გამოაქვეყნა, ვინც 4 თებერვალს, ექვსი ერის გათამაშების პირველ ტურში იტალიის ნაკრებს დაუპირისპირდება.

აღსანიშნავია, რომ სენტ-ანდრემ „ლე ბლოს" ქომაგებს რამდენიმე სიურპრიზი შესთავაზა. მან განაცხადში ორი დებიუტანტი **უესლი ფოფანა** და **იოან მაესტრი** შეიყვანა. ორივე მათგანი თავიანთი კლუბების, შესაბამისად „კლერმონისა" და „ტულუზის" შემადგენლობაში მიმდინარე საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩებში შესანიშნავად ირჯება. სენტ-ანდრეს მიაჩნია, რომ მათ თავის გამოჩენისა და ნაკრებში დამკვიდრების შანსი უნდა მისცეს.

ასევე მოულოდნელი იყო, პარიზული „სტად ფრანსეს" შერკინების ბურჯის, **დავიდ ატუბის** 23-კაციან განაცხადში გამოჩენა, მით უფრო, რომ ის წინასწარ გაფართოებულ შემადგენლობაში არ ყოფილა. სენტ-ანდრემ ატუბი ისეთ მორკინალებს ამჯობინა, **ფაბიენ ბარსელა** და **ლუკ დუკალკონი** რომ არიან.

აღსანიშნავია, რომ ფრანგთა თავკაცი აქცენტს მაინც იმ მოთამაშეებზე აკეთებს, რომლებმაც ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე ფინალში გააღწიეს. ასეთი ამჟამინდელ გუნდში 17 მორაგბეა. სენტ-ანდრე მათ გამოცდილებას ეყრდნობა და მათი დიდი იმედი აქვს.

გუნდის კაპიტანი ისევ 2011 წლის მსოფლიოს საუკეთესო მორაგბე **ტიერი დუსოტუარი** იქნება. ნაკრებში დაბრუნდა მგეზავი **ლიონელ ბუქსი,** რომელიც წლეულს „ტულუზში" ძალიან კარგად თამაშობს და მონპელიელ **ფრანსუა ტრინ-დუკს** სერიოზულ კონკურენციას გაუწევს.

ისევ მოსალოდნელია ცხრა ნომრების, ქართული წარმოშობის **დიმიტრი იაშვილისა** და **მორგან პარას** „გამოუცხადებელი ომი". ორივე მორაგბე შესანიშნავ ფორმაშია და, ვფიქრობთ, სენტ-ანდრეს მათ შორის არჩევანის გაკეთება ძალიან გაუჭირდება.

**საფრანგეთის ნაკრები**

შერკინება: **დევიდ ატუბი, დიმიტრი შარჟევსკი, პაკალ პაპე (სამივე-სტად ფრანსე), ვინსენ დებატი, ჟულიენ ბონერი (ორივე-კლერმონი), ნიკოლა მასი (პერპინიანი), ჟან-ბატისტ პუ, ვილიამ სერვა, იოან მაესტრი, ტიერი დუსოტუარი, ლუი პიკამოლი (ხუთივე-ტულუზი), ლიონელ ნალე (მეტრო რასინგი), იმანოლ არინორდოკი (ბიარიცი).**

უკანა ხაზი: **მორგან პარა, ვესლი ფოფანა, ჟულიენ მალზიო, ორელიან რუჟრი (ოთხივე-კლერმონი), დიმიტრი იშვილი (ბიარიცი), ლიონელ ბუქსი, ვინსან კლერი, მაქსიმ მედარი (სამივე-ტულუზი), მაქსიმ მერმოსი (პერპინიანი), ფრანსუა ტრინ-დუკი (მონპელიე).**

| ექვსი ერი |
| --- |
| 4 თებერვალი |
| საფრანგეთი-იტალია |
| 11 თებერვალი |
| საფრანგეთი-ირლანდია |
| 26 თებერვალი |
| შოტლანდია-საფრანგეთი |
| 11 მარტი |
| საფრანგეთი-ინგლისი |
| 17 მარტი |
| უელსი-საფრანგეთი |


დიმიტრი იაშვილი და მორგან პარა

კონფლიქტი


აარონ შინგლერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი ძმის ორი გზა

უელსის ნაკრები ექვსი ერის გათამაშებისათვის მოსამზადებლად, ისევე როგორც ახალ ზელანდიაში გამართული მსოფლიოს თასის წინ, პოლონეთში, ქალაქ გდანსკში გაემგზავრება. „ურჩხულების" თავკაცმა **ოუორენ გეთლენდმა** ეროვნულ გუნდში მიიწვია „ჰლანეჰლის" 24 წლის მეორეხაზელი **აარონ შინგლერი,** რომელიც სკანდალურად ცნობილი **სტივენ შინგლერის** ძმაა.

შეგახსენებთ, რომ სტივენ შინგლერი საექსერო განაცხადში შოტლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ენდი რობინსონმა** შეიყვანა, რადგან შინგლერებს დედა შოტლანდიელი ჰყავთ. თანაც სტივენიც არ არის წინააღმდეგი „ნარშავების" ღირსება დაიცვას. თუმცა IRB-მ „სკოტებს" მისი გუნდში აყვანა აუკრძალა, რადგან აქამდე უელსის ახალგაზრდულ ნაკრებში უთამაშია.

ძნელი სათქმელია შოტლანდიელების საწინააღმდეგო დე მარშია თუ არა, მაგრამ სტივის ამბავმა მის უფროს ძმას უელსის ნაკრებში გაუკაფა გზა. აარონ შინგლერს ნაკრებში არასდროს უთამაშია და ახლა კარგი შანსი აქვს ეროვნულ გუნდში დაიმკვიდროს ადგილი.

რაც შეეხება სტივს, მას და შოტლანდიური რაგბის ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ აქვთ იმედი, რომ IRB საბოლოოდ მათ მხარეს დაიჭერს.

შეგახსენებთ, რომ უელსის ნაკრები, რომელმაც მსოფლიოს თასზე შესანიშნავად იასპარეზა, ექვსი ერის გათამაშებაში პირველ შეხვედრას, 4 თებერვალს სტუმრად ირლანდიის ნაკრებთან გამართავს.

**უელსის ნაკრები**

შერკინება: **კრეიგ მიტჩელი (ექსეტერი), ადამ ჯოუნზი, რაიან ბევინგტონი, პაულ ჯეიმზი, ჰიუ ბენეტი, იან ევანსი, რაიან ჯოუნზი, ჯასტინ ტიპურიჩი (ყველა-ოსფრიზი), გეტლინ ჯენკინსი, ბრედლი დევისი, სემ ვერბარტონი (სამივე-კარდიფი), რის ჰილი, როდი ჯოუნზი, მათიუ რისი, კენ ოუენსი, ლუ რიდი (ოთხივე-ჰლანეჰლი), დენ ლაიდიატი, ტობი ფალეტაუ (ორივე-ნიუპორტი), ენდი პოუელი (სეილ შარქსი).**

უკანა ხაზი: **მაიკ ფილიპსი (ბაიონი), ლოიდ ვილიამსი, ჯიმი რობერტსი, გევინ ჰენსონი, ლეიგ ჰალპფენი, ალექს ქათბერტი, ჰარი რობინსონი (ყველა-კარდიფი), რის ვები, ეშლი ბეკი (ორივე-ოსფრიზი), რის პრისტლენდი, ჯონათან დევისი, სკოტ ვილიამსი, ლიამ ვილიამსი, აარონ შინგლერი (ხუთივე-ჰლანეჰლი), ლი ბირნი (კლერმონი), ჯეიმზ ჰუკი (პერპინიანი).**

| ექვსი ერი |
| --- |
| 5 თებერვალი |
| ირლანდია-უელსი |
| 12 თებერვალი |
| უელსი-შოტლანდია |
| 25 თებერვალი |
| ინგლისი-უელსი |
| 10 მარტი |
| უელსი-იტალია |
| 17 მარტი |
| უელსი-საფრანგეთი |

ლეგიონერები

# მამუკა გორგოძე მეორე ხაზში

დღეს თბილისის დროით 23 საათსა და 45 წუთზე საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტური, პირველი დივიზიონის მორიგი ტურის მატჩში **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტისა, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „მონპელიე" პარიზულ „სტად ფრანსეს" უმასპინძლებს.

მონპელიელთა მთავარი მწვრთნელის **ფაბიენ გალტიეს** გადაწყვეტილებით, გორგოძე, რომელიც უკვე დიდი ხანია მესამე ხაზში თამაშობს, ამჯერად მეორე ხაზში იასპარეზებს, რათა **ტიბო პრივას** არყოფნაში ეს პოზიცია გაამაგროს.

ამასთან, გავრცელდა ინფორმაცია, რომ გორგოძეს მიკრო ტრავმა აწუხებდა, თუმცა, სავარაუდოდ, საშიში არაფერია. ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს ასევე შერკინების ქართველი ბურჯი გიორგი ჟღენტი.

„მონპელიესთვის" ამ მატჩის შედეგს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენებურთა გუნდი 35 ქულით მე-8 ადგილზეა და ოთხი ქულით ჩამორჩება მე-5 ადგილზე მყოფ „სტად ფრანსეს".

ზე რაგბი

# ვიქტორ მეტფილდი შესაძლოა დაბრუნდეს

სამხრეთ აფრიკის ნაკრების ყოფილი მეორეხაზელი, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბე **ვიქტორ მეტფილდი** შესაძლოა რაგბის დაუბრუნდეს. თუმცა ეს მაშინ მოხდება, თუ „ბლუ ბულზის" მწვრთნელი **ჰეინკე მეიერი** „ბოკეს" თავკაცად დაინიშნება. მეტფილდს სურს ეროვნულ ნაკრებში მის ასისტენტად იმუშაოს.

*„ყველამ კარგად იცის ჩემი და ჰეინკე მეიერის ურთიერთობის შესახებ. ჩვენ მრავალი წელიწადი გვიმუშავია ერთად და ბევრი წარმატებისთვისაც მიგვიღწევია. მაგრამ, მოდი, პარასკევამდე დავიცადოთ. თუ მას მთავარ მწვრთნელად დანიშნავენ, გამორიცხული არ არის, ნაკრების მწვრთნელთა შტაბში მეც მოვხვდე. თუმცა ეს მთლიანად ჰეინკეზეა დამოკიდებული. მან უნდა ისურვოს ჩვენი ერთად მუშაობა"* - თქვა ვიქტორ მეტფილდმა.

შეგახსენებთ, რომ სამხრეთ აფრიკის ნაკრების მთავარ მწვრთნელს დღეს დანიშნავენ. მეტფილდის ნაკრებში მუშაობის იდეა კი, სავარაუდოდ, იმიტომ გაჩნდა, რომ მას შეუძლია საზღვარგარეთ სათამაშოდ გადახვეწილი **ფური დუ პრი, ბაკის ბოთა** და **ხუთრო სტენკამპი** ისევ ნაკრებში დააბრუნოს.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

# უცხოური სპორტი

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი



მონრეალი შეუჩერებელი იყო

# არდადეგებზე სენსაციით

„ყველა ვარსკვლავის მატჩით" გამოწვეული პაუზის წინ რეგულარულ ჩემპიონატში ერთადერთი შეხვედრა გაიმართა და ის დიდი მოულოდნელობით აღინიშნა. ლიგის ლიდერს „დეტროიტ რედ უინგზს" მინიარდადეგებზე წასვლა მაჟორულ ნოტაზე სურდა, მაგრამ სერიოზულად გაუფუჭდა ხასიათი.

რთული სათქმელია, რამ გამოიწვია „დეტროიტის" განადგურება, თუმცა ფაქტია, რომ „რედ უინგზი" ლეგენდარული მცველისა და კაპიტნის **ნიკლას ლიდსტრიომის** გარეშე თამაშობდა, რომელსაც უდროოდ შეეყარა გრიპის ვირუსი. შვედმა ვეტერანმა ბოლო სამი წლის განმავლობაში პირველად გამოტოვა რეგულარული ჩემპიონატის მატჩი.

მართალია, თამაში „დეტროიტის" აქტიურობით დაიწყო, მაგრამ „მონრეალმა" მოიგერია ზეწოლა და პირველ პერიოდში ოთხშაიბიან უპირატესობას მიაღწია. „რედ უინგზის" შეფობამ მეკარე **ჰოვარდი კონკლინით** შეცვალა, მაგრამ ამან საქმეს არ უშველა, რადგან მასპინძლებმა პირველი ორი დარტყმიდან ორი გოლი გაიტანეს და სხვაობა ექვს შაიბამდე ავიდა.

დასკვნით პერიოდში „დეტროიტმა" მაინც გაუტანა შაიბა **კორი პრაისს**. დუბლი გაიფორმა ირჟი ჰუდლერმა, თუმცა ეს ვერ დაეხმარა სტუმრებს თამაშში დაბრუნებაში. ბოლოსკენ „მონრეალმა" კიდევ ერთი შაიბა გაიტანა და კარგი განწყობით გაემგზავრა არდადეგებზე. თუმცა, „კანადიენსს" პლეი ოფის ზონამდე ჯერ რვა ქულა აშორებს.

**მონრეალი–დეტროიტი 7:2**

4:0, 2:0, 1:2

**გოლები:** 1:0 რ. ბურკი-15 (გომესი-7, დიასი-12), 2:0 ემელინი-1 (ა. კოსტიცინი-11), 3:0 დეშარნე-8 (ე. კოული-19), 4:0 პლეკანეცი-10 (რ. ბურკი-4, ტ. კაბერლე-20), 5:0 პასიორეტი-17 (დეშარნე-26, ე. კოული-20), 6:0 დეშარნე-9 (პასიორეტი-18, ტ. კაბერლე-21), 6:1 ჰუდლერი-14 (ჰელმი-9), 6:2 ჰუდლერი-15 (კომოდორი-2, კრონვალი-12), 7:2 ე. კოული-19 (ელერი-10).

## ოლიმპიზმი. ლონდონი 2012

# ბრძოლა ქალებისთვის

ინგლისის სახელმწიფო მოხელეები აქტიურად იძენენ ბილეთებს ოლიმპიადაზე ქალთა პლაჟის ფრენბურთის მატჩებზე დასასწრებად. მათ რამდენიმე საათში დაიტაცეს დაახლოებით ხუთასამდე ბილეთი. როგორც გაზეთი "სანი" წერს, სალაროებთან ბილეთების რეალიზაციისას პრაქტიკულად ზედახორა წარმოიშვა – ასე ძლიერ სურთ ჩინოვნიკებს იხილონ ნახევრად შიშველი ქალი ფრენბურთელები.

მთავრობამ შეიძინა დაახლოებით 9 ათასი ბილეთი თავისი თანამშრომლებისთვის და ამ მიზნით 750 ათასი ფუნტი სტერლინგი დახარჯა. სახელმწიფო მოხელეებს ყოველგვარი პრობლემის გარეშე შეუძლიათ ტურნირებზე დასასწრები ბილეთების შეძენა, მაგრამ მათი ინტერესი მხოლოდ ერთ ტურნირამდე – ქალთა პლაჟის ფრენბურთამდე დადის.

ამასთან, შესაბამისი განყოფილების შეფი **ჯონათან სტივენსი**, რომელიც მთავრობის თანამშრომლებისთვის კვოტების რეალიზაციით არის დაკავებული, ქალთა ფრენბურთის მიმართ პოპულარობას "შემთხვევითობას" უწოდებს. მისი სიტყვებით, ყველაზე იოლია ბილეთების შეძენა სწორედ ფრენბურთზე, სხვა სახეობებთან დაკავშირებით კი ჯერჯერობით სირთულეები არსებობს.

არაფერი არ არის გასაკვირი იმაში, რომ სახელმწიფო მოხელეების ყურადღება მიპყრობილია სწორედ ქალთა ფრენბურთისკენ. სპორტის ეს სახეობა ერთ-ერთი ყველაზე ლამაზია და ხშირად ტურნირის შედეგები გულშემატკივრებს ნაკლებად აინტერესებთ. მთავარია – დააკვირდნენ ლამაზმანებს მინიმალური ტანსაცმლით.



## კალათბურთი. ევროლიგა

# ბო ისევ ბრწყინავს

**საკალათბურთო ევროლიგაზე მეორე ჯგუფური ეტაპის მეორე ტური დაიწყო.**

**E ჯგუფი**

**ცსკა–ეფესი 96:68**

23:21, 25:15, 26:17, 22:15

ც: კირილენკო (15+8 მოხსნა), კრსტიჩი (14+5 მოხსნა), ტეოდოშიჩი (13), შვედი (11+4 პასი), ხრიაპა (11+8 პასი).

ე: ვუიაჩიჩი (21), ბარაცი (15).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 2 | 0 | 36 |
| 2. ეფესი | 1 | 1 | -22 |
| 3. გალათასარაი | 0 | 1 | -6 |
| 4. ოლიმპიაკოსი | 0 | 1 | -8 |

მოსკოვის ცსკა-მ ტურნირზე 12-დან მეთორმეტე შეხვედრა მოიგო. ამჯერად E ჯგუფის ფავორიტის მსხვერპლი გახდა თურქეთის „ეფესი".

თურქულ კლუბს მოსკოვში 1999 წლის შემდეგ არ მოუგია და ნავსი ვერც ამჯერად გატეხა. „ეფესმა" მხოლოდ პირველ მეოთხედში გაუწია წინააღმდეგობა, როცა მატჩის ეს ათწუთიანი მონაკვეთი ორი ქულით წააგო, მაგრამ მეორე მეოთხედიდან დაიწყო ცსკა-ს დომინირება, რომელიც მატჩის ბოლომდე გაგრძელდა. არმიელებმა მეორე, მესამე და მეოთხე მეოთხედები შესაბამისად, 10, 9 და 7 ქულით მოიგეს, რამაც, საბოლოოდ, მათ 27-ქულიანი უპირატესობა მოუტანა – 96:69.

ცსკა-ს რიგებში ხუთმა კალათბურთელმა დააგროვა მინიმუმ 10 ქულა. მათ შორის ყველაზე შედეგიანი იყო **კირილენკო** 15 ქულით. მასპინძლებმა „ეფესის" მცველ **ვუიაჩიჩს** ვერაფერი მოუხერხეს და მან 21 ქულა დააგროვა, მაგრამ ამას მატჩის შედეგზე გავლენა არ ჰქონია.

ცსკა ორი მოგებით სათავეში ჩაუდგა E ჯგუფს, თითო მოგებითა და წაგებით მეორეზეა „ეფესი".

**G ჯგუფი**

**ფენერბაჩე–მილანი 65:63**

12:10, 18:18, 16:15, 19:20

ფ: ბოგდანოვიჩი (17), უკიჩი (16+6 მოხსნა).

მ: ფოცისი (16+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), როკა (16+11 მოხსნა), მანჩინელი (13).

**პანათინაიკოსი–უნიქსი 83:89**

22:17, 20:24, 14:22, 27:26

პ: ბატისტი (16+5 მოხსნა), სმიტი (15), დიამანტიდისი (14+7 მოხსნა+4 პასი).

უ: დომერკანტი (23+5 მოხსნა), ლაიდეი (16+3 ჩაჭრა), ვერემეენკო (15+5 მოხსნა).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. უნიქსი | 2 | 0 | 11 |
| 2. პანათინაიკოსი | 1 | 1 | 15 |
| 3. ფენერბაჩე | 1 | 1 | -3 |
| 4. მილანი | 0 | 2 | -23 |

მოიგო მეორე რუსულმა კლუბმა – უნიქს-მა, რომელმაც სენსაციური გამარჯვება მოიპოვა ათენში მოქმედი ჩემპიონის „პანათინაიკოსის" წინააღმდეგ. პირველი ტაიმი ბერძნებმა ერთი ქულის სხვაობით მოიგეს, რის შემდეგაც რუსებმა მესამე მეოთხედში მიაყენეს გადამწყვეტი დარტყმა მეტოქეს. ეს მონაკვეთი მათ რვა ქულით მოიგეს და მატჩის ბოლომდე აღარ გაუშვიათ ინიციატივა ხელიდან. "პანათინაიკოსი" რამდენჯერმე მიუახლოვდა მეტოქეს, მაგრამ ანგარიშის გათანაბრება მაინც ვერ შეძლო – 83:89.

უნიქსი ასპროცენტიანი მაჩვენებლით ლიდერობს G ჯგუფს.

ასევე დაძაბული ბრძოლა გაიმართა „ფენერბაჩესა" და „მილანს" შორის. ყველა მეოთხედში დიდი ბრძოლა იყო და მაქსიმალური სხვაობა მხოლოდ ორ ქულას აღწევდა. სწორედ ასეთი უპირატესობა მოიპოვა "ფენერბაჩემ" პირველ მეოთხედში და შემდეგ ამ სხვაობის შენარჩუნებას ცდილობდა. თურქებმა გაჭირვებით, მაგრამ შეძლეს ამის გაკეთება.

სხვათა შორის, „მილანს" აქამდე წაგება არ ჰქონდა "ფენერბაჩეს" წინააღმდეგ, მაგრამ ამჯერად არ გაუმართლა და 63:65 დამარცხდა. ეს იტალიელთა ზედიზედ მეორე წაგებაა ჯგუფში.

**F ჯგუფი**

**რეალი–მონტეპასკი 69:88**

15:31, 19:16, 14:18, 21:23

რ: რეიესი (17+15 მოხსნა), კეროლი (12+5 მოხსნა).

მ: მაკალები (25+6 პასი), ლავრინოვიჩი (16), ანდერსენი (11+7 მოხსნა), მოსი (10).

**ბილბაო–უნიკახა 85:70**

22:17, 14:17, 22:18, 27:18

ბ: ვასილიადისი (19), მუმბრუ (18+7 მოხსნა+4 პასი), ჯექსონი (14), მავროეიდისი (11+11 მოხსნა).

უ: ფრილენდი (18), ფიტჩი (17+5 მოხსნა), პერიჩი (11).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. მონტეპასკი | 2 | 0 | 33 |
| 2. ბილბაო | 1 | 1 | 1 |
| 3. რეალი | 1 | 1 | -18 |
| 4. უნიკახა | 0 | 2 | -16 |

„მილანისგან" განსხვავებით გაუმართლა მეორე იტალიურ კლუბს „მონტეპასკის", რომელმაც დღის მეორე მოულოდნელი შედეგი დააფიქსირა. იტალიის ჩემპიონმა მოულოდნელად ძალიან იოლად დაამარცხა მადრიდში „რეალი" – საწყის ათ წუთში სტუმრებმა 16-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს, მეორე მეოთხედში კი სხვაობამ 20 ქულას მიაღწია.

„მონტეპასკის" გარღვევის მთავარი სულისჩამდგმელი იყო მაკედონიის ნაკრების ამერიკელი მცველი **ბო მაკალები**, რომელიც 25 ქულით მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო. მან თავის მონაგარს 6 პასიც დაუმატა.

საბოლოოდ, „მონტეპასკიმ" 19 ქულით – 88:69 მოიგო და ორი გამარჯვებით ლიდერობს თავის ქვეჯგუფს.

გარდა ამისა, F ჯგუფში შედგა ესპანური დერბი „ბილბაოსა" და „უნიკახას" შორის. ამ გუნდებმა პირველი ტურის მატჩები წააგეს და აღნიშნულ შეხვედრას მათთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

მასპინძელმა „ბილბაომ" გადამწყვეტ უპირატესობას მეოთხე მეოთხედში მიაღწია. მანამდე თამაში ბასკური კლუბის მეტ-ნაკლები წარმატებით მიმდინარეობდა და ბოლო 10-წუთეულის წინ „ბილბაო" მხოლოდ ექვსი ქულით იყო წინ. ბოლო მეოთხედში კი მასპინძლებმა გაქცევა მოახერხეს და საბოლოოდ 15 ქულით მოიგეს – 85:70.

**H ჯგუფი**

**კანტუ–ჟალგირისი 79:78**

21:17, 11:19, 17:23, 30:19

კ: ბაზილე (15+6 პასი), შერმადინი (12).

ჟ: კოლინზი (15), უიმსი (14+5 მოხსნა), პოპოვიჩი (12).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. მაკაბი | 1 | 0 | 8 |
| 2. ბარსელონა | 1 | 0 | 5 |
| 3. კანტუ | 1 | 1 | -4 |
| 4. ჟალგირისი | 0 | 2 | -9 |

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო იყო „კანტუსა" და „ჟალგირისის" შეხვედრა - ამ მატჩის ბედი იტალიური კლუბის ქართველმა ცენტრმა გიორგი შერმადინმა გადაწყვიტა.

კანტუ თითქმის სულ მდევრის როლში იყო და ბოლო მეოთხედში 13 ქულას აგებდა. მაგრამ მასპინძლებმა გადამწყვეტი სპურტი მაშინ წამოიწყეს, როცა მოედანზე დაბრუნდა შერმადინი. „კანტუმ" ანგარიშის გათანაბრება შეძლო, 78-78-ზე კი ლიტველები შერმადინზე დაჯარიმდნენ. ქართველმა საჯარიმო გამოიყენა და კანტუს 79:78 მოაგებინა.


ბო მაკალები

## ამბები

**მძლეოსნობა**

### რუსი დოპინგისთვის დაისაჯა

ცნობილი რუსი მორბენალი, ლოს-ანჯელესის, დუბლინისა და ტოკიოს მარათონების გამარჯვებული **ტატიანა არიასოვა** ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს დოპინგის მიღების გამო. გარდა ამისა, არიასოვას ჩამოართვეს ტოკიოს მარათონის გამარჯვებულის ტიტული.

32 წლის სპორტსმენის ორგანიზმში აღმოჩნდა აკრძალული პრეპარატი - ჰიდროქსიეტილკრახმალი. ეს არის ნივთიერება, რომელიც მალავს სისხლის დოპინგის კვალს ორგანიზმში. დოპინგტესტი 2011 წლის 27 თებერვალს, ტოკიოს მარათონის შემდეგ აიღეს.

არიასოვას დისკვალიფიკაციის შემდეგ ტოკიოს მარათონის გამარჯვებული გახდა იაპონელი **ნორიკო ჰიგუტი**.

### ვლასიჩი ტიტულს არ დაიცავს

სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ხორვატი **ბლანკა ვლასიჩი** ვერ დაიცავს პლანეტის ჩემპიონის ტიტულს დარბაზებისთვის, რომელიც მან ორი წლის წინ დოჰაში მოიგო.

*"მიზეზი ის არის, რომ ტერფის მკურნალობისთვის აუცილებელია მცირე ართროსკოპიული ოპერაცია. ეს ტრავმა მთელი გასული წელი მაწუხებდა და ახლაც არ მაძლევს მოსვენებას. ასე რომ, მოვიდა ყველაფრის გამოსწორების დრო,* - ამბობს ხორვატი ჩემპიონი. – *ოპერაცია რთული არ იქნება და იმავე დღეს შემეძლება კლინიკის დატოვება".*

წელს დარბაზებისთვის მსოფლიოს ჩემპიონატი სტამბოლში 9-11 მარტს გაიმართება.

**ფიგურული სრიალი**

### ჩემპიონი აქაც დაისვენებს

ამ დღეებში ინგლისის ქალაქ შეფილდში მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში. ტურნირმა ერთი სერიოზული დანაკლისი განიცადა - ჩემპიონატში გამოსვლაზე უარი განაცხადეს სპორტულ წყვილებში მსოფლიოსა და ევროპის მოქმედმა ჩემპიონებმა **ალიონა სავჩენკომ** და **რობინ შოლკოვიმ**. გერმანული წყვილის უარის მიზეზი სავჩენკოს ტრავმაა – მან მარცხენა ფეხი 12 იანვარს გამართული ვარჯიშისას დაიზიანა.

გერმანიის ნაკრების ექიმის შტეფან პფრენგლეს თქმით, სავჩენკო დაახლოებით ერთ კვირაში ჩადგება მწყობრში, მანამდე კი არ ღირს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო რისკზე წასვლა.

სავჩენკომ და შოლკოვიმ ბოლო ოთხ წელიწადში სამჯერ მოიგეს მსოფლიოს ჩემპიონატი, კონტინენტის ბოლო ხუთი პირველობიდან კი ოთხში მოიპოვეს ოქროს მედალი. 2010 წლის ოლიმპიადაზე გერმანულმა წყვილმა ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

# ჩემპიონი შინ გაისტუმრეს


მარია შარაპოვა

გუშინ, ავსტრალიის ღიაზე ქალთა ტურნირის ფინალისტები გამოვლინდნენ. ოთხივე ნახევარფინალისტმა – **მარია შარაპოვამ, პეტრა კვიტოვამ, ვიქტორია აზარენკამ** და **კიმ კლაისტერსმა** გზად თითო სეტი წააგო. ისინი თითქმის თანაბარ სპორტულ ფორმაში იყვნენ. მოკლედ, ასეთი ინტრიგა "დიდი სლემის" ტურნირზე კარგა ხანია არ ყოფილა.

ამ ოთხეულიდან ცალკე გამოყოფის ღირსია კიმ კლაისტერსი, რომელსაც დღეს ნაკლებად აწუხებს რეიტინგი, რადგან ეს მის კარიერაში ბოლო სეზონია. ბელგიელმა თავისი მაღალი მოტივაცია მეოთხედფინალში დაამტკიცა, როცა ოთხი მატჩბოლი მოიგერია **ნა ლისთან** მატჩში.

ვიქტორია აზარენკას კი სხვა მეტოქეებისგან ის გამოარჩევდა, რომ არასოდეს მოეგო "დიდი სლემის" ტურნირი, უფრო მეტიც, ფინალშიც არასოდეს გასულა. ბელარუსი ყოველთვის საუკეთესო თამაშს ავსტრალიის ღია პირველობაზე აჩვენებდა, მაგრამ 2008-10 წლებში ზედიზედ სამჯერ **სერენა უილიამსს** უპირისპირდებოდა და ყოველთვის მარცხდებოდა. ახლა კი სათამაშო თვალსაზრისით ის სრულად არის მზად "დიდ სლემზე" თავისი პირველი ტიტულისთვის.

კიმსა და ვიქტორიას ერთმანეთში ექვსი მატჩი ჰქონდათ ჩატარებული, მაგრამ "დიდი სლემის" ტურნირზე ეს მათი პირველი შეხვედრა იყო.

თამაშის სურათი პროგნოზირებადი იყო. ვიქტორია ცდილობდა თავისი თამაში მოეხვია თავს მეტოქისთვის და თავიდან ეს მას კარგად გამოსდიოდა. ბელარუსი ადრეული ბრეიკით დაწინაურდა, რაც ასეთი ხასიათის შეხვედრაში ბევრს ნიშნავს. კიმს ჰქონდა დაკარგული მოწოდების დაბრუნების შანსები, მაგრამ ბელარუსი შეტევისთვის მოსახერხებელ ვარიანტს არ უტოვებდა. ბელგიელს რისკი უწევდა, რასაც ხანდახან შედეგი მოჰქონდა, მაგრამ შეცდომა უფრო მეტი იყო. სეტის ბოლო აზარენკამ მეტად მშვიდად და აუღელვებლად ითამაშა.

მაგრამ ბელარუსმა მეორე პარტიაში ჩავარდნა თავიდან ვერ აიცილა. კლაისტერმა წინ გასვლა მოახერხა და როცა აზარენკამ კიდევ ერთხელ წააგო გეიმი საკუთარ მოწოდებაზე, პარტიის ბოლო ნაწილი ჩოგბურთელებმა მესამე სეტისთვის მოსამზადებლად გამოიყენეს.

მესამე სეტის დასაწყისში ორივეს ღალატობდა ნერვები - ორივემ ბრეიკპოინტზე ორმაგი შეცდომა დაუშვა. წინ მუდმივად აზარენკა იყო, მაგრამ მეშვიდე გეიმში იყო მომენტი, რომელიც კინაღამ გარდამტეხი აღმოჩნდა. ბელარუსმა ექვსი გეიმბოლიდან წააგო საკუთარი მოწოდება. მაგრამ ის მალე გამოვიდა რთული მდგომარეობიდან და მაშინვე დაიბრუნა ბრეიკი. მატჩზე მოწოდებისას აზარენკას კიმიც ძალიან დაეხმარა. ბელგიელის შეცდომების გამო ბელარუსს ძალიან გაუჭირდებოდა გეიმის აღება, რადგან ნერვიულობა ეტყობოდა. მატჩის შემდეგ მან აღიარა, რომ მატჩბოლებზე კანკალს იწყებდა, მაგრამ ყველაფერი კარგად დასრულდა - 6:4, 1:6, 6:3.

■ ■ ■

მარია შარაპოვასა და პეტრა კვიტოვას აქამდე სამჯერ ჰქონდათ ნათამაშები ერთმანეთში. აქედან ყველას დაამახსოვრდა 2011 წლის უიმბლდონი, რომელიც კვიტოვამ მოიგო და ახლა, მარიას რევანშის აღება მართებდა.

ამ ნახევარფინალში თავიდანვე მძიმე ბრძოლა გაიმართა ინიციატივის მოსაპოვებლად. უფრო უკეთ შარაპოვა გამოიყურებოდა იმის გამო, ჩეხი ბევრ უხეშ შეცდომას უშვებდა. შედეგად, რუსმა პარტია ორმაგი ბრეიკით მოიგო. მეორე სეტში ჩეხმა დაალაგა თამაში საკუთარ მოწოდებაზე. სეტის დასაწყისში მან გააკეთა ბრეიკი მეტოქის შეცდომების ხარჯზე, საკუთარ გეიმებში კი თითქმის უშეცდომო იყო. საბოლოოდ, ჩეხმა შეინარჩუნა უპირატესობა და სეტებში ანგარიში გაათანაბრა.

ამ მატჩისგან მაყურებელი უფრო მეტს ელოდა და მათი იმედები მესამე სეტმა გაამართლა. ინიციატივა კვიტოვას რჩებოდა - ძირითადად იმის ხარჯზე, რომ სტაბილურად აწვდიდა. რუსს კი რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტში მოწოდებამ უღალატა (სულ მატჩის განმავლობაში 10 ორმაგი დაუგროვდა). პეტრამ სეტის დასაწყისში ბრეიკის გაკეთებაც შეძლო, მაგრამ მარიამ მალე აღადგინა წონასწორობა. საერთო ჯამში, ჩეხის მოწოდებაზე სრული სიმშვიდე იყო, შარაპოვას გეიმებში კი მუდმივად დაძაბულობა იგრძნობოდა. რუსს მუდმივად უხდებოდა ბრეიკ-პოინტების მოგერიება. მაგრამ, როცა შეხვედრამ კრიტიკულ მომენტს მიაღწია, კვიტოვამ რამდენიმე უპატიებელი შეცდომა დაუშვა და გადამწყვეტი სეტი 4:6 დათმო. შარაპოვამ მებრძოლი ხასიათით აჯობა მეტოქეს: კვიტოვამ 14 ბრეიკ-პოინტიდან მხოლოდ სამი გამოიყენა, მარიამ - ხუთიდან ხუთი.

ხვალ, შარაპოვა მესამედ ითამაშებს ავსტრალიის ღიას ფინალში. **ანა ივანოვიჩს** მან მოუგო, **სერენა უილიამსთან** კი დამარცხდა. ახლა მისი მეტოქე ვიქტორია აზარენკა იქნება, რომელიც პირველად მოხვდა „დიდი სლემის" ტურნირების ფინალში. გადამწყვეტი მატჩი იმითაც არის დამაინტრიგებელი, რომ მოგებული მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდება.

**1/2 ფინალი**

**ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 3)**-კიმ კლაისტერსი (ბელ, 11) 6:4, 1:6, 6:3; **მარია შარაპოვა (რუს, 4)**-პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 2) 6:2, 3:6, 6:4.

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**აფრიკის თასი**

| | |
|---|---|
| სუდანი-ანგოლა | 2:2 |
| კოტ დ'ივუარი-ბურკინა ფასო | 2:0 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| კიოზე-აკადემისკი | 0:2 |
| ოცელული-მორდოვია | 1:2 |
| ლევსკი-ტავრია | 1:2 |
| ვორმატია-ფრანქფურტი | 1:2 |

**იტალიის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| მილანი-ლაციო | 3:1 |

**ესპანეთის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| ლევანტე-ვალენსია | 0:3 (1:4) |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| სტანდარდი-მონსი | 2:1 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| ეშტორილი-ატლეტიკო | 5:0 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| გალათასარაი-ოლიმპიაკ. | 78:77 (ო) |
| მაკაბი-ბარსელონა | 57:71 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (ნ)-ტრაქტორი | 2:3 (ბ) |
| სიბირი-ბარისი | 0:5 |
| ს. იულიაევი-სევერსტალი | 2:1 (ბ) |
| აკ ბარსი-ვიტიაზი | 7:2 |
| ნეფტეხიმიკი-სპარტაკი | 2:1 (ბ) |
| სკა-ტორპედო | 8:3 |
| დინამო (მ)-ატლანტი | 3:0 |
| ლევ-პოპრადი-ცსკა | 3:2 |

**დანია**

| | |
|---|---|
| კოპენჰაგენი-ესბერგი | 3:5 |
| როდოვრე-ოდენსე | 5:4 (ბ) |
| ფრედრიკშავნი-სონდერიისკი | 1:2 (ბ) |
| ჰერლევი-ოლბორგი | 4:3 (ბ) |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| მანგლერუდი-სტავანგერი | 0:4 |
| სტორჰამარი-სპარტა | 2:3 (ო) |
| სტიერნენი-ლორენსკოგი | 1:4 |
| ლილეჰამერი-ვოლერენგა | 4:1 |
| ფრისკ ასკერი-რუსენბორგი | 3:0 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ბლუზი-ესეტი | 1:6 |
| ილვესი-ტაპარა | 1:4 |
| ტპს-კალპა | 1:4 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ზლინი-პლზენი | 5:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| აიკ-იურგორდენი | 4:3 (ო) |
| ბრინასი-მოდო | 5:3 |
| ვაქსიო-ფრიოლუნდა | 2:3 (ო) |
| ჰვ71-შელეფტეო | 3:2 |

TV პროგრამა

**27 იანვარი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XVIII ტურის მიმოხილვა.
**11:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XIX ტურის მიმოხილვა.
**12:00** გადაცემა - საფეხბურთო ლამე.
**13:30** იტალიის შოუ.
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXII ტური. არსენალი-მანჩესტერ იუნ.
**16:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ალკმაარი-აიაქსი.
**18:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXII ტურის მიმოხილვა.
**19:00** ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-რეალი.
**21:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**22:30** იტალიის ჩემპიონატი. XX ტურის წინ.
**23:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIX ტური ეინდჰოვენი-ვიტესი (LIVE).
**01:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XX ტურის წინ.
**01:30** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXI ტურის წინ.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ლიგის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-მანჩესტერ სიტი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ორლანდო-ბოსტონი.
**14:30** სპორტ-NEWS.
**15:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ატალანტა-იუვენტუსი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. ტრევიზო-სარასენი.
**19:00** კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. სიდნეი. ავსტრალია.
**22:00** NBA Action.
**22:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ორლანდო-ბოსტონი.
**00:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პარიზი. საფრანგეთი.
**11:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. ლენსტერი-მონპელიე.
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პარიზი. საფრანგეთი.
**17:00** სპორტ-NEWS.
**17:30** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-ვალენსია.
**19:30** სუპერკოლაჟი.
**20:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-სან ანტონიო.
**22:30** NBA Action.
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პარიზი. საფრანგეთი.

# ნადალი ჯოკოს ელოდება...

კაცებს შორის ნამდვილი შეჯიბრება მხოლოდ ახლა დაიწყო. **როჯერ ფედერერმა, რაფაელ ნადალმა, ნოვაკ ჯოკოვიჩმა** და **ენდი მიურეიმ** თითქმის ორი კვირა იმისთვის ითამაშეს, რომ ბოლოს ერთმანეთში გაერკვიათ ურთიერთობა. სხვათა შორის ასეთი რამ ავსტრალიის ღიაზე 2005 წლის შემდეგ არ ყოფილა.

გუშინ მხოლოდ ერთი ნახევარფინალი გაიმართა - ოფიციალურ მატჩებში ოცდამეშვიდედ შეხვდნენ ერთმანეთს ფედერერი და ნადალი. ბუკმეიკერები უპირატესობას შვეიცარიელს ანიჭებდნენ, თუმცა რთული იყო რომელიმეს გამორჩევა. როჯერი იოლად მიიწევდა წინ სატურნირო ბადეში, ნადალს კი ურთულესი მატჩი ჰქონდა **ტომაშ ბერდიხთან.**

სეტის დასაწყისში ამ ჩოგბურთელებისთვის არადამახასიათებელი თამაში გაჩაღდა - გეიმების უმრავლესობა მალე მთავრდებოდა. თავად თამაში კი თანაბარი იყო. როჯერმა კარგად დაიწყო, მაგრამ პარტიის შუაში ნადალმა დაიბრუნა ბრეიკი. ტაი-ბრეიკი დაძაბული ბრძოლის ლოგიკური დასასრული აღმოჩნდა. ესპანელმა დასაწყისში მინიბრეიკი წააგო და სულ მდევრის როლში იმყოფებოდა, მაგრამ როჯერის დაწევა ვერ შეძლო.

შვეიცარიელმა მეორე პარტია ბრეიკით დაიწყო, მაგრამ შემდეგ მის თამაშში ჩავარდნა დაიწყო, რაფაელი კი იმით არის განთქმული, რომ მეტოქის თამაშში ნებისმიერ სისუსტეს იყენებს. მან მაშინვე ხელთ იგდო ინიციატივა და არა მარტო გაათანაბრა ანგარიში, არამედ კომფორტული უპირატესობა მოიპოვა და 6:1 მოიგო.

მესამე პარტიაში როჯერის შეცდომების რიცხვი უკანა ხაზზე გაიზარდა, მაგრამ შვეიცარიელი ამის კომპენსირებას კარგი მოწოდებით ახდენდა. საბოლოოდ, მან პარტიის შუაში კარგად ისარგებლა მეტოქის ჩავარდნით და ბრეიკით დაწინაურდა. თუმცა ნადალმა მოუმატა და დაიბრუნა ინიციატივა. მას მე-12 გეიმში სეტბოლიც ჰქონდა, მაგრამ შვეიცარიელმა შეძლო ტაი-ბრეიკამდე მიღწევა. იქ მას თამაში არ წაუვიდა და ნადალმა ხუთმაგი სეტბოლი მიიღო. მართალია, შვეიცარიელმა ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა, მაგრამ ბოლო სეტბოლზე შეცდომა დაუშვა.

მეოთხე სეტში ნადალი ინარჩუნებდა ინიციატივას, მაგრამ როჯერიც ახერხებდა საკუთარი მოწოდების დაცვას. ისევე როგორც წინა სეტში, შვეიცარიელი თავის შანსს დაელოდა, მაგრამ დაფარული სეტბოლი ვერ გამოიყენა. შემდეგ გეიმში ანალოგიური შანსები ნადალს გაუჩნდა. პირველი შესაძლებლობა მან ხელიდან გაუშვა, სამაგიეროდ, მეორეში მეტოქის შეცდომა დაეხმარა. მაგრამ ეს არ იყო ყველაფერი. ესპანელი სეტზე აწვდიდა, როცა ფედერერმა ორი ბრეიკ-პოინტი მიიღო. ესპანელმა ფანტასტიკური დაცვა ითამაშა, მალე კი მეორე მატჩბოლით დაასრულა მატჩი - 6:7(5), 6:2, 7:6(5), 6:4.

ნადალი მეთხუთმეტედ გავიდა „დიდი სლემის" ტურნირების ფინალში, სადაც ნოვაკ ჯოკოვიჩისა და ენდი მიურეის წყვილში გამარჯვებულს შეხვდება.

**1/2 ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-როჯერ ფედერერი (შვეიც, 3) 6:7(5), 6:2, 7:6(5), 6:4.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**


რაფა ნადალი

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლეიკერსის რევანში

გუშინ, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თითქმის სრულფასოვანი ტური გაიმართა, ბევრი იყო საინტერესო შეხვედრა, მაგრამ განცალკევებით იდგა ერთი მატჩი – ლოსანჯელესური დერბი.

ამ გუნდების პირველი შეხვედრა ახალ სეზონში "კლიპერსის" გამარჯვებით დასრულდა. დაუმატეთ ამას სეზონის წინ "კლიპერსის" მიერ მოგებული ორი სანვრთნელი მატჩი და დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ქალაქში ახალი ლიდერი გაჩნდა.

ბუნებრივია, მოვლენათა ამგვარ განვითარებას არ ეთანხმება "ლეიკერსი". **კობი ბრაიანტის** გუნდს გუშინ ძალიან უნდოდა თავისი ადგილი მიეჩინა გათავხედებული თანაქალაქელისთვის, ამიტომაც პირველივე წუთებიდან დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა. ეს ბრძოლა უხეშობაში გადადიოდა და ჯამში ექვსი ტექნიკური პერსონალური დაფიქსირდა, ხოლო ნომინალური მასპინძლების (ორივე კლუბი Staples Center-ის არენაზე გამოდის) ფორვარდი **ჯოშ მაკრობერტსი** საერთოდ მოედნიდან გააძევეს.

ამ მატჩში დაუბრუნდა "კლიპერსს" **კრის პოლი**. პლეიმეიკერმა მხოლოდ 28 წუთი ითამაშა, მაგრამ მოასწრო თანაგუნდელებისთვის 12 შედეგიანი პასის დარიგება. სწორედ პოლის ნიჭის წყალობით მის გუნდს მიჰყავდა თამაში სამი მეოთხედის განმავლობაში. თითქოს "ლეიკერსი" კიდევ ერთხელ უნდა დამარცხებულიყო, რადგან შეხვედრის ბოლოს, წესით, უფრო მეტი ძალა "კლიპერსის" ახალგაზრდებს უნდა დარჩენოდათ.

მაგრამ ამ ლოგიკამ არ იმუშავა. კობი ბრაიანტმა, რომელიც მანამდე ცუდად თამაშობდა (მესამე მეოთხედში 6 შეცდომა დაუშვა), მეოთხე მეოთხედში 12 ქულა დააგროვა და 11:4 გაქცევის მთავარი მოქმედი პირი იყო. ეს სპურტი საფინალო სირენამდე სამწუთ-ნახევრით ადრე **უორლდ პისის** სამქულიანით დასრულდა – 87:82. **მაიკ ბრაუნის** შეგირდებმა უპირატესობა ბოლო წუთამდე შეინარჩუნეს, როცა თავისი ხმამაღალი სიტყვა თქვა **ენდრიუ ბინუმმა**. ცენტრმა თავიდან ურთულესი ბურთი ჩააგდო მეტოქის ფარში, შემდეგ კი საკუთარი კალათი დაიცვა, როცა **დეანდრე ჯორდანს** დაუფარა. ასევე დიდი წვლილი შეიტანა წარმატებაში "ლეიკერსის" მეორე „მაღალმა" – **პაუ გასოლმა**. ესპანელი ძალიან მაღალი სიზუსტით (13-დან 9 ზუსტი) ისროდა, აგრეთვე 10 მოხსნა და 4 შედეგიანი პასი დააგროვა. ეს მისი საუკეთესო მატჩი იყო მიმდინარე სეზონში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ახალბედა მცველის **ენდრიუ გუდლოკის** თამაში, რომელმაც მოულოდნელად ყველაზე საჭირო მომენტში გაისროლა. მანამდე მის ანგარიშზე ამ ჩემპიონატის განვლილ ყველა მატჩში 10 ქულა იყო, ახლა კი იგივე შედეგი დააფიქსირა მეორე მეოთხედის განმავლობაში.

**ლეიკერსი-კლიპერსი 96:91**

**25:27, 24:24, 19:20, 28:20**

**ლ:** ბრაიანტი (24+7 მოხსნა+6 პასი), პ. გასოლი (23+10 მოხსნა), ბინუმი (19+6 მოხსნა+4 დაფარება), გუდლოკი (14), ფიშერი (11).

**კ:** გრიფინი (26+9 მოხსნა), უილიამსი (16), ბატლერი (16+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჯორდანი (11+5 მოხსნა), პოლი (4+12 პასი).

# არშემდგარი ზეიგი



დალასის ჩემპიონობის ბეჭდები

"დალასისა" და "მინესოტას" შეხვედრის წინ გაიმართა "მავერიქსის" კალათბურთელებისთვის საჩემპიონო ბეჭდების გადაცემის ცერემონია. მასპინძლების რიგებში კვლავ არ უთამაშია **დირკ ნოვიცკის**, ამიტომაც მაყურებელმა ვერ იხილა ლიგის ორი საუკეთესო მსროლელი მძიმე ფორვარდის - ნოვიცკისა და **კევინ ლავის** დაპირისპირება.

თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ **რიკ ადელმანის** შეგირდებმა შთამბეჭდავი სპურტი განახორციელეს – 13:4 და მასპინძლებმა ველარ შეძლეს თამაშის გადარჩენა. კვლავ უნდა აღვნიშნოთ სტუმრების წარმატებაში **რიკი რუბიოს** წვლილი, რომლის ანგარიშზე სეზონში მეშვიდე ორმაგი დუბლია (17 ქულა, 12 პასი, 7 მოხსნა, 4 ჩაჭრა). ხოლო ბრწყინვალე ლავმა ჩემპიონატში მეექვსედ დააგროვა დიდოსტატური "30+10". მისი მონაგარი იყო - 31 ქულა, 10 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა და 2 დაფარება.

■ ■ ■

რთული წარმოსადგენი იყო, რომ წინადღეს "ორლანდოსთან" დასანანი მარცხის შემდეგ "ინდიანა" მოახერხებდა ფეხზე დადგომას და სტუმრად რეგულარული ჩემპიონატის ლიდერის – "ჩიკაგო ბულზის" დამარცხებას. მით უმეტეს, რომ პირველი მეოთხედის ბოლოსკენ "ხარებმა" 10 ქულით წინ გასვლა შეძლეს. მაგრამ "ინდიანამ" კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ შემთხვევით არ იმყოფება აღმოსავლეთის ლიდერებს შორის. შესვენების შემდეგ დაცვის გამოსწორებით სტუმრებმა ნელა, მაგრამ მეთოდურად დაიწყეს ჩამორჩენის გაბათილება, ხოლო "ბულზის" ზედიზედ გაფუჭებული რამდენიმე შეტევის შემდეგ წინ გასვლაც შეძლეს – 89:82.

**ტომ ტიბოდოს** მიერ აღებულმა ტაიმ-აუტმა გამოაფხიზლა მისი შეგირდები. **ბუზერისა** და **ნოას** ზუსტმა ტყორცნებმა ჰანდიკაპი მინიმუმამდე დაიყვანა. მაგრამ "ჩიკაგოს" თამაშის გადარჩენის შანსი მოუსპო მისმა ცენტრმა ნოამ, რომელმაც ბურთი ჩააბარა მეტოქეს. საინტერესოა, რომ ორივე გუნდის სასტარტოში არ ყოფილა არც ერთი კალათბურთელი, რომელმაც მინიმუმ ათქულიან ზღვარს მიაღწია.

■ ■ ■

"დეტროიტი" არც ისე უიმედო გუნდი ყოფილა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. "პისტონზმა" **ტაიშონ პრინსისა** და **ბენ გორდონის** გარეშე კინაღამ მოუგო "მაიამის". ბოლო მეოთხედში "ჰიტს" კომფორტული 10-ქულიანი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ შემდეგ ყველაფერი თავდაყირა დადგა. საფინალო სირენამდე წუთითა და 18 წამით ადრე **ლებრონ ჯეიმსი** საჯარიმოს შესასრულებლად ემზადებოდა, ანგარიში კი 98:95 იყო "დეტროიტის" სასარგებლოდ. "ჰიტი" სწორედ ლებრონმა გადაარჩინა, რომელმაც შესაშური სიმშვიდით გამოიყენა ექვსიდან ექვსი საჯარიმო.

■ ■ ■

უცნაური გუნდია "ტორონტო", რომელსაც შეუძლია ზედიზედ რვა ნაგების შემდეგ მოიგოს ორი გასვლითი შეხვედრა, თანაც ერთ-ერთი იმ დროს, როცა გუნდი პირველ მეოთხედში 18 ქულას აგებდა. სწორედ ასეთი შემთხვევა იყო "იუტასთან" მატჩში, რომელიც კანადელებმა ორ ოვერტაიმში მოიგეს. "ტორონტოს" ლეგიონერთა წყვილმა – **ანდრეა ბარნიანიმ** და **ლინას კლეიზამ** ჯამში 50 ქულა დააგროვა. "რეპტორზმა" შეწყვიტა სოლტ-ლეიკ-სიტიში 11-მატჩიანი მოგებათა სერია.

■ ■ ■

"მილუოკიმ" 1999 წლის შემდეგ პირველად გაიმარჯვა ჰიუსტონში. არადა, "როკეტსის" შვიდმატჩიანი მოგებათა სერიისა და **ბოგუტის** ტრავმის გათვალისწინებით, "ბაქსს" ამ უიღბლო სერიის შეწყვეტის შანსი თითქმის არ ჰქონდა. მაგრამ ყველაფერი გადაწყვიტა მესამე მეოთხედის ბოლოს და მეოთხე მეოთხედის დასაწყისში მოწყობილმა 20:1 გაქცევამ, რომლის მთავარი შემოქმედი **ბენო უდრიხი** იყო.

**ვაშინგტონი-შარლოტი 92:75**

**31:17, 17:11, 23:21, 21:26**

**ვ:** იანგი (20), ბლეტჩი (17+10 მოხსნა), უოლი (12+6 მოხსნა), კროუფორდი (9+5 პასი), მაკგი (6+10 მოხსნა+4 დაფარება).

**შ:** კეროლი (17), ტომასი (13+9 მოხსნა+9 დაფარება+4 ჩაჭრა), ჰიგინსი (13), ბრაუნი (10+6 მოხსნა).

**ფილადელ.-ნიუ ჯერსი 90:97 (ო)**

**18:22, 27:21, 16:23, 21:16, 8:15**

**ფ:** უილიამსი (17+6 პასი), ბრენდი (16), ჰოლიდეი (14+7 პასი+3 ჩაჭრა), იგუოდალა (12+6 მოხსნა), იანგი (10+5 მოხსნა).

**ნ-ჯ:** დ. უილიამსი (34+11 პასი), მოროუ (16), ჰემფრიზი (13+19 მოხსნა), ფარმარი (12), ოქური (11+6 მოხსნა).

**ოკლაჰომა-ნიუ ორლეანი 101:91**

**30:22, 30:29, 18:20, 23:20**

**ო:** დურანტი (25+7 მოხსნა+3 დაფარება), ჰარდენი (18+6 პასი), იბაკა (14+7 მოხსნა), უესტბრუკი (14+5 პასი+3 ჩაჭრა).

**ნ-ო:** ჯეკი (20+5 პასი), აიონი (16), ლენდრი (15), ამინუ (11).

**ჰიუსტონი-მილუოკი 99:105**

**23:29, 28:13, 19:30, 29:33**

**ჰ:** მარტინი (29), სკოლა (18+8 მოხსნა), პარსონსი (16+7 მოხსნა+5 პასი), დალემბერი (13+18 მოხსნა), ლოური (8+10 პასი+8 მოხსნა).

**მ:** ჯენინგსი (20+6 პასი), ჯექსონი (20), დანლივი (18), გუდენი (11), ილიასოვა (7+19 მოხსნა).

**დალასი-მინესოტა 90:105**

**27:26, 27:26, 18:26, 18:27**

**დ:** ტერი (17+5 პასი), მერიონი (15+6 მოხსნა), ბობუა (11+5 პასი), ჰაივუდი (8+10 მოხსნა).

**მ:** ლავი (31+10 მოხსნა), რუბიო (17+12 პასი+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), ელინგტონი (16), პეკოვიჩი (13+7 მოხსნა), უილიამსი (10+6 მოხსნა ), მილიჩიჩი (8+7 მოხსნა+7 დაფარება).

**საკრამენტო-დენვერი 93:122**

**26:32, 17:34, 22:28, 28:28**

**ს:** ფრედეტი (19), კაზინსი (17+15 მოხსნა), ტომასი (16+6 პასი), ევანსი (12+7 პასი).

**დ:** გალინარი (23+5 პასი+3 დაფარება), ნენე (16), მილერი (15+10 პასი), ბრიუერი (15+3 ჩაჭრა), ლოუსონი (11), კუფოსი (10+7 მოხსნა), ჰარინგტონი (10+5 მოხსნა).

**კლივლენდი-ნიუ იორკი 91:81**

**27:23, 28:22, 24:19, 22:17**

**კ:** ჯეიმისონი (15+5 მოხსნა), კასპი (13), პარკერი (13), ვარეჟაო (10+16 მოხსნა+4 ჩაჭრა).

**ნ-ი:** სტაუდმაიერი (19+14 მოხსნა), ენტონი (15+6 პასი), ფილდზი (13+5 მოხსნა), ჩენდლერი (11+9 მოხსნა).

**დეტროიტი-მაიამი 98:101**

**17:24, 33:32, 24:24, 24:21**

**დ:** დეი (28+6 მოხსნა), მონრო (20+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), ნაიტი (17+5 პასი), სტაკი (15+6 პასი).

**მ:** ჯეიმსი (32+7 პასი+6 მოხსნა), ბოში (27+6 მოხსნა), ჩელმერსი (16), მილერი (10).

**ჩიკაგო-ინდიანა 90:95**

**23:24, 31:20, 20:31, 16:20**

**ჩ:** როუზი (24), ბრიუერი (20+10 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), ჰემილტონი (17), ბუზერი (11+7 მოხსნა), ნოა (10+13 მოხსნა).

**ი:** გრეინჯერი (22+9 მოხსნა), ჰიბერტი (20+8 მოხსნა+4 დაფარება), უესტი (14+7 მოხსნა), ჯორჯი (13), კოლისონი (11+8 პასი+6 მოხსნა), ჰენსბრო (10+6 მოხსნა).

**სან ანტონიო-ატლანტა 105:83**

**24:18, 24:26, 28:17, 29:22**

**ს-ა:** ბლეირი (17), ბონერი (17), სპლიტერი (16+8 მოხსნა), პარკერი (15+7 პასი), გრინი (10+5 მოხსნა+5 პასი), დანკანი (6+11 მოხსნა).

**ა:** ტიგი (20+5 მოხსნა ), სმიტი (13+5 მოხსნა), ჯონსონი (10+7 პასი), უილიამსი (8+9 მოხსნა).

**იუტა-ტორონტო 106:111 (2ო)**

**32:23, 18:27, 25:19, 15:21, 10:10, 6:11**

**ი:** მილსეპი (31+11 მოხსნა), ჰარისი (24+6 პასი), ფეივორსი (16+12 მოხსნა), ბედი (11), მაილზი (11).

**ტ:** კლეიზა (25+5 მოხსნა), ბარნიანი (25+5 მოხსნა), დეროზანი (17+8 მოხსნა), ბარბოზა (13), კალდერონი (12+7 პასი).

**გ. სტეიტი-პორტლენდი 101:93**

**24:26, 24:27, 31:20, 22:20**

**გ-ს:** კარი (32+7 პასი+6 მოხსნა+4 ჩაჭრა), ლი (26+5 მოხსნა), რაში (14+6 მოხსნა), ელისი (4+12 პასი+3 ჩაჭრა).

**პ:** ოლდრიჯი (18+7 მოხსნა+5 პასი), ბატუმი (16), კროუფორდი (16), მეტიუზი (15), კემბი (4+16 მოხსნა).

# ლავი მგლებში დარჩა



კევინ ლავი

ამერიკული პრესის ინფორმაციით, "მინესოტას" ვარსკვლავურმა ფორვარდმა, 23 წლის **კევინ ლავმა** ახალი, ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა თავის ამჟამინდელ კლუბთან. 2008 წლის დრაფტის მეხუთე ნომრის ჯამური ხელფასი 60 მილიონის დოლარი იქნება.

*"ძალიან მიხარია კევინ ლავის გამო. მან შეძლო მოეპოვებინა ფინანსური სტაბილურობა. იმედი მაქვს, ეს დაეხმარება მას მხოლოდ კალათბურთზე იფიქროს და მეტი სარგებლობა მოუტანოს გუნდს. ჩვენი გადაწყვეტილება ხაზს უსვამს იმას, რომ ბოლო დროს "მინესოტა" სწორი მიმართულებით მიდის"*, - კომენტარი გაუკეთა გარიგებას "მინესოტას" საკალათბურთო ოპერაციების ხელმძღვანელმა **დევიდ კანმა**.

■ ■ ■

გუშინ, კიდევ ერთი კალათბურთელის ახალი კონტრაქტის შესახებ გამოაცხადეს. "დენვერმა" ხელშეკრულება გაუხანგრძლივა იტალიელ ფორვარდს **დანილო გალინარის**.

ახალი ხელშეკრულება 2016 წლის ბოლომდე იქნება ძალაში, - წერს NBA-ის ოფიციალური ვებგვერდი. 23 წლის იტალიელი მომავალი ოთხი წლის განმავლობაში 42 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ავტოსპორტი

# ბარიკელო ინდიკარში?

ბრაზილიელი პილოტი **რუბენს ბარიკელო**, რომელმაც ფორმულა 1-ში 19-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ დაკარგა ადგილი "სამეფო რბოლებში", მომდევნო კვირას ინდიკარის სერიის ბოლიდით ჩაატარებს ტესტებს.

ბარიკელო KV Racing-ის გუნდში გამართავს ვარჯიშებს. ბრაზილიელი ორ დღეს დაჰყოფს სერბინგის ავტოდრომზე და ახალ შასის - DW12-ს გამოცდის. ამ მომენტისთვის ბარიკელო არ ფიქრობს შორს მიმავალ გეგმებზე ინდიკარის სერიაში გამოსვლასთან დაკავშირებით.

გასულ ორ სეზონში რუბენსი "უილიამსის" შემადგენლობაში გამოდიოდა, მაგრამ გუნდმა 2012 წლის სეზონისთვის მისი შეცვლა **ბრუნო სენათი** გადაწყვიტა.